ISSN 1512-0449

ამირანი

კავკასიოლოგიის საერთაშორისო
სამეცნიერო-კვლევითი
საზოგადოებრივი ინსტიტუტის

მოამბე

AMIRANI

Journal
of the International Caucasological Research Institute

მონრეალი – თბილისი

Montréal - Tbilisi

ამირანი

კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-
კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის

მოამბე

AMIRANI

Journal

of the International Caucasological Research Institute

Mitteilungsblatt

des Internationalen Kaukasiologischen gesellschaftichen
wissentchaftlichen Forschungsinstitutes

АМИРАНИ

Вестник

Международного Кавказологического
Научно-исследовательского
Общественного Института

XXXVIII

Montréal-Tbilisi

2024

63.4 (2Г)
902/904(479.22)
ა 587

ISSN 1512-0449

ჟურნალ ამირანში ქვეყნდება სტატიები კავკასიის ხალხთა ენების, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნიკური ყოფისა და ხელოვნების შესახებ. ჟურნალში ასევე იბეჭდება ნებისმიერი თემატიკის სამეცნიერო სტატია, რომელიც ზოგადად კავკასიას შეეხება. სტატიები შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც ქართულ (ვრცელი რეზიუმეთი ინგლისურ ენაზე), ასევე – ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და რუსულ (ვრცელი რეზიუმეთი ქართულად და ინგლისურად) ენებზე.

The ICRI publishes the journal of Caucasology, entitled Amirani. Articles concerning the peoples, cultures and languages of the Caucasus, from the perspective of any of the humanities or social sciences, will be considered for publication. The articles may be written in English, French, Georgian, German, Russian, or any other language accessible to a significant number of Caucasologists.

By having each volume of Amirani available online, it vastly increases the accessibility of these materials to those who are interested in this particular topic. Its also invites those who have already gained completed significant studies on the Caucasus region to submit relevant and scholarly articles for publication. Archived articles are also available on this website, as is information on events of interest and other information-sharing activities.

The papers will be published after peer review by the Publishing-Editorial board.

სტატიებში გამოთქმული ხედვები და მოსაზრებები ავტორების აზრია და შეიძლება არ ასახავდეს რედაქციის ოფიციალურ პოლიტიკას და პოზიციას.

The views and opinions expressed in articles are those of the authors and do not necessarily reflect the official policy or position of the editorial board.

Взгляды и мнения, выраженные в статьях, принадлежат авторам и не обязательно отражают официальную политику или позицию редакционной коллегии.

© International Caucasological Research Institute. All Rights Reserved

შინაარსი ◆ Contents ◆ Inhalt ◆ Содержание

ლერი ჯიბლაძე
შოთა ჩართოლანის მეცნიერული მემკვიდრეობიდან.
კოლხეთის მთიანეთი ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში 5
Leri Jibladze
Scientific legacy of Shota Chartolani.
Colchis Highland in Bronze-Early Iron Ages 12

ნინო ჩარექიშვილი
ხეთური დაკრძალვის წესი და პარალელები სამხრეთ კავკასიასთან 15
Nino Tscharekischwili
Hethitische Bestattungsregel und Parallelen zum Südkaukasus 36

ომარ ბეგოიძე
დვალეთის ქართველური ონომასტიკა ზოგიერთი გვარსახელის
გეოგრაფიული ლოკალიზაციისთვის 49
Omar Begoidze
Localization of Some Surnames Derived from the Kartvelian Names,
Based on the Toponymical Material of the North Ossetia 60

Ярослав Пилипчук
Горский интегризм: национальное строительство
на Северном Кавказе 61
Yaroslav Pylypchuk
Mountain integrism: National Construction in the North Caucasus 93

Борис Харсиев
Общественно-политическое положение на Северном Кавказе 95
Boris Kharsiyev
Social-political situation in the North Caucasus 96

უჩა ოქროპირიძე
პარალელური აზრები: სტივენ ჯონსის წიგნი – „საქართველო – პოლიტიკური
ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“ – სოციალურ მეცნიერებათა
ცენტრი, თბილისი, 2012 112
Ucha Okropiridze
Parallel Thinking: Steven Jones's book - "Georgia - Political History after the Declaration
of Independence". Center for Social Sciences, Tbilisi, 2012 113

ნინო ოქროსცვარიძე
ჰაიდელბერგული ჩანაწერები – ილია ხიმშიაშვილი
გზა თურქეთიდან გერმანიამდე 129

ლერი ჯიბლაძე

შოთა ჩართოლანის მეცნიერული მემკვიდრეობიდან. კოლხეთის მთიანეთი ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში

გამოჩენილმა ქართველმა არქეოლოგმა შოთა ჩართოლანმა მეცნიერული მოღვაწეობის დიდი ნაწილი მიუძღვნა კოლხეთის მთიანეთის შესწავლის საქმეს. მისი ხელმძღვანელობით სვანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ XX საუკუნის 80-იანი წლებიდან სისტემური არქეოლოგიური დაზვერვებითა და სტაციონარული გათხრებით სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა არაერთი სხვადასხვა კატეგორიის ძეგლი.[1]

წინასწარ აღვნიშნავთ, რომ შეუძლებელია ამ მცირე ფორმატის სტატიაში შოთა ჩართოლანის მეცნიერული მემკვიდრეობის ამომწურავი შეფასება. ცნობილი მეცნიერის კვლევის სპექტრი იმდენად ფართო და მრავალმხრივია, რომ ძნელია გამოვყოთ რომელიმე საკითხი და უპირატესობა მივანიჭოთ კვლევის თვალსაზრისით.

წინამდებარე სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ სვანეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლების, ზოგიერთი არტეფაქტის მეცნიერულ ღირებულობაზე, რომელთაც ქართულ არქეოლოგიურ მეცნიერებაში, ახალი აღმოჩენების ფონზე, დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა. ცნობილი მკვლევარის მეცნიერული დებულებები და მიღებული შედეგები არაერთხელ აისახა მის მიერ გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სამეცნიერო სტატიებში,რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს [ჩართოლანი 1966:37-38; ჩართოლანი 1968:300-316; ჩართოლანი 1971:49-61; ჩართოლანი 1971-ა:297-346;

[1] სვანეთის მხარის სისტემური დაზვერვითი ხასიათის არქეოლოგიური კვლევა-ძიება იწყება მხოლოდ XX ს-ის 60-იანი წლებიდან. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა რაჭის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელმაც 1961 წელს გ. გობეჯიშვილის თაოსნობით და შ. ჩართოლანის მონაწილეობით არქეოლოგიური დაზვერვები ჩაატარა მესტიის რაიონში. 1964 წელს კი შეუდგა სვანეთის 1936 წელს დაარსებულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული არქეოლოგიური კოლექციების შესწავლას. ამის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა ინტერესი სვანეთის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის მიმართ [ჩართოლანი 1977: 10-11]. მდ. ნენსკრას ხეობაში თითქმის ამავე პერიოდში იწყება არქეოლოგიური სამუშაოები ლალირალის სამაროვნის შესწავლით. ამ საკითხზე დაწვრილებით იხილეთ [ჩართოლანი 1977; კვიციანი, ჯიბლაძე 2015:9-14].

ჩართოლანი 1972 : 71-72; ჩართოლანი 1976; 1977; Чартолани 1989; ჩართოლანი 1996; Tschartolani 2001; ჩართოლანი, ცინდელიანი 2010-ა].

სვანეთის რეგიონში უხვადაა აღმოჩენილი ლითონის არტეფაქტები, რომელთა შორის გამოვყოფდით სპილენძ-ბრინჯაოს ყუამილიან-ყუადაქანებულ ცულებს, ბრტყელ ცულებს, შუბისპირებს, საკულტო-სარიტუალო დანიშნულების ნივთებს,სხვადასხვა სახეობის კოლხურ ბრინჯაოს ცულებს და ა.შ. შოთა ჩართოლანმა პირველმა მოგვცა მათი სისტემატიზაცია, ტიპოლოგიური დახასიათება, ქრონოლოგიური კლასიფიკაცია, მოუძებნა შესაბამისი პარალელები, დაადგინა მათი გავრცელების არეალები და ა.შ. ამდენად იგი რჩება სვანეთის მხარეში პირველი გზისმკვლევი ამ საკითხების კვლევა-ძიების საქმეში.

სვანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი სპილენძის ფართოტანიანი ყუადაქანებული ცულებით (იფარის თემი – სოფ. წვირმი, ჭუბერის ხეობა), ყუნწიანი და უყუნწო შუბისპირებით (იფარის თემი, ჟახუნდერი), საჩხერული ტიპის ყუამილიანი და ყუადაქანებული ცულებითა და მათი უახლესი პარალელებით მეცნიერულად დაასაბუთა, რომ ამ მხარეში ძვ.წ. III ათასწლეულიდან მოყოლებული მუდმივად ცხოვრობდა მოსახლეობა [Чартолани 1989: 245; ჩართოლანი 1996:272].

მეცნიერმა ზემოთ მოხსენიებული არტეფაქტებით დაადგინა, რომ სვანეთის მხარეს სხვადასხვა პერიოდში საკმაოდ მჭიდრო კონტაქტები გააჩნდა კოლხეთის ბართან, ზემო იმერეთის პლატოსთან, აფხაზეთის მხარესთან, ჩრდილო კავკასიასთან და ა.შ. იგი ასევე გარკვეული კონტაქტების არსებობაზე მიუთითებდა შიდა ქართლის მხარესთან, რომლის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტორი უნდა ყოფილიყო აქ მიკვლეული ცენტრალურ ამიერკავკასიური ბრინჯაოს ცულები. ამ ტიპის ცულები კოლხეთის მთისწინეთში სვანეთის გარდა რაჭა-ლეჩხუმშიც (ტბეთი, ახალსოფელი, ცაგერას განძი) გვხვდება, რომელთაგან რამდენადმე განსხვავებულია ჰიბრიდული ცულები ღარიდან და ქვემო რაჭიდან (ამ უკანასკნელის წარმომავლობის ზუსტი პუნქტი უცნობია). შესაძლოა შორეულ წარსულში სწორედ სვანეთიდან რაჭის ქედზე გამავალი საკომუნიკაციო ბილიკებით ხორციელდებოდა კონტაქტები ზემო იმერეთის მხარესთან.

დასავლეთ საქართველოს მაღალმთიან ზოლში მდებარეობას, შედარებით მკაცრ ბუნებრივ კლიმატურ პირობებს, ძნელად მისადგომ ადგილებში ცხოვრებას თითქოსდა უნდა განეპირობებინა მთიანი სვანეთის ერთგვარი გამიჯვნა და კარჩაკეტილობა გარე სამყაროდან. მიუხედავად აღნიშნული მიზეზისა, ეს რეგიონი

გარე სამყაროსთან კონტაქტების თვალსაზრისით აქტიურად ჩანს ჩართული. სვანეთი ბრინჯაოსა და კლასიკურ ხანაში, ასევე უფრო მოგვიანი პერიოდებში, გარე სამყაროს უკავშირდებოდა საკომუნიკაციო გზებით, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა კავკასიონის უძველესი მაგისტრალების სისტემაში [ჩართოლანი 1996:20-35; კვიციანი 2000:53-63].

ცნობილ მეცნიერს დიდი დამსახურება მიუძღვის სვანეთის რეგიონზე გამავალი გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი საკომუნკაციო გზების (ბილიკების) დადგენა-გამოკვლევებისა და მეცნიერული შესწავლის საქმეში. იგი აღნიშნავდა,რომ სვანეთი ბრინჯაო-ადრერკინასა და კლასიკურ ხანაში, ასევე უფრო მოგვიანო პერიოდში გარესამყაროს უკავშირდებოდა საკომუნიკაციო გზებით, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ცენტრალური კავკასიონის უძველესი მაგისტრალების სისტემაში. მისი აზრით, დიდი და მცირე კავკასიონის მთებში უღელტეხილებზე გამავალი, ასევე ხევისპირა, გვერდითი, ბილიკების რაოდენობა 50-ს აღემატება [ჩათოლანი 1996:20-35]. შ. ჩართოლანის აღნიშვნით, დღეისათვის არსებული არქეოლოგიური ძეგლების, კარტოგრაფიული მასალების, წერილობითი და ზეპირი გადმოცემების შეჯერების შედეგად დასტურდება, რომ საუღელტეხილო გზები თითქმის ყოველთვის თანხვდება ძველ მიმართულებებს.ეს ბილიკები უძველეს პერიოდში გამოყენებაში უნდა ყოფილიყო სვანეთისა და მეზობელი რეგიონების მოსახლეობებს შორის კონტაქტების დასამყარებლად.

შოთა ჩართოლანს სხვა მკვლევარებთან ერთად (თ. ბერაძე, ს. რეხვიაშვილი, ს. მაკალათია, დ. მუსხელიშვილი, და სხვ.) ასევე დიდი დამსახურება მიუძღვის მთის რაჭის (თანამედროვე ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორია) ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელი საკომუნიკაციო გზების შესწავლის საქმეში.

პრეისტორიულ ხანაში მთის რაჭა გარე სამყაროდან კულტურულად არ იყო მოწყვეტილი. პირიქით, ამ მხარეს საკმაოდ აქტიური კონტაქტები გააჩნდა ბრინჯაოს ხანაში სხვადასხვა რეგიონთან. ეს მჭიდრო კავშირურთიერთობები განსაკუთრებით მთის რაჭასა და დიგორიას შორის კარგად აისახა პროტოყობანურ ხანაში მატერიალური კულტურების მსგავსებაში, რასაც ხელს უწყობდა მათი ტერიტორიული სიახლოვე და დამაკავშირებელი საკომუნიკაციო გზები.

ზემო რაჭა (რიონის სათავე და მდ. ჭანჭახის შუა წელი) ჩრდილო კავკასიას (დიგორს, დვალეთს, ბალყარეთს) ძირითადად საუღელტეხილო გზებით უკავშირდებოდა [მუსხელიშვილი 2004:107; ჯიბლაძე და სხვ. 2017]. კავკასიის ქედზე ასეთი გამავალი ხუთი

გადასასვლელი იყო. ეს რეგიონი ფასის მთისა (გეზეს, გეზივცეკის, სიმაღლე 3435 მ) და მაჩხაფარის (შავრიცეკის ანუ შდულის) უღელტეხილებით – ბალყარეთს (3465 მ ჩერეკის, არდონის ხეობები) უკავშირდებოდა; ღების – მამისონის (ანუ ჭანჭახის, სიმაღლე 2819 მ) უღელტეხილით – არდონის ხეობაში (დვალეთი) გადადიოდი. ღებიდან მდ. ჩეშურას ხეობის აყოლებით კირტიშოს მთის (ღებივცეკის, სიმაღლე 3465 მ) უღელტეხილით კი ურუხის ხეობაში ხვდებოდი. მეორე გზა ჭიორიდან მდ ნოწარას ხეობას მიუყვებოდა და ჭიორის მთის, ანუ გურზივცეკის (კარაგომის, სიმაღლე 3225 მ) უღელტეხილის გავლით კარაგომის ხეობაში ეშვებოდა [ბერაძე 1975:143]. მდ. ნოწარას ხეობით ბილიკი მამისონის უღელტეხილის (ანუ ჭანჭახის, სიმაღლე 2829 მ) გავლით დვალეთშიც მიდიოდა.

განსაკუთრებით გამოსაყოფია ცნობილი მკვლევარის დიდი დამსახურება ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთებზე განლაგებული უძველესი სამთამადნო წარმოების ძეგლების შესწავლის საქმეში. მან ღირსეულად გააგრძელა თავისი მასწავლებლის და უფროსი კოლეგის გერმანე გობეჯიშვილის დაწყებული საქმე სამთო მეტალურგიის შესწავლაში. შოთა ჩართოლანმა პირველმა ჩაატარა არქეოლოგიური დაზვერვები აფხაზეთის მთიანეთში, დაწყებული შხაბზიიდან (მდ. ბზიფის სათავეები), ვიდრე ტვიბრაშენამდე (ბაშკაცარა) არსებულ მონაკვეთში (მდ. კოდორის მარჯვენა შენაკადი). აქ გამოავლინა ადრეული პერიოდის ღია და შედარებით მოგვიანო ხანის დახურული ტიპის სპილენძის ძველი მადნის გამონამუშევრები [ჩართოლანი 1971:49-61; Муджири 2008].

აღსანიშნავია, რომ მდ. ბზიფისა და კოდორის სათავეებში შოთა ჩართოლანის მიკვლეულ სამთამადნო წარმოების ძეგლებზე, 1975-1987 წწ. მუშაობა გააგრძელა ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტისა და აფხაზეთის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის გაერთიანებულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციებმა (ხელმძღვანელი ვ. ბჟანია).

განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ზემო სვანეთში – მდ. მესტია ჭალას მარცხენა ნაპირზე შესწავლილი ზაარგაშის დახურული ტიპის ძველი სამთო-გამონამუშევრები. აღმოჩენილი იქნა სპილენძის მადნის გამოსაღები 15 მაღარო, რომელთაგან განსაკუთრებით საყურადღებო გამოდგა ზაარგაშის №1 და №2 მაღარო გამონამუშევრები. ამ ობიექტებზე დაფიქსირდა სამთო წარმოების ძეგლებისათვის დამახასიათებელი მოწყობილობები და იარაღები: მიწისქვეშა გვირაბები, ერდოები, მაღარო გამონამუშევრების კედლების გასამაგრებელი ხის ძელები, სავენ-

ტილაციო ხვრელები, დარბაზები, ქვის უროები, ჩაქუჩები და ა.შ. მაღარო გამონამუშევრების იატაკზე აღმოჩნდა ხის ძელები, ხის გობის ფრაგმენტები, ნახშირები და სხვ. როგორც ჩანს, სპილენძის მადნის პირველადი გამდიდრება-გადარჩევა ხდებოდა გვირაბის შესასვლელის წინ საგანგებოდ გამართულ მოედანზე [Tschartolani 2001:120- 129; ინანიშვილი და სხვ. 2010].

სვანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შოთა ჩართოლანის თაოსნობით ლაფურას მთაზე, ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე, გეოლოგებთან ერთად მიაკვლია სპილენძის მადნის ძველ გამონამუშევრს. სამწუხაროდ, ლაფურას გამონამუშევრების შესასვლელი ჩამოინგრა და არქეოლოგიური სამუშაოების გაგრძელება შემდგომში ვერ მოხერხდა.

სვანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ეს ძეგლები ამჟღავნებს სამთამადნო წარმოებაში გამოყენებულ ტექნიკა-ტექნოლოგიური შესაძლებლობის ათვისების სხვადასხვა ეტაპს, დაწყებული ღია კარიერების მარტივი ფორმებიდან, მიწისქვეშა რთული სქემის გვირაბების ჩათვლით. ძეგლებზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის, რადიოკარბონული მეთოდით დათარიღებული ნიმუშების შედეგებით და მაღარო-გამონამუშევრების კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური სქემების მიხედვით, სვანეთის სამთო კომპლექსი დათარიღებულია ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან ძვ.წ. I ათასწლეულის შუახანების ჩათვლით.

შ. ჩართოლანმა თავის ნაშრომებში დიდი ყურადღება დაუთმო სვანეთიდან მომდინარე საკულტო-სარიტუალო ნივთების (ყუამილიანი შტანდარტი, საკიდები, ცხვარჩიტა, ბრინჯაოს ზოომორფული პლასტიკის ნიმუშები) გამოკვლევის საკითხებს. არქეოლოგიური არტეფაქტებთან ერთად ამ კუთხის ეთნოგრაფიული მასალების შესანიშნავმა ცოდნამ და მისმა გამოყენებამ კვლევით საქმიანობაში, ცნობილ მეცნიერს შესაძლებლობა მისცა გაეკეთებინა სათანადო დასკვნები.ამ მონაცემებს დღესაც იყენებენ როგორც არქეოლოგიური მეცნიერების, ასევე სხვა დარგის სპეციალისტები.

ცხადია, გვერდს ვერ აუვლით შ. ჩართოლანის დამსახურებას სამაროვნების შესწავლის საქმეში. ცნობილმა მეცნიერმა გამოიკვლია ახალმშენებლობის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბრინჯაოს, ადრერკინისა და კლასიკური ხანის ძეგლები: როგორიცაა ბოგრეშის სამარხი, ქართვანისა და ლარილალის სამაროვნები. საინტერესოა, რომ ამ უკანასკნელზე, კოლხეთის დაბლობის სამაროვნების მსგავსად დადასტურდა საკრემაციო მოედნები, ნახევრად კრემაცია, მიცვალებულთა მეორადი დაკრძალვის წესით.

აღსანიშნავია, რომ სვანეთში დღემდე არ არის აღმოჩენილი ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები. სავარაუდოდ

ისინი აქ არსებობდა, რასაც უნდა ადასტურებდეს მოხსენიებული პერიოდების მრავალრიცხოვანი ლითონის ინვენტარი, რომელთა ჩამომსხმელი უნდა ყოფილიყო ამავე ეპოქის ნამოსახლარებზე მცხოვრები სვანურენოვანი მოსახლეობა.

ჩვენი ცოდნა სვანეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების არსებობაზე ძალზე შეზღუდულია. შეგროვილი მასალების მიხედვით ამ პერიოდის ძეგლები სოფ. იფარში – „ლასილა-ლაროლარ“, „ლასილა-სგიმულდ“, ბოგრეში, სოფ. კალაში „სკარეშის გორა“, მესტიაში – „ზურულდი! დაფიქსირებულია მხოლოდ არქეოლოგიური დაზვერვებითა (ზედაპირულად შეკრებილი მასალების მიხედვით) და მცირე მასშტაბის გათხრებით.

აღნიშნული პერიოდის ძეგლები, თუ არ ჩავთლით კლასიკური ხანის ხაიშის, ეცერისა და უშგულის ნამოსახლარებს, სტაციონარული არქეოლოგიური გათხრებით შესწავლილი არ ყოფილა. შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ინვენტარი, მათ შორის სხვადასხვა სახეობის კოლხური ცულები, ნამგლები, თოხები, სატეხები, ბაბილეს ბრინჯაოს კოლექცია, ქართვანისა და ლარილარის სამაროვნების ურთიერთმიმართება კოლხეთის დაბლობის ამ კატეგორიის ძეგლებთან ადასტურებს, რომ სვანეთის რეგიონი მძლავრად იყო ჩართული ძველი კოლხური კულტურის გავრცელების არეალში.

შოთა ჩართოლანი არქეოლოგიური მონაპოვრების, ეთნოგრაფიული, ისტორიული, ლინგვისტური, ფოლკლორული მასალების განხილვის საფუძველზე მიდის იმ დასკვნამდე, რომ სვანეთის ტერიტორიაზე არსებული უძველესი კულტურული მემკვიდრეობის შემქმნელი მოსახლეობა უკვე ძვ.წ. III ათასწლეულიდან მუდმივად ცხოვრობდა დღევანდელ ტერიტორიაზე [ჩართოლანი 1996:272; Чартолани 1989:245]. ამით მან უარყო ადრე გამოთქმული მოსაზრებები სვანურენოვანი მოსახლეობის პირველი ნაკადების კოლხეთის მთიანეთში შედარებით მოგვიანო პერიოდში გამოჩენის შესახებ.

ამ საკითხზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ კოლხეთის დაბლობზე მეგრულ-ზანურმა ქართველურმა ეთნიკურმა ნაკადმა შეავიწროვა პროტოკოლხური კულტურის მატარებელი სვანურენოვანი მოსახლეობა და დაიკავა დღევანდელი ზღვის სანაპირო ზოლი და მდ. რიონ-ენგურის აუზი, რის შემდეგ ბარში მცხოვრები წინარეკოლხური კულტურის მატარებელი სვანურენოვანი მოსახლეობა ინაცვლებს მთაში, ნაწილი კი რჩება დაბლობ ზოლში და ერწყმის კოლხურ (მეგრულ-ზანურ) ნაკადს [ბარამიძე 1998:20].

პროფ. თ. მიქელაძე თავის ნაშრომებში სვანი ტომების განსახლება-გავრცელების საკითხებს შეეხო. იგი ლიტერატურუ-

ლი, ლიგვინსტურ-ტოპონომიკური და არქეოლოგიური მასალების განხილვის საფუძველზე მიდის იმ დასკვნამდე, რომ უძველესი ქართველური ეთნიკური ნაკადი – სვანურენოვანი მოსახლეობა ადრიდანვე ცხოვრობდა მდ. რიონის, ცხენისწყლისა და ენგურის აუზებში, მაგრამ თვით ისინი პროტოხეთური სამყაროდან უნდა ყოფილიყვნენ მოსულნი. თ. მიქელაძეს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სვანი ტომების მოსვლის მიზეზად მიაჩნია საერთო ქართველური მასიდან მათი ენობრივი მოწყვეტა, რომელიც ძირითადად ემთხვევა სვანთა აქ მოსვლის თარიღს [მიქელაძე 1974:19-20].[2]

ფიქრობენ, რომ ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულისათვის სვანეთის რეგიონს ერთ-ერთ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა კოლხეთის ბარის, კერძოდ მდ. ენგურის ქვემო წელში მდებარე ბრინჯაოს საწაროო სახელოსნოების ლითონის ნედლეულით მომარაგების საქმეში [ჩართოლანი მ. 2012: 68-82].

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ შოთა ჩართოლანის მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელიც გადმოცემულია არაერთ ნაშრომში, წარმოადგენს სამაგიდო წიგნებს, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურების პრობლემურ საკითხებზე მომუშავე ვერცერთი სპეციალისტი. ასევე მეზობელი რეგიონების, განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიისა და ყობანური ბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურებზე მომუშავე არქეოლოგები.

[2] უძველესი ქართველური ეთნიკური ნაკადის სვანურენოვანი მოსახლეობის გეოგრაფიული საცხოვრისის შესახებ, ენობრივი მონაცემების საფუძველზე და ბერძნულ-ბიზანტიური წყაროების მიხედვით, საინტერესო ცნობებს გვაწვდის არაერთი ავტორი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ეს საკითხები დეტალურად განხილულია [ჩართოლანი 1996:253-273].

Leri Jibladze

Scientific legacy of Shota Chartolani.
Colchis Highland in Bronze-Early Iron Ages

Summary

The famous Georgian archaeologist Shota Chartolani led groups of archaeological expeditions in Svaneti for decades. They not only carried out exploration of many archaeological sites, but also carried out permanent excavations of many of them, which were later successfully filtered into the scientific literature.

Sh. Chartolani systematized, typologically characterized and chronologically classified copper and bronze artifacts previously discovered in Svaneti. He also established the areas of their distribution and, after a careful study of all bronze objects, suggested that the Svaneti region was closely connected with neighboring regions. Sh. Chartolani carefully examined all the roads and paths connecting Svaneti with the rest of the regions of Georgia. Thanks to the merits of Sh. Chartolani, ancient ore centers located on the southern slopes of the Central Caucasus Range were explored. He was the first to conduct archaeological research in highland Abkhazia and identify a number of copper mines that had been closed in ancient times. The scientist explored an old ancient closed quarry in Zemo (Upper) Svaneti, discovered on the left bank of the Mestiachala River. He tried to study individual cult and ritual artifacts, excavated monuments of the Bronze-Iron Age and the classical period - the burial of Bogreshi, the burial grounds of Kartvani and Larilari.

The settlements of Svaneti of the Bronze and Iron Ages, with the exception of the sites of Khaishi, Etseri and Ushguli of the classical period, have never previously been subjected to constant research. Their location was simply recorded as a result of archaeological surveys and ground research. Random finds of bronze artifacts originating from Svaneti clearly indicate that this region was part of the zone of distribution of Colchian culture. Sh. Chartolani suggested that the population that was the creator of this ancient cultural heritage, occupied the territory of Svaneti already in the 3rd millennium BC.

ლიტერატურა

ბარამიძე მ. 1998: აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები). სადოქტორო ავტორეფერატი, თბილისი

ბერაძე თ. 1975: რაჭა ფეოდალურ ხანაში (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, №5, თბილისი, გვ. 132-152

ინანიშვილი გ; მაისურაძე ბ; გობეჟიშვილი გ. 2010: საქართველოს უძველესი სამთამადნო და მეტალურგიული წარმოება (ძვ. წ. III-I ათასწლეულებში), თბილისი

ინანიშვილი გ; ჯიბლაძე ლ. 2019: კოლხეთის ბრინჯაოს წარმოების ისტორიისათვის თბილისი

კვიციანი ზ. 2000: საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის საკომუნიკაციო სისტემები (სამიმოსვლო გზები). კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, VIII, თბილისი, გვ. 53-63

კვიციანი ზ; ჯიბლაძე ლ. 2015: უახლესი აღმოჩენები სვანეთში, თბილისი

მიქელაძე თ. 1974: ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბილისი

მუსხელიშვილი დ. 2004: საქართველო IV-VIII ს-ებში, თბილისი

ჩართოლანი შ. 1966: სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1965 წლის საველე მუშაობის შედეგები. XV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1965 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბილისი გვ. 37-38

ჩართოლანი შ. 1968: ლარილარის სამაროვანი. საქართველოს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბილისი, გვ. 300-316

ჩართოლანი შ. 1971: სპილენძის ძველი გამონამუშევრები მდ. ბზიფისა და კოდორის ხეობაში. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს თბილისი, გვ. 49-61

ჩართოლანი შ. 1971-ა: სპილენძის უძველესი იარაღები სვანეთიდან, საისტორიო კრებული, ტ. I, თბილისი, გვ. 297-346

ჩართოლანი შ. 1972: სვანეთის არქეოლოგიური დაზვერვა 1971 წელს, თბლისი, გვ. 71-72

ჩართოლანი შ. 1976: მასალები ძველი სვანეთის არქეოლოგიისათვის, თბილისი

ჩართოლანი შ. 1977: სვანეთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი

ჩართოლანი შ. 1996: ძველი სვანეთი, თბილისი

ჩართოლანი შ. 2010: შრომები, თბილისი

ჩართოლანი შ; ცინდელიანი მ. 2010-ა: კოდორის ხეობის დალის მხარის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი

ჩართოლანი მ. 1992: დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში სვანთა თავდაპირველი დასახლების საკითხისათვის, მაცნე №2, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, გვ. 68-82

ჯიბლაძე ლ; დავლიანიძე რ; გობეჯიშვილი გ. 2017: ბრილის ე. წ. შუაბრინჯაოს ხანისა და დიგორიის პროტოყობანური პერიოდის მასალების ურთიერთმიმართების საკითხისათვის, თბილისი

Муджири Т. 2008: Горнорудное производство древней Грузии, Тбилиси

Чартолани Ш. 1989: К истории нагорья Западной Грузии доклассовой эпохи, Тбилиси

Tschartolani Schota 2001: Alter Bergbau in Swanetien, Georgien schätze aus dem land des Goldenen vlies, Boxum, Seiten 120- 129

ნინო ჩარექიშვილი

დაკრძალვის ხეთური წესი და პარალელები სამხრეთ კავკასიასთან

დაკრძალვის ხეთური რიტუალი 13 ან 14 დღე გრძელდებოდა, რომელიც ყოველდღე სხვადასხვა ცერემონიებს მოიცავდა. სამეფო დაკრძალვის რიტუალი დღეს ცნობილია როგორც *šalliš waštaiš* რიტუალი. გამოთქმა *šalliš waštaiš* ნიშნავს „დიდ ცოდვას/უბედურებას“, მეფის ან დედოფლის სიკვდილის ევფემიზმს, რომელიც გამოყენებულია საწყის სტრიქონებში: „**როდესაც ხათუსაში დიდი უბედურება ხდება, ან მეფე ან დედოფალი ღმერთი ხდება**“. ტექსტში შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი ნაწილი: პირველი მოიცავს სხეულის კრემაციას; და მეორე – სხვადასხვა ტიპის მიკრო რიტუალებს, რომლებიც ფოკუსირებულია გარდაცვლილის ქანდაკებაზე. შესრულების ადგილი უნდა ყოფილიყო ხეთების დედაქალაქთან ან როგორც წესი, მის მახლობლად, მაგრამ ზუსტი ადგილმდებარეობა არ არის ნახსენები, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი აღნიშნავს კრემაციის ადგილს, „მარადიულ ადგილს“ და ასევე „ქვის სახლს“[1], ანუ სამარხს, აკლდამას. თეო ვან დენ ჰოუტმა გამოყო რიტუალში ორი განზომილება, პირველი – მეფის ფიზიკური სხეული, მისი „ბუნებრივი სხეული“ და მეორე – ინსტიტუციონალური სხეული, „პოლიტიკური ორგანო“, რომელიც წარმოდგენილია ქანდაკებით.[2] ასევე შემორჩა დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებული სხვა ტექსტებიც და ტექსტების მცირე ფრაგმენტებიც.[3]

ტექსტებიდან კარგად ჩანს, რომ მიცვალებულის კრემაცია ხდებოდა (კრემაციის შემდეგ კი ცეცხლის ჩასაქრობად გამოიყენებოდა: ლუდი, ღვინო და ვალხი[4] {სარიტუალო სასმელი}),[5] ან

---

[1] Rutherford, 2007:223-224

[2] van den Hout, 1994

[3] მაგ.: CTH 450.II.1, CTH 450.II.2, CTH 450.II.3, CTH 450.III.5.A. KUB 39.15, CTH 450.III.9. KUB 39.17, CTH 450.III.15. KUB 39.31, CTH 451, CTH 459. KUB 60.87, CTH 667.1.G. IBoT 2.130, CTH 488.

[4] სავარაუდოდ ეს უნდა იყოს თაფლუჭი: *walḫi-*/ *walaḫḫi-* (*n.*), *walḫiyant-* (*c.*) (= KAŠ.LÀL).

[5] საინტერესოა ამ მხრივ ქართული წესი: როდესაც სასაფლაოსკენ მიასვენებდნენ მიცვალებულს, რომელი სახლის წინაც გაატარებდნენ, იმ ოჯახის წევრი გამოიტანდა ნაცარს, დაყრიდა ძირს და წყალს ასხამდა. ეს უნდა იყოს საკრემაციო კოცონის ჩაქრობის შემორჩენილი იმიტაცია [ახუაშვილი, 2007].

ინჰუმაცია. ინჰუმაციის დროს მიცვალებულს ათავსებდნენ დიდ ქვევრში/პითოსში, მოხრილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ჰაასი თვლის, რომ ამ ფორმით დაკრძალვა ჩვეულებრივი იყო ღარიბი მოსახლეობისთვის.[6] საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ზოგ შემთხვევაში გარდაცვლილებს კრძალავდნენ სახლის იატაკის ქვეშ. ეს უნდა მიუთითებდეს გარდაცვლილის ოჯახის იმ რწმენაზე, რომ იმ ქვეყნად გადასული ადამიანი კვლავ მონაწილეობს მათი ცოცხალი ნათესავების ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს იყო ოჯახის ერთად ყოფნის იდეის სიმბოლური გამოხატულება. ხეთებს ეგვიპტის მსგავსად პომპეზური სამეფო აკლდამები და სამარხები არ ჰქონიათ. ჯერჯერობით მსგავსი რამ, რომელიც შეიძლება იდენტიფიცირებული იყოს, როგორც სამეფო სამარხი, აღმოჩენილი არ არის.[7] დასახლებული პუნქტების უშუალო სიახლოვეს უზარმაზარი ნეკროპოლები ჯერ არ არის აღმოჩენილი, ან ათასწლეულების განმავლობაში მომხდარმა ეროზიამ სამარხების ყველა კვალი მთლიანად წაშალა. ხეთურ დაკრძალვის რიტუალში ჩანს, რომ მიცვალებულის კრემაცია ხდებოდა აკლდამის გარეთ. კრემაციის შემდეგ ქალები აგროვებდნენ მიცვალებულის ძვლებს და აწყობდნენ ზეთით სავსე ვერცხლის თასში. შემდეგ იღებდნენ ამ ძვლებს, ახვევდნენ სუდარაში და სხვადასხვაგვარ სკამებზე აწყობდნენ: თუ მამაკაცის იყო – ტახტზე, თუ ქალის იყო – პატარა უზურგო სკამზე. შემდეგ კრემაციის ადგილიდან მიცვალებულის ძვლები გადაჰქონდათ აკლდამაში, სადაც იყო საძინებელი ოთახი საწოლით, რომელზედაც დაასვენებდნენ ძვლებს. თრიალეთისა და ზურტაკეთის ყორღნებშიც ადამიანის ძვლები არ აღმოჩენილა. ბ. კუფტინმა ივარაუდა, რომ ხდებოდა მიცვალებულის კრემაცია. თრიალეთის ზოგიერთ ყორღანში დადასტურებული იყო ადამიანის კბილების ფრაგმენტები. ბ. კუფტინის აზრით, მიცვალებულს კრემაცია უტარდებოდა ყორღნის გარეთ, სამარხში კი მოთავსებული იყო მისი დამწვარი ნეშტი, მიცვალებულის ფერფლი იდო პირდაპირ სარეცელზე, ისევე როგორც ეს აღწერილი იყო ხეთურ დაკრძალვის რიტუალში. ყორღნების გაწყობილ კამერაში მიცვალებული ურემზე (ბედენის №4, №5, №10 და წნორის №1 და №2 ყორღნები), ან ხის სარეცელზეა (თრიალეთის LXXXVI, ბედენის №5 ყორღნები) დასვენებული.[8] შ. დედაბრიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, თითქოს წნორის №2

[6] Haas, 1994:233.

[7] Bryce, 2002:179.

[8] Куфтин, 1941:100; გობეჯიშვილი, 1981:32,34,39,47,93,99; Дедабришвили, 1979:22,40; ნარიმანიშვილი, 2015:97.

ყორღნის ყრილქვეშ, დასაკრძალავი კამერის გვერდით აგებულ წრიულ ნაგებობაში იყო დასვენებული მიცვალებული ძირითადად დასაკრძალავში ჩასვენებამდე.[9] შესაძლოა ეს წრიული ნაგებობა გავაიგივოთ იმ „საძინებელ ოთახთან“, სადაც ხეთები კრემაციის შემდეგ მიცვალებულის ძვლების დაასვენებდნენ ხოლმე. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ვეთანხმებით ბ. კუფტინის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სამხრეთ კავკასიაში აღმოჩენილი ყორღნები შეიძლება ხეთურ „ქვის სახლს“ შეესაბამებოდეს.[10] ხეთური „ქვის სახლი“ და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გორასამარხები, კერძოდ ქვაყრილიანი ყორღნები (მაგ.: საბიდახჩას XXVIII-XXXI, ტაბაწყურის XLI-XLIII, XLIV, ზურტაკეთის თითქმის ყველა ყორღანი, ვერინ ნავერის ექვსივე ყორღანი)[11] თავისი დანიშნულებით მსგავსი უნდა ყოფილიყო.[12] მაგალითად, ბედენის კულტურის ყორღნებში დასაკრძალავები ოთხკუთხა ფორმის ძელურ ან ქვის ნაგებობას, აკლდამას წარმოადგენს. ქვით ნაგები მიწისზედა დასაკრძალავები თრიალეთის კულტურაში უფრო მრავლადაა გამოვლენილი და მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. ქვით ამოყვანილი კედლები აქვს მესხეთში გათხრილ ყორღნებს, რომლებიც ქვის დიდი ფილებითაა გადახურული. ასეთივე კონსტრუქციისაა ლორი ბერდის ექვსი სამარხიც.[13] სავარაუდოდ ასეთი შეიძლება ყოფილიყო შუმ.: $É.NA_4$ – აკლდამა, სამარხი,[14] რომელსაც ხეთები როგორც „ქვის სახლი“, ხშირად იყენებენ ტექსტებში (მაგ.: დაკრძალვის რიტუალებში) იგივე მნიშვნელობით. არსებობს მოსაზრება, რომ „ქვის სახლი“ იაზილიქაიას პატარა ოთხკუთხა ნაგებობებია, ასევე შეიძლება ყოფილიყო ბოღაზქოის I ტაძრის ეზოებში.[15] ამავე დროს საყურადღებოა თავად ხეთური სიტყვები: ^{É}*ḫešta/i* – ხეთ.: მიცვალებულის სალოცავი/ტაძარი (ქვესკნელის ღვთაებების ტაძარი),[16] მავზოლეუმი,[17] აკლდამა. ^{É}*ḫaštiyaš* – (ნეშტი, ძვალი) საძვალე.[18] აქვე ყურადღება უნდა მივაქციოთ ხეთურ დაკრძალ-

[9] Дедабришвили, 1979:24.

[10] Куфтин, 1941:81-83.

[11] ნარიმანიშვილი, 2015:39.

[12] ბერიაშვილი, 1982:49.

[13] ნარიმანიშვილი, 2015:40-41.

[14] ტატიშვილი, 2013:39.

[15] Brentje, 1999:69

[16] Tischler, 2008:54.

[17] Puhvel, 1991:319. (Vol. 3: Ḫ).

[18] ტატიშვილი, 2017:18.

ვის რიტუალში ნახსენებ „კარავს“. ე. გოგაძე ინჰუმაციური და კრემაციული წესით დაკრძალვის რიტუალის განხილვის დროს სამხრეთ კავკასიის წრიულ ქვის ნაგებობებსაც ეხება.[19] ის ამ ტიპის ნაგებობებსა და ხეთურ ტექსტებში დაკრძალვის რიტუალთან აღწერილ „კარავს“, „ქვის სახლს“ შორის მსგავსებას ხედავს.[20] წრიულ ნაგებობებს შეიძლება ჰქონდეთ საერთო „ქვის სახლთან“, თუმცა „კარავთან“ ვერ დავაკავშირებთ. ვერც თავად „ქვის სახლსა“ და „კარავს“ ვერ გავაიგივებთ, ვინაიდან, „ქვის სახლი“ ეს უნდა ყოფილიყო წინასწარ გამართული ქვის ნაგებობა – აკლდამა, ხოლო კარავი იყო რიტუალისთვის საგანგებოდ გაშლილი. მაგალითად, როდესაც მიცვალებულის ქანდაკება დასაჯდომი ეტლიდან გადმოაქვთ, ის კარავში შეაქვთ და ვერცხლის ტახტზე სვამენ. თუკი გარდაცვლილი ქალია, მას პატარა უზურგო ოქროს სკამზე სვამენ და იმართება ტრაპეზი. კარავში მიცვალებულის ქანდაკების ამგვარად დაბრძანება რიტუალში არაერთხელ ფიგურირებს, თანაც სხვადასხვა დღეს (8-9, 10-11, 12-13 დღეს). როდესაც რიტუალი მთავრდება, კარავი (როგორც ჩანს შლიან) შეაქვთ კარიბჭის შიგნით. ვფიქრობთ, კარავი სავარაუდოდ აკლდამასა და მსხვერპლშესაწირ ადგილს (სადაც წვავდნენ შესაწირს და ასევე მიჰქონდათ და ყრიდნენ სხვადასხვა სახის შესაწირის ფერფლს/ნაცარს, აკლდამიდან მოშორებით გაშლილ ადგილზე, მინდორში უნდა ყოფილიყო) შორის იდგმებოდა. სავარაუდოდ, კარავი ამქვეყნიური ცხოვრების, დროებითი სადგომის სიმბოლური გამოხატულება უნდა იყოს და რადგანაც მიცვალებულის ქანდაკებას საგანგებოდ ტახტზე/სკამზე სვამენ შესაძლოა სასახლის/ტახტის იმიტაციაც კი იყოს.

თრიალეთის ყორღნებისკენ მიემართებოდა სარიტუალო-საპროცესიო გზები, რომელიც მსგავსია ეგვიპტურ პირამიდებთან არსებული „აღმავალი გზებისა“, საპროცესიო გზებს ვხვდებით ასევე ურსა და ბაბილონშიც. დ. ნარიმანიშვილი თვლის, რომ სარიტუალო გზას სკნელებს შორის დაკავშირების საკრალური ფუნქცია ეკისრებოდა. სარიტუალო გზა მიცვალებულის ცაში, მზისაკენ ვირტუალური მსვლელობისათვისაც იყო გათვალისწინებული.[21] სარიტუალო გზები ხეთურ სამლოცველოებთან

[19] დ. ნარიმანიშვილი თვლის, რომ სამხრეთ კავკასიისთვის დამახასიათებელი ქვის წრიული (წნორი, ლორი ბერდი, აბულის „ციკლოპურ“ სიმაგრესთან გამართული დასახლება) ნაგებობები განასახიერებდა არქეტიპულ შენობას – წინაპრების სახლს (ნარიმანიშვილი, 2015:45).

[20] გოგაძე, 1972:93.

[21] ნარიმანიშვილი, 2015:236.

და დასაკრძალავებთანაცაა დადასტურებული.[22] წმინდა გზა მიემართებოდა ტაძრისაკენ ბოღაზქოიში.[23] მოკირწყლული გზები თრიალეთის ყორღანთა ორგანული ნაწილია და როგორც ჩანს ის დაკრძალვის რიტუალთანაა დაკავშირებული[24] და საპროცესიო მსვლელობისათვის იგებოდა,[25] რათა მიცვალებული ან მისი ფერფლი ეტლით შეეყვანათ „დასაკრძალავ დარბაზში“.[26] ასეთი სარიტუალო გზები უნდა ვიგულისხმოთ დაკრძალვის ხეთურ რიტუალშიც, სადაც ფიგურირებს ეტლი, მიცვალებულის გამოსახულება/ქანდაკება, აკლდამა, კარავი. დაკრძალვის რიტუალში ეტლის მონაწილეობა როგორც ხეთურ ისე კავკასიელი ხალხების რწმენა-წარმოდგენებში, კერძოდ ყორღნულ კულტურაში მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან ეტლი (ურემი) მიწიერი ცხოვრების სიმბოლური გამოხატულებაა. რასაც ქართული ფოლკლორული მასალაც ადასტურებს: „**ცას ურემი ავიტანე, ამოვიდა გორებითა, აქ ცხოვრებით გამიძეხით, საიქიოს – ცხონებითა**“.[27] ეტლს/ურემს ადამიანი გადაჰყავდა სხვა სამყაროში, ცხონებულ საიქიოში.[28]

ხეთებისთვის სწორად შესრულებულ დაკრძალვის წესს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ეს იყო საშუალება, რომ გარდაცვლილის სულს მიწისქვეშა სამყაროსთვის მიეღწია. სული უნდა დაწყნარებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იწყებდა სახიფათოდ ხეტიალს ცოცხალთა სამყაროში.[29] ამ მხრივ საინტერესო მომენტია ერთ ხეთურ ტექსტში.[30] როგორც ჩანს, სასახლემ დიდი შესაწირი შესწირა გარდაცვლილი ადამიანების ბოროტი გავლენის თავიდან აცილების მიზნით, რომლებმაც არ მიიღეს სათანადო წეს-ჩვეულებები: „**მათ მისცეს 140 შეკელი ვერ-ცხლი და 144 ცხვარი დაჩაგრული მკვდარი ხალხისთვის**“.[31]

გარდაცვლილის სხეულის შენარჩუნებაზე ხეთები არ ზრუნავდნენ, განსხვავებით ეგვიპტელებისაგან, რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სხეულის შენარჩუნებას, მუმიფიცირებას. ამიტომ ეგვიპტელთათვის კრემაცია ხეთებისგან განსხვავებით

---

[22] Маккуин, 1983: 132-136.

[23] Neve, 1993: 17-18.

[24] Narimanishvili und and., 2018:212.

[25] ნარიმანიშვილი, 2009:65.

[26] ჯაფარიძე, 1969:68; ნარიმანიშვილი, 2009:65.

[27] Юнг, 2003: 205-206.

[28] ნარიმანიშვილი, 2015:104.

[29] Archi, 2008:182-183.

[30] CTH 583.

[31] KUB 15.5 IV 37-39; Archi, 2008:183.

წარმოუდგენელი რამ იყო. ხეთებისთვის კი კრემაცია იყო გზა ღვთაებათა შორის მოხვედრისა,[32] საფლავი კი ამ სამყაროსა და იმ სამყაროს შორის ერთგვარი გარდამავალი ეტაპი. მიცვალებულის სული სრულიად დამოუკიდებელი იყო სხეულისაგან. დაკრძალვის რიტუალები მიცვალებულს სათანადოდ ამზადებდა და ეხმარებოდა იმ ქვეყნად გადასვლასა და დამკვიდრებაში. ამ მხრივ საგულისხმოა განზრახ გატეხილი საფლავის საგნები. ეს ჩვეულება, ალბათ სიმბოლურად გამოხატავს მიცვალებულის ამ ქვეყნიური ცხოვრების დასასრულს და ამავე დროს იმ ქვეყნიური ცხოვრების, როგორც ახლის დასაწყისს. გარდაცვალებით ადამიანი არ ამთავრებს ცხოვრებას, ის იმქვეყნად ხელახლა იშვება. ხეთურ მითოლოგიაში, როგორც სხვა ძველი ცივილიზაციების ხალხთა მითოლოგიაში, ამით ნაჩვენებია სიკვდილ-სიცოცხლის წრებრუნვა.

დაკრძალვის, განწმენდის თუ სხვ. რიტუალებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მსხვერპლშეწირვას. მაგალითად, ქვესკნელის ღვთაებებისადმი ცხოველის სახით შესაწირი სასურველი იყო, რომ ახალშობილი ყოფილიყო. მაგ.: ბატკანი, თიკანი, როგორც უბიწოების და უდანაშაულობის სიმბოლო, მხოლოდ ასეთი მსხვერპლი იყო ღმერთებისთვის მისაღები. შესაწირი ასევე სხვადასხვა სახის შეიძლება ყოფილიყო, მაგალითად: სასმელი/სითხე: ღვინო (სხვადასხვა სახით), ლუდი (სხვადასხვა სახით), ზეთი (სხვადასხვაგვარი), თაფლი, თაფლუჭი, რძე; ცხოველი/ცხოველური: ბატკანი, ცხვარი, ვერძი, თიკანი, ვაცი, თხა, ხარი, /საქონლის ღვიძლი, საქონლის სხვადასხვა ნაწილები;[33] სხვადასხვა ფრინველები, პატარა ჩიტები; სხვადასხვა ბურღულეული/მარცვლეული: პური (სხვადასხვაგვარი),[34] ქერი, ემერი, ცერცვი, ალაო, ქინძი, კვლიავი (ძირა), ქიშმიში და ა.შ.; მცენარეული წვნიანი, ფაფეული (მაგ.: ქერის, შვრიის); რძის ნაწარმი: ყველი, კარაქი; ხილი, ქიშმიში; ვერცხლის მონეტა[35] და ა.შ.

---

[32] ბერიაშვილი, 1982:50.

[33] სუფთა მსხვერპლშესაწირ ნაწილებად ითვლებოდა ასევე, გული, თავი, მკერდი, ნეკნები, ფეხები: KBo 13.101 Vs. 18; KUB 10.88 Rs. IV 8‘-10‘; KUB 27.1 Vs. I 15-16; KBo 23.42 (= ChS I12 Nr. 16) Vs. II 8-13; Kbo 24.57 + (= CHS 1/2 Nr. 17) Vs. II 3-16; KBo 29.213; KUB 32.123 + (= StBoT 30, 1985, 304-311) Rs. III 48-51.

[34] პურის უამრავი სახეობა არსებობდა, აცხობდნენ სხვადასხვა ფორმის პურებს, ან პურებზე გამოსახული იყო სხვადასხვა ფიგურები, მაგ.: მზე, მთვარე, ვარსკვლავები.

[35] ვერცხლის, სპილენძის მონეტების მსხვერპლშეწირვას ძველ ქართულ რიტუალებშიც ვხვდებით. მაგ,: მშენებლობისას საძირკვლის ოთხ კუთხეში ატანდნენ [ხაზარაძე, 2002:255], თვალით სნეულების შესაწირად [აბაკელია, 1997:95].

ხეთურ სამყაროში მიცვალებულებთან ერთად სამარხებში აღმოჩენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრის, ვირის, ცხენების ნაშთებიც. ეს ნიშნავდა იმას, რომ მომავალ ცხოვრებაში ისინი მეფისთვის საჭირონი იყვნენ, სამეფო მდელოები უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო პირუტყვით.[36] ხეთურ დაკრძალვის რიტუალში ნახსენებია ხარები, ცხვრები, ცხენები, ჯორები.[37] სამხრეთ კავკასიაში გათხრილ სამარხებშიც აღმოჩენილია მიცვალებულისთვის ჩატანებული მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ნაშთები, ცხვრის ან თხის მთლიანი ჩონჩხები.[38] კერძოდ, ყორღნული სამარხების უმეტესობაში კარგადაა წარმოდგენილი შესაწირი. თიხის და ლითონის ჭურჭლების ერთ ნაწილში საკვები პროდუქტების ნაშთები (ძირითადად ძვლები) დაფიქსირდა. V ყორღანში ცხოველის ძვლები იდო შავპრიალა დიდ ორყურა ჭურჭელში. როგორც ჩანს, მიცვალებულს ატანდნენ უკვე მომზადებულ საკვებს. ტრაპეზის ნაშთები სამსხვერპლო ცხოველების დიდი ნაჭრების ან ცხოველის სრულად ჩატანებაშიც გამოიხატება, კერძოდ დასტურდება ცხოველის (ძირითადად ხარი, ცხენი, ცხვარი) შეწირვა. ეს კარგად ჩანს ხეთურ დაკრძალვის რიტუალშიც, მაგ.: გრძნეული ქალი გარდაცვლილის ფერფლს იღებს, რომელიც მიაქვს და ყრის იქ, სადაც ცხენის და ხარის თავები დაწვეს. „მიცვალებულს აძლევენ სასმელსა და საჭმელს“, სწირავენ ხარსა და ცხვარს.[39] ჯ. მელაარტის აზრით, ხარი ძველ ანატოლიაში სიცოცხლისა და მამაკაცური ნაყოფიერების სიმბოლო იყო.[40] სამხრეთ კავკასიის მენჰირებზეც გამოსახულია სამსხვერპლო ხარი, რომელიც ნაყოფიერებისა და აღორძინების მამაკაცურ ღვთაებას განასახიერებს. სამხრეთ კავკასიის უძველეს მოსახლეობაში ჩამოყალიბებული ხარის კულტის საკრალური ძალის რწმენა ადგილობრივ მოსახლეობაში დღემდეა შემორჩენილი.[41]

ხეთურ დაკრძალვის რიტუალშიც, ნახსენებია შეწირული, ცხოველის ნაწილები, (მაგ.: ცხენის თავი, ხარის თავი, საწმისი {ტყავი}), მიცვალებულის კრემაციის შემდეგ გრძელდება რიტუალი, სადაც სულის სადიდებელს სვამენ და იმართება სამგლოვიარო ტრაპეზი. სამხრეთ კავკასიაში გათხრილ ყორ-

[36] Bryce, 2002: 178.

[37] CTH 450.1.1.1: 8-9 დღე, §9” (42). §15”’ (75).

[38] შანშაშვილი, 2020:246.

[39] Brentje,1999: 64-67.

[40] Mellaart, 1963:52.

[41] ნარიმანიშვილი, 2015:76.

ღნებშიც აღმოჩენილია შეწირული საქონლის, ხარის თავები და კიდურები, ტყავი. ცხოველთა მთელი და დანაწილებული ძვლები, კი მიუთითებს, რომ რიტუალი მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგაც გრძელდება. როგორც ჩანს, საფლავთან მიცვალებულის სულის მოსახსენიებელი რიტუალი იმართებოდა, რომელიც სააღაპე ცერემონიალს და სამგლოვიარო სუფრის მოწყობას ითვალისწინებდა.[42]

ბ. კუფტინის აზრით, ხარის ტყავი წარმოადგენდა მიცვალებულის საიქიოსკენ შორეული მოგზაურობის გამცილებლის იმიტაციას, მას შემდეგ, რაც ხარებს კლავენ და მათი ხორცი დაკრძალვის ტრაპეზს ხმარდება.[43] ხორცის ნაწილს მიცვალებულსაც ატანდნენ. ასევეა დაკრძალვის ხეთურ რიტუალშიც, ნახსენებია საწმისი, რომელიც აკლდამაში შეაქვთ, კლავენ ხარებს, რომელიც მზარეულებს მიაქვთ. მიცვალებულს აძლევენ საჭმელს.

დაკრძალვის ხეთურ რიტუალში შეწირულ ცხოველებს შორის როგორც აღვნიშნეთ, ნახსენებია ცხენიც (ცხენის თავი). საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ცხენს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მიცვალებულის კულტის ამსახველ წეს-ჩვეულებებში. „მიცვალებულისათვის ცხენის შეწირვის/დაკურთხების წესი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იყო გავრცელებული. „დაკურთხებულ“ ცხენს „სულის ცხენი“ ეწოდებოდა. მიცვალებულს საიქიოში მის სახელზე დაკურთხებული ცხენი ემსახურებოდა“.[44]

ხეთურ რიტუალებში (დაკრძალვის, მიცვალებულის სულთან დაკავშირებული და სხვ.), ვხდებით ცხვრის, თხის მსხვერპლშეწირვას. ცხვარი ერთი იმ ცხოველთაგანია, რომელთა გამოსახულებასაც ადამიანი ძველთაგანვე მიაწერდა ავი სულებისაგან დაცვის უნარს. შეიძლება იმიტომ, რომ ცხვარი, ჩვეულებრივ სამსხვერპლო ცხოველს, ზვარაკს წარმოადგენდა.[45] სავარაუდოდ, გარკვეული არქაული საზოგადოების მითოლოგიურ აზროვნებაში ცხვარი (ვერძი), თხა – წარმოადგენდა მედიატორის როლს შუასკნელსა და ქვესკნელს შორის. საქართველოში აღმოჩენილ ყორღანში (სამარხი №13) ვხდებით ცხვარზე დაკრძალვის რიტუალს, რომელიც მიცვალებულის საიქიოში მეგზურობასთან უნდა იყოს დაკავშირებული, ცხვარს გადაჰყავს ზღაპრის გმირი ერთი სკნელიდან მეორეში.[46] ცხვარზე დაკრძალვის რიტუალი

---

[42] ნარიმანიშვილი, 2015:241.

[43] Куфтин, 1941: 83.

[44] გიორგაძე, 1987: 11,13.

[45] ბურდული, 2000:117-123.

[46] შანშაშვილი, ნარიმანიშვილი, 1989:56-60.

დაკავშირებული იყო წარმოდგენებთან მიცვალებულის სულის მოგზაურობაზე საიქიოში, სადაც ცხვარი იყო გამცილებელი, მეგზური, საიქიოს და სააქაოს დამაკავშირებელი.[47] ქვესკნელში ჩასული ქართული მითოლოგიური გმირი – იახსარი მხოლოდ ნაწილიანი – ოთხრქიანი და ოთხყურიანი ცხვრის შეწირვის შემდეგ უბრუნდება დედამიწას.[48] თხაც ფიგურირებს მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ რიტუალებში, ასევე სამკურნალო რიტუალებში.[49]

ხეთებთან ზოგჯერ ვხდებით მსხვერპლშესაწირ ცხოველთა შორის ისეთებსაც (ღორი, ძაღლი, ლეკვი, გველი, ვირი, კურდღელი, და სხვ.),[50] რომლითაც არ იკვებებოდნენ, მაგრამ როგორც შესაწირი დასაშვები იყო. ძირითადად ასეთი მსხვერპლი ქვესკნელის ღვთაებებს უკავშირდება.[51] შესაძლოა სწორედ აქედან გამომდინარე ისინი უწმინდურ ცხოველებად ითვლებოდნენ, ვინაიდან ხეთები ძაღლსა და ღორს განსაკუთრებულად უწმინდურ ცხოველებად თვლიდნენ.[52] ტაძართან, წმინდა ადგილებთან, სიწმინდეებთან, ღვთაებებისთვის განკუთვნილ შესაწირთან მათი მიახლოება არ შეიძლებოდა. მაგ.: ღორის ხორცის ჭამის შემდეგ ადამიანი უწმინდურად ითვლებოდა, არ შეიძლებოდა ტაძარში შესულიყო. „ღამის ქალღმერთის ქურუმის ვალქუის რიტუალში“ ნათქვამია: „**თუ ადამიანი სიზმარში *urura*-მცენარეს, ან ღორის ხორცს შეჭამს, ან თუ ღვთაებრივი განგებულებით ღორის ხორცს შეეხება...**“; „**თუ ადამიანი სიზმარში *urura*-მცენარეს (ან) ღორის ხორცს შეჭამს, ... ან კი ღვთაებრივი განგებულებით ღორის ტყავს შეეხება.**“[53] აქ კარგად ჩანს, რომ ღორთან, ღორის ტყავთან შეხება და ღორის ხორცის ჭამა სიზმარშიც კი, უწმინდურს ხდიდა ადამიანს და შემდეგ აუცილებელი იყო შესაბამისი მსხვერპლშეწირვის რიტუალის ჩატარება. ყურადსაღებია ამ შემთხვევაში ის, რომ ბაბილონურ რწმენა წარმოდგენებში ლამაშთუ – მდედრი ავსული,

---

[47] ნარიმანიშვილი, 2015:110.

[48] ცანავა, 1992:11.

[49] აბაკელია, 1997:37.

[50] ნერკინ ნავერის №1 დაოშაკანის №30 მდიდრულ სამარხებში დადასტურდა ხარების, ცხვრების, ცხენების, ძაღლების, ღორების, ირმების, მგლების, კურდღლების, კუს, თევზების და ფრინველების მთელი ჩონჩხები და ჩონჩხების ფრაგმენტები (Симонян, 1984: 126; Калантарян и др., 2004: 69; ნარიმანიშვილი, 2015:242).

[51] Haas, 1994:647.

[52] Haas, 2003:407; Cognetti, 2021:177-179.

[53] CTH 496.1, §1 (3-4), §7’ (35, 37)

სიკვდილიანობის გამომწვევი, რომელიც ამოდის ქვესკნელიდან, ავრცელებს მოსახლეობაში სნეულებებს და იტაცებს ბავშვებს, ხშირად გამოსახულია მუხლმოდრეკილი ან ვირზე მდგარი, ან ვირის ყურებით, რომელსაც გველები უჭირავს და ღორს და ძაღლს ძუძუს აწოვებს. ქართული რწმენა-წარმოდგენებითაც, ძაღლი და ღორი[54] უწმინდურ არსებებად ითვლებიან, და დღესაც უარყოფით კონტექსტში ყოველთვის ერთად მოიხსენიებიან, მაგრამ ხეთების მსგავსად ყოველთვის უარყოფითი დატვირთვა არ აქვთ. უძველეს რწმენა-წარმოდგენების მიხედვით გველი კერის, ფუძის, ოჯახის მფარველია. გველი განახლდება, ხელახლა იბადება და ამიტომ უკვდავია. თავისი თვისებებით ის ნაყოფიერების, სიბრძნის, წინასწარმეტყველების და უკვდავების მომცემია. ის მიწის ქვეშ ბინადრობს, წინაპართა სულებს განასახიერებს და ამიტომ ყველა საიდუმლო იცის. რადგან ის გარდაცვლილთა სულებს განასახიერებს, ამიტომ წინაპრების ცხოველს წარმოადგენს,[55] ანუ წინაპრების კულტთანაც არის დაკავშირებული (გარდაცვლილები მიწისქვეშ მიდიან, რათა ხელახლა აღორძინდნენ). მას შეუძლია მომავლის წინასწარმეტყველება და საერთოდაც სიბრძნის წყაროა.[56] ქართულ რწმენა-წარმოდგენებით საკრალური გველი ქტონიური არსებაა, შესაბამისად იგი დაკავშირებულია მიცვალებულთა სამყაროსთან. ამავე დროს იგი დაკავშირებულია გრძნეულობისა და სიბრძნის იდეასთან. გველს სამკურნალო თვისებებიც მიეწერებოდა და ხშირად გვხდება სამკურნალო ფორმულებში: გველის პერანგი წამლად ითვლებოდა, გველის „რქას“ წამლად იყენებდნენ მუცლის ტკივილის დროს.[57] ხეთებთანაც ქვეწარმავლები (განსაკუთრებით გველი), მღრღნელები

---

[54] საქართველოს ზოგიერთ კუთხეში გარკვეული ტრადიციები დღესაც შემორჩენილია. საინტერესოა მეგრული რიტუალი „ოდუდია სამგარიო“ (გოჭით სალოცი), რომელსაც ოჯახის უფროსი თავის სასიმრთელოდ იხდიდა. ამ დღეს აცხობდნენ ოთხ ყველიან კვერს, კლავდნენ გოჭსა და მამალს. ხონჩაზე ყველაფერს დაალაგებდნენ, მიამაგრებდნენ ანთებულ სანთლებს. ოჯახის უფროსი მამაკაცი თავის უფროს ვაჟიშვილთან ერთად ხონჩას „ოდუდია სამგარიოს ლაგვანთან“ მიიტანდა. ორივენი დაიჩოქებდნენ. უფროსი ხონჩას მარჯვნივ სამჯერ მოაბრუნდებდადა დაილოცებოდა, რომ ღმერთს მისთვის სიჯანსაღე მიეცა და დაეფარა ყოველგვარი სენისა და ცუდი შემთხვევებისგან. შემდეგ ახდიდა ქვევრს თავს, შიგ საზედაშე ღვინოს ჩაასხამდა, სანთელსა და საკმელს თავზე შემოივლებდნენ და ნაკვერჩხალზე დაწვავდნენ. ერთ კვერს, მამლის თავსა და გოჭის გულ-ღვიძლს იქვე შესჭამდნენ, შემდეგ ხონჩიანად ბრუნდებოდნენ სახლში, იშლებოდა სუფრა და ოჯახის უფროსს დალოცავდნენ [აბაკელია, 1997: 92].

[55] Элиаде, 2000: 314-316.

[56] ნარიმანიშვილი, 2015:204-205.

[57] აბაკელია, 1991; აბაკელია, 1997:11-17.

დაკავშირებულნი არიან ქვესკნელთან, აქედან გამომდინარე მათ უნდა გადაიტანონ პათოგენები ქვესკნელში.[58] ამიტომ ისინი ხშირად არიან მაგიურ-თერაპიულ, სამკურნალო შელოცვებში ნახსენები, განსაკუთრებით კი გველი.[59]

ხეთურ ტრადიციაში ასევე არსებობდა ღორის მსხვერპლშეწირვის ტრადიცია (მიუხედავად იმისა, რომ ის რიგ შემთხვევებში უწმინდურ ცხოველადაა მიჩნეული). ასევე საინტერესოა, რომ დაკრძალვის რიტუალში მერვე-მეცხრე დღეს სრულდებოდა რიტუალი ე.წ. „ღორს წყალი გადააქვს“, სადაც ღორი მთავარ როლს ასრულებდა.[60] ქართულ ტრადიციაში შობის წინა საღამოსა და შობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ახალი წლის დასაწყისს და დატვირთული იყო მრავალი მაგიური რიტუალებით. რომელიც მიმართული იყო ავის სულების დასაძლევად, ჯანმრთელობის განსამტკიცებლად, კეთლდღეობისთვის, ნაყოფიერებისთვის და ა.შ.[61] ამ რიტუალებში მთავარი ადგილი შესაწირის სახით ეკავა ღორს. VII ყორღანში, სამარხი ორმოს სხვადასხვა ადგილებში აღმოჩნდა წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ხორციანი ნაწილების გროვები, აგრეთვე ღორის ყბა. VIII ყორღანშიც დაფიქსირებულია ხარის, ცხვრის გარდა ღორის ძვლებიც.[62] ქართული რწმენა-წარმოდგენების მიხედვით დღეობათა კალენდარში „მირსობის/ნირსობის“ დღეობა. ზოგიერთ სოფელში მირსობა დღეს იმართებოდა ხატობა – „ჯეგე“ ან „ჯეგე-მისარიონი“, რომელსაც სწირავდნენ ღორს და ავედრებდნენ ჯანმრთელობას: სულით ავადმყოფების, თვალით სნეულთა, ყურის, თავის, წელის ტკივილისაგან განკურნებას. „მირსობის/ნირსობის“ დღეობაზე ოჯახის უფროსი მამაკაცი ღორს უკანა ფეხებზე მოჰკიდებდა ხელს, კერის გარშემო შემოატარებდა და რამდენჯერმე წარმოთქვამდა შელოცვას: „**დღევანდელი მირსობის მობრძანებავ! მე და ჩემი ცოლს და შვილებს ბედი მიეცი: ბედნიერად ამყოფე, ყოველი ავი და ბოროტისგან გააგდე; ყოველი ცუდი გზისგან, წყლისგან შენ დაიფარე, შენი სახელი დალოცვილი**“. შემდეგ ღორს კლავდნენ, დიასახლისი ორ-ორ მრგვალ კვერსა და კვერცხს მოხარშავდა, შემდეგ ოჯახის ყველა წევრი სათითაოდ იღებდა, თან ატრიალებდა და შელოცვას წარმოთქვამდნენ „თვალის სიმრთელისათვის“. ლოცვის დასასრულს კვერსა

[58] Haas, 2003:467.

[59] CTH 765. KBo 12.100 Vs. 1-7.

[60] CTH 450.1.1.1: 8-9 dRe, §5’-§12’’.

[61] აბაკელია, 1997:92.

[62] ნარიმანიშვილი, 2015:106-108.

და კვერცხს ჭამდნენ.[63] გარკვეულწილად ქართული შელოცვის ეს ტექსტი შელოცვის ხეთურ ტექსტს მოგვაგონებს: „**სახლში კარგი შემოვიდეს! და ის (ყოველგვარი) ბოროტებანი თვალებმა მოძებნოს და ისინი განდევნოს! განწმინდოს წმინდა წყალმა ბოროტი ენა, უწმინდურება, მკვლელობა, ცოდვა, წყევლა, შიში, საერთო (ბოროტი) ნალაპარაკები!**“[64] საინტერესოა ისიც, რომ შესაწირის, სარიტუალო საგნების/ინვენტარის ტრიალი, ქნევა ღვთაების ქანდაკებაზე, ადამიანზე, სნეულზე, მიცვალებულზე ხეთურ რიტუალებში და შელოცვებში ხშირად გვხდება. მაგალითად, დაკრძალვის ხეთურ რიტუალში მიცვალებულს უკლავენ ვაცს და მის თავზე აქნევენ/ატრიალებენ,[65] თან წარმოთქვამენ შელოცვას; ან კიდევ როდესაც მერიქიფე ასრულებს ლიბაციას, მიცვალებულის სულისთვის გამომწვარ თიხის თასს ატრიალებს, მას მიწაზე ანარცხებს და მოთქვამს.[66] „**ცოცხალ თევზს ვიღებ, და მას ღვთაებაზე ვატრიალებ**“ – ნათქვამია „ღამის ქალღმერთის ქურუმის ვალქუის რიტუალში“.[67] საგულისხმოა, რომ ქართულ შელოცვებსა და რიტუალებშიც სარიტუალო საგნების ტრიალი, მაგ.: შავტარიანი დანა ადამიანზე, რომელიც იყო ან სნეული, ან გათვალული, ან შეკრული, გამოიყენებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, ხეთებთან ვხდებით ძაღლების და ლეკვების მსხვერპლშეწირვასაც. ქართულ კულტურულ ტრადიციაში ძაღლსა და მასთან ასოცირებული მგლის სიმბოლო მრავალ კონტექსტში ვლინდება. ერთ-ერთია სწორედ საიქიოს ძაღლი, შესაბამისად ძაღლი – ფსიქოპომპი.[68] ძაღლი რომ ქვესკნელთან იყო დაკავშირებული ეს ჩანს ასევე შემდეგი ქართული, კერძოდ კახეთში არსებული წარმოდგენითაც: „**მკვდრის პურს რომ დააკრავენ, დააკრავენ კატისთვის და ძაღლისთვის, რომ იმ ქვეყნად ძაღლმა და კატამ არ გადაუხლართოს ფეხები**“. სვანეთში ლიფანალის ციკლში მიცვალებულთათვის განკუთვნილ ნახატებში ფიგურირებს ძაღლი და კატა.[69] ძაღლები (მწევრები) ხან მაღალ არსებათა ნების შემსრულებელნი არიან, ხან გასაჭირში მყოფი ადამიანების დამხმარენი (მოსალოდნელ საფრთხეს არიდებენ,

---

[63] აბაკელია, 1997:92-96, 106.

[64] CTH 446. B II (48-56).

[65] CTH 450: პირველი და მეორე დღე Vs. I §6, 17;

[66] CTH 450: მერვე და მეცხრე დღე KUB 39.35: §34*, 178-180; მეთორმეტე და მეცამეტე დღე Rs. IV (KUB 30.19 + KUB 30.20 + KUB 39.7), §48‘, 266.

[67] CTH 496.1. §3 (16-17)

[68] აბაკელია, 1997:57.

[69] აბაკელია, 1997:76.

აფრთხილებენ).[70] კოჟრების № 2 ყორღანში საქონლის ძვლებთან ერთად ძაღლის თავის ქალაც აღმოჩნდა.[71]

დაკრძალვის ხეთურ რიტუალში ფრინველები მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. მაგალითად, მეცამეტე დღეს ფრინველებით (*laḫḫanzana*$^{\text{MUŠEN}}$ – წყლის ფრინველი: იხვი[?], ბატი[?], გედი[?], წერო[?], ყარყატი[?], თოლია[?];[72] $^{\text{MUŠEN}}$ḪURRI – ხვრელის/სოროს ფრინველი: კაკაბი/მწყერი)[73] სრულდებოდა განსაკუთრებული რიტუალი. რიტუალისთვის ასევე მზადდებოდა მათი ასლები: ხისგან (რომლებსაც ვერცხლითა და ოქროთი რთავდნენ), მატყლისა და ცომისგან. ასევე ნახსენებია: *ardussa*-ფრინველი,[74] *arta*-ფრინველი,[75] *aramni* – ლითონის საკულტო საგანი სამისნო ფრინველის გამოსახულებით[?], რომელიც აკლდამაში შეაქვთ.[76] ტექსტში „სულის მოგზაურობა ქვესკნელში“ ნახსენებია *ḫuwala*-ფრინველი,[77] „სახლის განწმენდისა და ქვესკნელის ღვთაებების მოხმობის რიტუალში“ გვხდება შევარდენი იშთართან კავშირში,[78] საინტერესოა ასევე, რომ იშთარს აქვს ყურზე მარცხენა მხა-რეს სამისნო ფრინველის საყურე.[79] სამშენებლო რიტუალში არწივი.[80] განმწმენდ რიტუალში: სამისნო ფრინველი *šurašura*-ფრინველი.[81] ფრინველების, ჩიტების მსხვერპლშეწირვა (მათი დაწვა სამსხვერპლო ორმოებში) ხეთურ რიტუალებში ხშირად გვხდება. როგორც ჩანს, ფრინველი წარმოადგენს „წინაპარი“ მიწისქვეშა ღვთაებებისადმი შეწირულ სპეციალურ მაგიურ მსხვერპლს. ფრინველები (ბატი, წერო, ყარყატი თუ სხვა) ახლო აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებით სიყვარულის და ომის, სიკვდილ-სიცოცხლის ქალღმერთთან ასოცირდებოდა. დ. ნარიმანიშვილის აზრით, მსგავსი მითოლოგიური წარმოდგენები უნდა ჰქონოდა სამხრეთ კავკასიის ბრინჯაოს ხანის მოსახლეობასაც.

---

[70] აბაკელია, 1997:62.

[71] ნარიმანიშვილი, 2015:106-108.

[72] CTH 450.1.1.1: 12-13 დღე, §20 (96-104).

[73] CTH 450.1.1.1: 12-13 დღე, §20 (105).

[74] CTH 450.1.1.1: 8-9 დღე, §8'' (34).

[75] CTH 450.1.1.1: 8-9 დღე, §8'' (36,37); §12'' (55).

[76] CTH 450.1.1.1: 10-11 დღე, §8'' (44,45);

[77] CTH 457.7.1: KUB 43.60. §1,23.

[78] CTH 446. წინ. მხ. C II (5).

[79] CTH 446. წინ. მხ. II (25-26).

[80] CTH 414: §26 (39-41).

[81] CTH 400.1: §15''' (78), §17''' (91).

ფრინველის გამოსახულება სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკაზე იშთარ-შავუშქას, ან მისი კავკასიური ეკვივალენტის კულტთან იყო დაკავშირებული.[82]

შესაწირის რამდენიმე ფორმა არსებობდა: ღვთაებებისთვის მირთმევა, მოხარშვა, დაწვა, განადგურება, დანაწევრება, რაღაც ნაწილის (მაგ.: საქონლის ცხიმის) მირთმევა, შიგნეულობის (განსაკუთრებით ღვიძლის) „მოკბეჩა, მოკვნეტა“. მსხვერპლშეწირვის დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაწირის ფერს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, შავს ქვესკნელის ღვთაებებს, თეთრს კი მიწისზედა ღვთაებებს სწირავდნენ.

ქართველ მთიელთა წარმოდგენით ნებისმიერი უბედურება, ავადმყოფობები ღვთაებათა სასჯელად იყო მიჩნეული, ამიტომ მათი გულის მოსაგებად საკლავს კლავდნენ (ცხვარს, მოზვერს, ხარს), სწირავდნენ სპილენძს, ვერცხლს, „თეთრ ფულს“, მამულს და ა.შ. ხარშავდნენ ლუდს, აცხობდნენ პურებს.[83] ასევე შესაწირ ცხოველს ანაწევრებენ, ხარშავენ, შემდეგ გარკვეულ ნაწილს მირთმევდნენ. საერთოდ ღვთაებებს სწირავდნენ კონკრეტული რაოდენობის შესაწირს: სამს,[84] შვიდს,[85] ცხრას,[86] თორმეტს და ზოგჯერ ოცდაათს[87] და ა.შ. ძირითადად ადამიანი მსხვერპლად სწირავდა ისეთ შესაწირს, რასაც თვითონ ჭამდა და სვამდა,[88] თუმცა არსებობდა მხოლოდ ღვთაებებისადმი განკუთვნილი განსაკუთრებული შესაწირი. ქვესკნელის ღვთაებებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსხვერპლს ძირითადად ორმოებში და ჭებში სწირავდნენ. საქართველოშიც წინარექრისტიანულ პერიოდში დასტურდება სამსხვერპლო ჭების და ორმოების არსებობა.[89] ხეთებს მიაჩნდათ, რომ ეს ადგილები მიწას აკავშირებდა ქვესკნელთან. ასევე კერას ჰქონდა უმნიშვნელოვანესი სარიტუალო დატვირთვა. იგი მიწისა და მიწისქვეშეთის დამაკავშირებელი

---

[82] ნარიმანიშვილი, 2015:209.

[83] mindaZe, 1981:91-93.

[84] KBo 15.36 + KBo 21.61 Vs. II 10; KBo 21.100 Vs. 15’; KUB10.11 Rs. V 3-4; VBoT 24 Vs. II 45, Rs. IV 8, 28.

[85] KBo 21.23 Vs. I 5; KUB 51.5 Rs. Kol. 8’; KUB 59.29 Vs. II 16’; KBo 5.2 Vs. II33-34; KUB 7.506; IBoT 3.148.

[86] KBo 2.17 1; KBo 19.128, Vs. III 2-4; KBo21.34, Vs. II 16; KUB 7.33 Vs. 17; KUB7.355‘; KUB 7.50 6‘; KUB 15.31 Rs. III 60; !BoT 3.148 Vs. ISO.

[87] Haas, 1994:641.

[88] KUB 13.4 Vs. I 21 f.

[89] ლიჩელი, 2001:40-43; ფიცხელაური, 1973:113; შანშაშვილი, ნარიმანიშვილი, 2015:211; მახარაძე, 1994:12.

ადგილი იყო. ცეცხლსაც მაგიური განწმენდის ფუნქცია ჰქონდა. სამხრეთ კავკასიის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე თითქმის ყველა სახლის ცენტრში იდგა კერა. მითო-რელიგიურ აზროვნებაში კერა წარმოადგენს თითოეული ოჯახის წმინდა ადგილს,[90] რომლის გარშემოც ის იკრიბება, „აფუძნებს თავის ოჯახურ რელიგიას, წინაპართა კულტს და შემდგომ, საერთო კულტის არსებობის ხანაშიც კი კერა ინარჩუნებს თავის ცენტრალურ ადგილს, როგორც სამყაროს ჭიპისას“.[91] აქედან გამომდინარე, ზოგადად რიტუალებში, და განსაკუთრებით კი მსხვერპლშეწირვისას კერას უდიდესი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა.

ხეთებთან ქვესკნელში შესასვლელი არის გამოქვაბულები, ჭები, გუბურები, ხელოვნურად ამოჭრილი ორმოები, ხვრელები:[92] *ḫatteššar* – „ბუნაგი, ორმო, ხვრელი“, ანუ მიწისქვეშა სამყაროში შესასვლელი; *apita*, [(D)]*api*, (= BÙR) – ხვრელი, ნახვრეტი, ჭა, ორმო (სამსხვერპლო ორმო მიწის/ქვესკნელის ღვთაებებისთვის); [D]KAS-KAL.KUR (= [D]ILLAT) (გაღმერთებული) მიწისქვეშა წყლის დინება, წყარო, ქვესკნელში შესასვლელი; [D]PÚ (გაღმერთებული) წყარო, ჭა. ქართულ თქმულებებშიც ქვესკნელში ჩასასვლელი ვიწრო „ჩასაძრომებია“.[93] მსხვერპლშეწირვაც ხდებოდა ხშირად ორმოებსა[94] და ჭებში, „ბნელ მიწაში“[95] ქვესკნელის ღვთაებების გულის მოსაგებად, რათა ისინი არასოდეს ამოსულიყვნენ მიწის ზედაპირზე და არ მოეტანათ სხვადასხვა სახის უბედურება: ქარიშხალი, წყალდიდობა, ხანძარი, ავადმყოფობა, ომიანობა, სისხლი და ა.შ.

ქართული ხალხური ზღაპრის გმირები ქვესკნელში ორმოდან, ჭებიდან ჩადიან. მაგალითად, ქართული ხალხური ზღაპრის „ნაბოლარას“ გმირი ქვესკნელში ჭის საშუალებით ხვდება.[96] საყურადღებოა, რომ საქართველოში მელი-ღელე I სამლოცველოზე გამოვლინდა ორი ორმო, სავსე წმინდა ნაცრით და სხვადასხვა ნივთებით, მათ შორის წმინდა ნაცრით ამოვსებული თიხის დიდი ჭურჭლები.[97] შესაძლოა, ეს ორმოები ქტონიურ სამყაროსთან და-

[90] ნარიმანიშვილი, 2015:225.

[91] ბერიაშვილი, 1988:180.

[92] Haas, 1994:127

[93] კიკნაძე, 1996:109.

[94] საინტერესოა, რომ ზოგ შემთხვევაში სამსხვეროპლო ორმოში დებდნენ მიწაში ჩასარჭობ საკულტო ჭურჭელს (*kupta/i*), რომელშიც ათავსებდნენ შეწირულობებს [ხაზარაძე, 2002:252-253].

[95] CTH 457.8, §10, 37.

[96] Грузинские народные сказки, 1988; შანშაშვილი, ნარიმანიშვილი, 1989:57.

[97] ფიცხელაური, 1973:113.

კავშირების რიტუალისთვის გამოიყენებოდა.[98] ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილი ტაძრებიდან ნაწილი ქტონიურ არსებებთანაა დაკავშირებული. ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე გამოვლენილია ორმო, რომელიც წარმოადგენს მონუმენტურ „ჭას“. დღეისათვის გათხრილი ჭის სიგრძე 21 მ-ია. ეს ორმო დაკავშირებული იყო ჰეკატეს მისტერიებთან. ჰეკატეს კულტი მჭიდრო კავშირში იყო ღმერთების დიდი დედის ვრცელ იპოსტასებთან. ეს ქტონიური ღვთაება აღიარებულია ვერაგ, ულმობელ ღმერთქალად. ჰეკატე იყო „...თავისი ულმობლობით სახელგანთქმული“; „... მომაკვდინებელ და განმკურნებელ საშუალებათა ფრიად დიდი მცოდნე...“ ჰეკატეს მისტერიების დროს, მსხვერპლს აგდებდნენ ე.წ. „ბიწიერთა ხახაში“, ესაა წრიული ფორმის ხვრელი, რომელიც ჭას ჰგავს. ამავე ფუნქციების მატარებელი უნდა იყოს ის მონუმენტური ორმო/ჭა, რომელიც საირხეშია მიკვლეული.[99]

ხეთებმა კარგად იცოდნენ სიკვდილის გარდაუვალობის შესახებ, რაც მათ მოვლენათა ბუნებრივი მიმდინარეობის ნაწილად მიაჩნდათ. რა თქმა უნდა არავის შეეძლო სამუდამოდ ცხოვრება. ეს იდეა ძალიან კარგადაა გამოხატული ქურუმ ქანთუცილის სიტყვებიდან:[100] „**სიცოცხლე დაკავშირებულია სიკვდილთან. სიკვდილი დაკავშირებულია სიცოცხლესთან. ადამიანი არ ცხოვრობს სამუდამოდ. მისი სიცოცხლის დღეები დათვლილია**“.[101]

ხეთურ ენაში ვხვდებით სიკვდილის გამომხატველ შემდეგ ტერმინებს: სიკვდილი – *ak(k)-*/ *ek(k)-*, *aggatar* / *aqqatar* (ÚŠ/ $UG_{6\text{-}tar}$; MÂTU); *ḫalliya weḫ-* (სიკვდილის) დღისკენ შებრუნება/ შეტრიალება (= სიკვდილი); *annaš šiwatt-* (= UD^{KAM} AMA) დედის დღე, ანუ სიკვდილის დღე; გარდაცვალება; UD^{UM} (ან U_4-UM) ŠIMTI ბედისწერის დღე (= სიკვდილის დღე); UD^{UM} ŠIMTI-KA შენი ბედისწერის დღე (= შენი სიკვდილის დღე); UD^{KAM} ABI=ŠU AMA=ŠU შენი მამის (და) დედის დღე (= შენი გარდაცვალების დღე).[102]

სიკვდილი უნდა ყოფილიყო სიცოცხლის ბუნებრივი დასასრული წინასწარ განსაზღვრულ მომენტში, რაც ღვთაებებმა იწინასწარმეტყველეს. გარდაცვალების თარიღი განისაზღვრება დაბადებისას, როდესაც პიროვნების ბედი ღვთაებების მიერ იყო დადგენილი. ასე დგებოდა ადამიანის ბუნებრივი სიკვდილი.

---

[98] შანშაშვილი, ნარიმანიშვილი, 2015:211.

[99] ლიჩელი, 2001:40-43.

[100] Kapeluś, 2010:431.

[101] CTH 373. KUB 30.10,Vs. 20’ (§5’) 34-37.

[102] Tischler, 2008:238.

ღვთაებებს შეუძლიათ გადაწყვიტონ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა სურვილისამებრ, მათ ასევე შეუძლიათ გადაწყვიტონ ადამიანის ნაადრევი სიკვდილიც. ძალადობრივი სიკვდილი ითვლებოდა „ცუდად“. ასე განასხვავებდნენ ხეთები ბუნებრივ და უდროო (რაიმე მიზეზით: ავადმყოფობა, ომი და ა.შ) სიკვდილს. ეს კარგად ჩანს ხათუსილის ფრაზიდანაც: „**ერთნი იარაღით დაიხოცნენ, მეორენი კი (მათთვის განგებით დადგენილ) დღეს**“.[103] ფრაზა *ūm la šimāti-* „არასასურველი დღე“ გამოიყენებოდა ნაადრევი სიკვდილის აღსანიშნავად.[104] ხეთურ ენაში გამოიხატებოდა ტერმინებით – *meḫur maninkuwan*, *maninkuwant- witt-* მოკლე ხანი, მოკლე წელი, ანუ ხანმოკლე სიცოცხლე, ნაადრევი სიკვდილი.

საინტერესოა ტერმინი – *henkan-/hinkan-* ჭირი, შავი ჭირი, ეპიდემია, რომელიც სიკვდილის აღსანიშნავადაც გამოიყენებოდა. გამონათქვამი *markištauwaš ḫinkan* კი ნიშნავდა მოულოდნელ სიკვდილს (ან აფეთქებულ ეპიდემიას / შავ ჭირს მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილი საერთოდ ბუნებრივ მოვლენად ითვლებოდა, ხალხი ზრუნავდა დიდხანს სიცოცხლეზე. ისინი ლოცულობდნენ ღვთაებების მიმართ ხანგრძლივი ცხოვრებისათვის, ტარდებოდა რიტუალები ავადმყოფობისა და სიკვდილისაგან დასაცავად.

ხეთურ ენაში ვხდებით ტერმინს *akkant-* (= GIDIM, *EṬEMMU*) რაც აღნიშნავს მიცვალებულის სულს, ასევე იხმარება გარდაცვლილის, მკვდრის აღსანიშნავადაც. საერთოდ, ხეთური წარმოდგენით ადამიანი შედგება სულისა – *ištanzan(a)-*/ZI და სხეულისაგან – *tuekka-/ tukka-*/NI.TE (= *RAMĀNU*). სულს და სხეულს ფლობენ ღმერთები/ღვთაებები, ადამიანები, ცხოველები. სხეული კვდება, სული კი განაგრძობს ცხოვრებას იმქვეყნიურ სამყაროში. მიცვალებულის იმ ქვეყნად მოხვედრა დამოკიდებულია მის სისუფთავეზე ანუ სიწმინდეზე, თუ ის უსუფთაოა, ანუ უწმინდური, ცოდვებით დამძიმებული, გადაეცემა მიცვალებულთა ქალღმერთს განსასჯელად.

ფიცის დამრღვევები – ფიცის დარღვევის საფუძველზე იმ ქვეყნად სიმშვიდეს ვერ პოვებენ და ქალღმერთის მიერ დაწყევლილნი არიან. ამიტომ ენიჭება დიდი მნიშვნელობა განწმენდის რიტუალებს და შელოცვებს. თუ გარდაცვლილი მეფე განწმენდილია, მაშინ ის მიიჩქარის მიწისზედა ღვთაებების წრეში, ტექსტი გვამცნობს: „**დამტოვე მე ცის ღმერთებთან და განმათავისუფლე მკვდარი სულების წრიდან**“.[105] აუცილებლად

[103] CTH 81. IV 45-46. Otten, 1981:26-27.

[104] Kapeluś, 2010:433.

[105] Haas, 1976:210

უნდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ მხოლოდ ხეთებთან ვხვდებით ტერმინს DINGIR^{LIM}-*iš kiš* – „**ღმერთი გახდა (ღვთაებად ქცევა)**“,[106] ამას ამბობდნენ მეფეზე (დედოფალზე) მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ, განსხვავებით ეგვიპტელებისაგან, რომლებიც ფარაონს სიცოცხლეშივე აღმერთებდნენ. დაკრძალვის ხეთური რიტუალი[107] შემდეგი სიტყვებით იწყება: „**როდესაც ხათუსაში დიდი უბედურება ხდება, ან მეფე ან დედოფალი ღმერთი ხდება, მაშინ) ყველა, დიდი (და) პატარა, თავიანთ ლერწმის მილებს იღებენ და გოდებას იწყებენ**“.[108]

ძველ ხეთურ ტექსტებში სიკვდილის სინონიმად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გვხვდება „დედის დღე“, „მისი მამის და დედის დღე“, ან „დედა მასთან მივიდა, აიყვანა ხელში და უხელმძღვანელა“,[109] ანუ გარდაცვალების შემდეგ ადამიანის სული უბრუნდება კოსმიურ მშობელს, საიდანაც ადამიანი ოდესღაც გამოვიდა. სიკვდილი ჩვეულებრივ ითვლება შესვლად დედის საშვილოსნოში კვლავ დაბადებისთვის.[110] საინტერესოა შუმერულ მითში „უთუ ამა-ბი-შეგია“ ფრაზა „უთუ (მზის ღვთაება), დედასთან დაბრუნებული“, სინონიმია დაღამებული, უმზეო სივრცის, ანუ სიტყვასიტყვით „**უთუ, თავაღმართული მიდის თავის დედისაკენ**“,[111] ე.ი. უბრუნდება თავის საწყისს.

ამ მხრივ მთვარის სიმბოლიკაც საინტერესოა. მისი ციკლური ფაზები: ახალმთვარეობა, მზარდი მთვარე, სავსემთვარეობა, კლებადი მთვარე/გაქრობა, კვლავ დაბადება, ახლო აღმოსავლეთის რწმენის სისტემების ციკლური კონცეფციების განსახიერებაა. მთვარის სიმბოლიკამ ხელი შეუწყო ბუნებაში დაფიქსირებული აშკარად დაუკავშირებელი ფაქტების უზარმაზარი მასის ინტეგრირებას ერთ სისტემაში, რომელიც ხასიათდება დაბადებით, სიკვდილით და აღორძინებით. ისევე, როგორც მთვარის გაქრობა არასოდეს არის საბოლოო, ადამიანთა გაქრობაც არასოდეს იქნება საბოლოო.[112]

---

[106] „ღმერთი გახდა“ – ნიშნავს „გარდაიცვალა“ და არა „მოკვდა“, ანუ სახე იცვალა, გადავიდა ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობაში და ის აგრძელებს არსებობას. ე.ი. ხეთური წარმოდგენით მიცვალებული არ ამთავრებს ცხოვრებას, არამედ სხვა სახით ხელახლა იშვება.

[107] CTH 450. KUB 30.16; KUB 30.15; KUB 39.19

[108] CTH 450, პირველი და მეორე დღე Vs. I §1,§2.

[109] KUB 30.28 + KUB 39.23; Haas, 1976:210; Haas, 2010:169. საინტერესოა შუმ. სიტყვა „ამა-არ-გი“ (ama-ar-gi$_4$) – გათავისუფლება, სიტყვა სიტყვით კი ნიშნავს „დედასთან დაბრუნებას“ [კიკნაძე, 1979:136].

[110] აბაკელია, 2017:77.

[111] კიკნაძე, 1979:18-19

[112] Eliade, 1954:86-87.

დაკრძალვის ხეთური რიტუალის ერთ-ერთ ფრაგმენტში[113] დაკრძალვის წინა რიტუალი სრულდება: განმწმენდი ქურუმი დგება სახლის სახურავზე და მიწის ღვთაებებს მიმართავს კითხვით, თუ საით მიდის გარდაცვლილი, პასუხი ასეთია: „**დედამ ... ის ხელში აიყვანა და გაუძღვა!**“[114] ანუ მიცვალებული უბრუნდება მშობელს, მიდის ის საიდანაც იშვა – შავეთში, ქვესკნელში.[115] „**დედა ... გაუძღვა**“, აქ ნაგულისხმევია გზის ჩვენება იმქვეყნად, რომელიც შორი და საშიშია. ხეთურ რიტუალში ასეთი გზა არის ნახსენები: „**შენი ბილიკები ცხვრის ქონით გაზეთილი უნდა იყოს!**“[116] ასევე გხვდება „ზეთის გზა“[117] მიცვალებულის სულის მოგზაურობის ამსახველ ხეთურ ტექსტში ნახსენებია „დიდი გზა“.[118] შუმერულად ეს არის „**გზა უკან არ დაბრუნების**“.[119]

ასევე საინტერესოა ისიც, რომ დაკრძალვის რიტუალში მიცვალებულის ქანდაკებას ემერის გროვაზე ათავსებენ. ეს შესაძლოა იყოს სიმბოლური გამოხატულება იმისა, რომ როგორც თესლი აღმოცენდება, ისე უნდა აღმოცენდეს ახალი სიცოცხლე იმ ქვეყნად, ანუ თავიდან იშვას იმ ქვეყნად. შესაბამისად იმ დღეს, როდესაც სული ტოვებს სხეულს, ეწოდება „კარგი დღე“, ანუ ეს არის დღე მეორედ დაბადებისა. სული გადადის იმქვეყნად მარადისობაში. ვფიქრობ, ამ მხრივ საინტერესო მსგავსებაა იმ ფაქტთან, რომ სამხრეთ კავკასიაში გათხრილ სამარხებში მიმობნეულია ხორბლის თავთავები და მარცვლეული. ხორბლის თავთავების, ან მარცვლების მოყრა მიცვალებულის ირგვლივ გარკვეულ რიტუალთანაა დაკავშირებული. სამ სამარხში მიცვალებულს მინდვრის ყვავილებიც ჰქონდა ჩატანებული.[120] ამ ყველაფრიდან კარგად ჩანს, რომ ხეთებთან მზის კულტს დაკრძალვის წესსა და რიტუალში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა. შუამდინარეთში, კერძოდ „გილგამეშის ეპოსში“ ეს კარგად არის ნაჩვენები. გილგამეში დაადგება მზის ღმერთის გზას – ღამის გზას. აღწევს იმ ქვეყნის სადგურს, სადაც საზღვრის მფლობელის სახლია, ხურიტული სახელით – „ბიდური“. ეს სახლი იმის ნიშანია, რომ მიცვალებულები იმ ქვეყნიური მოგზაურობის ბოლო ეტაპს

---

[113] KUB 30.28 + 39.23. Otten, 1958a: 94-97.

[114] KUB 30.28, Rs. 11-12.

[115] ბერიაშვილი, 1982:47

[116] KUB 39.15, Rs IV, 1-2; Haas, 2010:168

[117] CTH 457.4, §1, 11.

[118] CTH 457.7.1, KUB 43.60, §3, 42.

[119] har-ra-an-gi$_4$-gi$_4$ [Katz, 2003: 41, 316, 318-319].

[120] შანშაშვილი, 2020:246.

აღწევენ და აქედან შედიან ქვესკნელში. აქ შეხვდება იგი მდინარეზე გადამყვან ურშანაბის. ერთი თვე და 15 დღე მიჰყავდა იგი ურშანაბის გემს მიცვალებულთა სამყოფლისკენ. დაკრძალვის ხეთური რიტუალიდან ვიგებთ, რომ მიცვალებულს დაასვენებდნენ ეტლზე, რომელიც მზის ღვთაებასთანაა დაკავშირებული – მისი ატრიბუტია. ეს შემთხვევით არ ხდება, მიცვალებული ხომ თავის „დედას“ უბრუნდება, ამ გზას კი გადის მზე.

ხეთების წარმოდგენით მიცვალებულთა სამყოფელი შორეულ დასავლეთში იყო. ისინი იმქვეყნიური სამყაროს აღინიშნავდნენ ტერმინით *Wellu-* (Ú.SAL) – მდელო/ველი/მინდორი. მათ სწამდათ, რომ ადამიანი იმ ქვეყნადაც განაგრძობს ცხოვრებას. ამის დადასტურებაა „დაკრძალვის რიტუალში“ ნახსენები მდელო, ვაზი, ნახირი, გუთანი, მორთულობა, სამკაულები, ჭურჭელი და ა.შ., ანუ ხეთები ფიქრობდნენ, რომ ყველაფერი რაც სიცოცხლეში აუცილებელია ადამიანისთვის, სიკვდილის შემდეგაც სჭირდება მას. ხეთებს ერთის მხრივ სწამდათ სამოთხის მსგავსი მარადიული, იდილიური მდელოს არსებობის, მაგრამ როგორც ჩანს, ეს მხოლოდ პრივილეგირებული ფენისთვის იყო, ვინაიდან ტექსტებში ვხდებით იმ ქვეყანასთან დაკავშირებით პესიმისტურ დამოკიდებულებებსაც. მაგალითად ის რომ, ხეთებისთვის სამყარო საფლავის მიღმა იყო „ბნელი დედამიწა“, მიწისქვეშა სამყარო, სადაც ცხოვრობდნენ ჯოჯოხეთური ძალები და მკვდრების უსისხლო ჩრდილები. ესაა ადგილი, სადაც ადამიანები „**ერთი მეორეს ვერ ცნობენ. ღვიძლი დები ერთმანეთს ვერ ცნობენ. ღვიძლი ძმები ერთმანეთს ვერ ცნობენ. დედა ვერ ცნობს (საკუთარ) ვაჟიშვილს. ვაჟიშვილი ვერ ცნობს (საკუთარ) დედას. [...] საუკეთესო მაგიდიდან არ ჭამენ. საუკეთესო სკამიდან არ ჭამენ. საუკეთესო ფიალიდან არ სვამენ. კარგ საკვებს არ ჭამენ. კარგ სასმელს არ სვამენ. ტალახს ჭამენ. ტალახიან წყლებს სვამენ**“.[121] ჩვენამდე არასრული სახით მოაღწია ხეთურმა ტექსტმა,[122] რომელიც აღწერს სულის მოგზაურობას გარდაცვლილთა სამყაროში, რიტუალი განკუთვნილი იყო გარდაცვლილი ქალისთვის. რიტუალები ეხმარებოდა სულს გადაელახა, დაეძლია საშიში მოგზაურობა იმ ქვეყნად. როგორც ჩანს, გავრცელებული იყო რწმენა იმის შესახებ, რომ შესაბამისი რიტუალების აღნიშვნით, სულს შეიძლება ჰქონოდა იმქვეყნად ხელსაყრელი ბედი, შესაძლოა, მუდმივი ბედნიერების მდგომარეობისთვისაც კი მიეღწია.[123] ამიტომ რიტუალი მიცვა-

[121] CTH 457.7.2: KBo 22.178, Hoffner, 1988:191-192;

[122] CTH 457: KBo 22.178 + KUB 48.109 + 43.60.

[123] Archi, 2008:171,176.

ლებულისთვის ზედმიწევნით სწორად უნდა შესრულებულიყო. იმ ადამიანის სიკვდილი, ვისთვისაც ტარდებოდა რიტუალი, კოსმიურ განზომილებას იძენდა, თითქოს ყველაფერი ჩერდებოდა. ამ დროს ბუნება და ცხოველებიც კი უმოძრაოდ იყო: „**[...] ხარს სძინავს. ცხვარს [სძინ]ავს. ცას სძინავს. [მიწას სძინ]ავს**“.[124] სიკვდილით ირღვევა სხეულისა და სულის ერთიანობა. სული არასრულფასოვანია, ქრება. მისი მოძებნა ხმელეთზე ფუტკარს ევალება, წყალში წყლის ფრინველებს, ცაში კი არწივს. ფრინველები და ცხოველები (არწივი, ვაცი, ვერძი, ნერბი), რომლებიც ბუნებას წარმოადგენენ, სულს აიძულებენ (ურტყამენ) დატოვოს მიწა და ის ცხოვრება, რომელსაც ის აღარ ეკუთვნის. ამავე ტექსტში საინტერესო ფრაზაა: „**მზის ღვთაებისაა სული, ღვთაებებისაა სული**“,[125] ე.ი. სული ღმერთებს ეკუთვნით, ანუ ის მარადისობის ნაწილი ხდება, მარადისობაში გადადის.

იმ მსგავსებებიდან გამომდინარე, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ შეიძლება დავასკვნათ, რომ დაკრძალვის ხეთური რიტუალები და წარმოდგენები სამხრეთ კავკასიასთან დაკავშირებული ხათური მკვიდრი მოსახლეობის ტრადიციების და რწმენა-წარმოდგენების გავლენით უნდა იყოს შექმნილი.

[124] CTH 457.7.1: KUB 43.60, §1. 1-4.

[125] CTH 457.7.1: KUB 43.60, §3. 45-46.

Nino Tscharekischwili

Hethitische Bestattungsregel und Parallelen zum Südkaukasus

Das hethitische Bestattungsritual dauerte 13 oder 14 Tage, wobei jeden Tag andere Zeremonien stattfanden. Das königliche Bestattungsritual ist heute als šalliš waštaiš-Ritual bekannt. Im Text lassen sich zwei Hauptteile unterscheiden: der erste beinhaltet die Einäscherung des Körpers; aber zweitens verschiedene Arten von Mikroritualen, die sich auf die Statue des Verstorbenen konzentrieren. Der Hinrichtungsort muss in der Nähe oder meist in der Nähe der hethitischen Hauptstadt gelegen haben, der genaue Ort wird jedoch nicht genannt. Der Ort der Einäscherung wird genannt, der „ewige Ort", sowie „Steinhaus", also das Grab, Gruft. Es sind auch andere Texte und kleine Textfragmente erhalten, die sich auf den Bestattungsritus beziehen. Aus dem Texten geht klar hervor, dass der Verstorbene eingeäschert wurde (und nach der Einäscherung wurden Bier, Wein und „Valkhi" (Ritualgetränk, wahrscheinlich „Tapluchi" (Getränk aus Honig)) zum Löschen des Feuers verwendet) oder eine Körperbestattung erfolgte.

Während der Beerdigung wurde der Verstorbene in gebeugter Position mit dem Kopf nach Südosten in einen großen Krug/"Pithos" gelegt. Bestattungen in dieser Form waren für die arme Bevölkerung üblich. In einigen Fällen wurden die Toten unter dem Boden des Hauses begraben. Dies sollte das Glauben der Familie des Verstorbenen zum Ausdruck bringen, dass die Person, die in anderes Land (Land der Verstorbenen) gezogen ist, immer noch am täglichen Leben ihrer lebenden Verwandten teilnimmt. Es war ein symbolischer Ausdruck der Idee des familiären Zusammenseins.

In hethitischen Bestattungsriten ist zu erkennen, dass die Toten außerhalb der Gruft eingeäschert wurden. Nach der Einäscherung sammelten Frauen die Knochen des Verstorbenen ein und legten sie in eine mit Öl gefüllte Silberschale. Dann nahmen sie diese Knochen, wickelten sie in Grabtuch und ordneten sie auf verschiedenen Bänken an: wenn es ein Mann war - auf dem Thron, wenn es eine Frau war - auf einem kleinen Stuhl ohne Rückenlehne. Anschließend wurden die Gebeine der Verstorbenen von der Einäscherungsstätte nach Grabtuch gebracht, wo es ein Schlafzimmer mit einem Bett gab, auf das die Gebeine gelegt wurden. Auch in den Gräbern von Trialeti und Zurtaketi wurden keine menschlichen Knochen gefunden, da die Toten eingeäschert wurden. Bei einigen Kurganen von Trialeti wurden Fragmente menschlicher Zähne bestätigt. In der gebauten Kammer der Kurgans ruhte der Verstorbene auf einem Karren (Kurgane Nr. 4, Nr. 5, Nr. 10 von Bedeni und Nr. 1 und Nr. 2 von Tsnori) oder auf einem Holzbrett (Kurgane Nr. 5 von Trialeti, LXXXVI). Die Toten wurden

hauptsächlich vor der Beerdigung auf dem Friedhof in der kreisförmigen Struktur beigesetzt, die unter dem # 2 Grab von Tsnori neben der Grabkammer errichtet wurde. Vielleicht können wir dieses runde Gebäude mit dem „Schlafzimmer“ gleichsetzen, in dem die Hethiter nach der Einäscherung die Gebeine der Verstorbenen niederlegten. Unter Berücksichtigung all dessen sollten wir annehmen, dass die im Südkaukasus gefundenen Kurgans dem hethitischen „Steinhaus“ entsprechen könnten.

Das hethitische „Steinhaus“ und die Hügelgräber auf dem Territorium Georgiens, insbesondere die steinernen Grabhügel (zum Beispiel: XXVIII-XXXI von Sabidakhcha, XLI-XLIII, XLIV von Tabazkuri, fast alle Grabhügel von Zurtaketsi, alle sechs Grabhügel (die Hügel von Verin Naveri) müssen in ihrem Zweck einen ähnlichen Zweck gehabt haben. Beispielsweise handelt es sich bei Bestattungen in den Kurgans der Bedeni-Kultur um viereckige Pfahl- oder Steinstrukturen, Gruft. Oberirdische Bestattungen aus Stein sind in der Kultur von Trialeti häufiger anzutreffen und zeichnen sich durch ihre Vielfalt aus. In Meskheti ausgegrabene Kurgans haben Steinmauern, die mit großen Steinplatten bedeckt sind. Auch die sechs Gräber von Lori Berdi sind von ähnlicher Bauart. Es gibt eine Meinung, dass das „Steinhaus“ ein kleines viereckiges Gebäude von Jazilikaya ist und sich auch in den Innenhöfen des I. Tempels Bogazkoi befunden haben könnte. Gleichzeitig sind die hethitischen Wörter selbst bemerkenswert: ^{É}*ḫešta/i* - heit.: Kloster/Tempel der Toten (Tempel der Unterweltgottheiten), Mausoleum, Gruft. ^{É}*ḫaštiyaš* - (Überreste, Knochen) Krypta. Hier sollten wir auf das „Zelt“ achten, das im hethitischen Bestattungsritual erwähnt wird. Das in den kreisförmigen Steinbauten des Südkaukasus beschriebene „Steinhaus“ und das Bestattungsritual in den hethitischen Texten mögen etwas gemeinsam haben, aber wir können es nicht mit dem „Zelt“ in Verbindung bringen. Wir können das „Steinhaus“ nicht mit dem „Zelt“ selbst gleichsetzen, da das „Steinhaus“ ein vorgefertigtes Steingebäude - Gruft - hätte sein sollen, während das Zelt speziell für das Ritual aufgebaut wurde. Wenn beispielsweise die Statue des Verstorbenen vom Streitwagen entfernt wird, wird sie in das Zelt gebracht und auf den silbernen Thron gestellt. Wenn es sich bei der Verstorbenen um eine Frau handelt, wird sie auf einen kleinen goldenen Stuhl ohne Rückenlehne gesetzt und es findet eine Mahlzeit statt. Die Anordnung der Statue des Verstorbenen im Zelt kommt im Ritual oft und an verschiedenen Tagen (8-9., 10.-11., 12.-13. Tage) vor. Wenn das Ritual beendet ist, wird das Zelt (offenbar aufgeteilt) ins Tor gebracht. Wir gehen davon aus, dass das Zelt wahrscheinlich zwischen dem Gruft und dem Opferplatz aufgestellt wurde (wo sie die Opfergaben verbrannten und auch die Asche/Leichenbrand verschiedener Opfergaben, auf dem offenen Boden abseits der Gruft, in dem es das Feld

gewesen sein muss brachten und warfen). Vermutlich sollte das Zelt ein symbolischer Ausdruck des weltlichen Lebens sein, ein vorübergehender Halt, und da die Statue des Verstorbenen speziell auf einem Thron/Stuhl platziert ist, könnte es sich sogar um eine Nachahmung eines Palastes/ Throns handeln.

Rituelle Prozessionsstraßen, die den „aufsteigenden Straßen" in der Nähe der ägyptischen Pyramiden ähneln, führten zu den Hügeln von Trialeti. Prozessionsstraßen finden wir auch in Ursa und Babylon.

Der rituelle Weg hatte die heilige Funktion, die Toten zu verbinden. Der rituelle Weg war auch für die virtuelle Prozession der Verstorbenen am Himmel in Richtung Sonne vorgesehen. Ritualpfade sind auch in der Nähe hethitischer Kapellen und Grabstätten bestätigt. Der heilige Weg führte zum Tempel in Bogazkoi. Die gepflasterten Straßen sind ein organischer Teil der Kurgans von Trialeti und scheinen mit dem Bestattungsritual in Zusammenhang zu stehen und für die Prozession genutzt zu werden, bei der der Verstorbene oder seine Asche in einem Karren zur „Bestattungshalle" gebracht werden. Solche Rituale sollten auch im hethitischen Bestattungsritual berücksichtigt werden, wo der Streitwagen, das Bild/die Statue des Verstorbenen, das Gruft und das Zelt erscheinen. Die Teilnahme des Streitwagens am Bestattungsritual war im Glauben der hethitischen und kaukasischen Völker, insbesondere in der Kurgan-Kultur, wichtig, da der Streitwagen (Karre) ein symbolischer Ausdruck des irdischen Lebens ist. Was auch das georgische Folklorematerial bestätigt: „*Ich fuhr mit dem Karren in den Himmel, er kam mit den Hügeln hinauf, treibt ihr mich mit dem Leben hierher, aber nach Himmelland mit Wiederauferstehung.*" Der Karren/Wagen trug einen Menschen in eine andere Welt, in die Geisterwelt.

Bei den Beerdigungs-, seelischer Reinigungs- und anderen Ritualen hatten Opfern eine besondere Bedeutung. Zum Beispiel: Lamm, Ziege, als Symbol der Reinheit und Unschuld, nur solche Opfer waren für die Götter akzeptabel. Das Opfer konnte auch unterschiedlicher Art sein, zum Beispiel: Getränk/Flüssigkeit: Wein (in verschiedenen Formen), Bier (in verschiedenen Formen), Öl (in verschiedenen Formen), Honig, „Tafluchi" (Getränk aus Honig), Milch; Tier/Vieh: Lamm, Schaf, Widder, Ziege, Lamm, Ziege, Welpe, Stier, /Rinderleber, verschiedene Teile vom Rind; verschiedene Geflügel, kleine Vögel; Verschiedene Getreidearten/Körner: Brot (verschiedene), Gerste, Emmer, Sorghum, Malz, Koriander, Sorghum (Wurzel), Rosinen usw.; Gemüsesuppe, Brei (z.B.: Gerste, Hafer); Milchprodukte: Käse, Butter; Obst, Rosinen; Silbermünze usw.

In der hethitischen Welt wurden neben den Toten auch die Überreste von Rindern, Schafen, Eseln und Pferden in den Gräbern gefunden. Dies bedeutete, dass sie im nächsten Leben vom König benötigt wurden und

die königlichen Wiesen mit Vieh versorgt werden mussten. Im hethitischen Bestattungsritual werden Stiere, Schafe, Pferde und Maultiere erwähnt. In den im Südkaukasus ausgegrabenen Gräbern wurden Überreste großer und kleiner Rinder, ganze Skelette von Schafen oder Ziegen gefunden. Insbesondere in den meisten Kurgan-Gräbern sind Opfergaben gut vertreten. In einem Teil der Ton- und Metallgefäße wurden Reste von Nahrungsmitteln (hauptsächlich Knochen) gefunden. Tierknochen wurden in ein großes, schwarz glänzendes, Gefäß mit zwei Griffen im V. Kurgan gelegt. Es scheint, dass dem Verstorbenen bereits zubereitetes Essen mitgegeben wurde. Die Reste der Mahlzeit äußern sich auch in großen Stücken von Opfertieren oder in der vollständigen Einbeziehung des Tieres, insbesondere wird die Opferung eines Tieres (hauptsächlich Ochse, Pferd, Schaf) bestätigt. Dies zeigt sich deutlich im hethitischen Bestattungsritual. Der Stier war im alten Anatolien ein Symbol des Lebens und der männlichen Fruchtbarkeit. Auch auf den Menhiren des Südkaukasus ist ein Opferstier abgebildet, der die männliche Gottheit der Fruchtbarkeit und Wiedergeburt verkörpert. Der Glaube an die heilige Kraft des Stierkults bildete sich in der alten Bevölkerung des Südkaukasus, der bis heute in der lokalen Bevölkerung überlebt hat.

Im hethitischen Bestattungsritual werden auch die geopferten Tierteile erwähnt (z. B.: Pferdekopf, Stierkopf, Vlies (Haut)). In den ausgegrabenen Hügeln im Südkaukasus wurden auch Köpfe und Gliedmaßen von geopferten Rindern und Bullen sowie Felle gefunden. Das Fell des Stiers war eine Nachahmung der langen Reise des Verstorbenen nach Himmelland, nachdem die Stiere geschlachtet und ihr Fleisch für das Begräbnisfest verwendet worden waren. Ein Teil des Fleisches wurde auch zu den Toten gebracht. Ebenso wird im hethitischen Bestattungsritual von Vlies gesprochen, das in die Gruft gebracht wird, es werden Ochsen getötet, die den Köchen gebracht werden. Sie geben den Toten Nahrung.

Wie bereits erwähnt, wird unter den im hethitischen Bestattungsritual geopferten Tieren auch ein Pferd (Pferdekopf) erwähnt. In verschiedenen Regionen Georgiens nahm das Pferd einen wichtigen Platz in den Bräuchen des Totenkults ein. Der Brauch, dem Verstorbenen ein Pferd zu opfern/zu weihen, war in verschiedenen Regionen Georgiens weit verbreitet.

In hethitischen Opfern Ritualen (Beerdigung, Bezug auf den Geist der Toten usw.) kommen ein Schaf, eine Ziege vor. Das Schaf gehört zu den Tieren, derer Abbildung die Menschen seit der Antike der Fähigkeit zuschrieben, sich vor bösen Geistern zu schützen. Vielleicht, weil das Schaf, normalerweise ein Opfertier, ein Lamm war. Wahrscheinlich repräsentierten im mythologischen Denken einer bestimmten archaischen Gesellschaft das Schaf (Widder) und die Ziege die Rolle eines Mittlers zwischen der Zwisch-

enwelt und der Unterwelt. Auf dem in Georgien gefundenen Grabhügel (Grab Nr. 13) sehen wir das Bestattungsritual auf einem Schaf, das mit der Führung des Verstorbenen durch den Himmelland zusammenhängen muss. Das Schaf wird die Person der Geschichte von einem Grab zum anderen getragen. Das Bestattungsritual für Schafe war mit Darstellungen der Reise der Seele des Verstorbenen nach Himmelland verbunden, wo das Schaf als Eskorte, als Führer fungierte und Himmelland und Erde verband. Der georgische mythologische Held, der in die Unterwelt ging - Jakhsar - kehrt auf die Erde zurück, nachdem er ein Schaf mit nur einem Teil - vier Hörnern und vier Ohren - geopfert hat. Ziegen spielen auch in Ritualen im Zusammenhang mit dem Totenkult sowie in Heilungsritualen eine Rolle.

Bei den Hethitern finden wir manchmal Opfertiere (Schwein, Hund, Welpe, Schlange, Esel, Kaninchen usw.), die nicht gegessen wurden, aber als Opfer erlaubt waren. Grundsätzlich ist ein solches Opfer mit den Gottheiten der Unterwelt verbunden. Vielleicht galten sie deshalb als unreine Tiere, da die Hethiter Hunde und Schweine als besonders unreine Tiere betrachteten. Sie konnten sich dem Tempel, den heiligen Stätten, den Heiligtümern und den Opfergaben für die Gottheiten nicht nähern. Das Berühren eines Schweins, eines Schweinsleders und das Essen von Schweinefleisch selbst im Traum machten einen Menschen unrein, und dann war es notwendig, das entsprechende Opferritual durchzuführen. Nach georgischem Glauben gelten Hunde und Schweine als unreine Lebewesen und werden auch heute noch immer gemeinsam in einem negativen Zusammenhang erwähnt.

In der hethitischen Tradition gab es auch die Tradition, das Schwein zu opfern (obwohl es in manchen Fällen als unreines Tier gilt). Interessant ist auch, dass beim Bestattungsritual am achten bis neunten Tag das sogenannte Ritual durchgeführt wurde. „Ein Schwein trägt Wasser“, wobei ein Schwein die Hauptrolle spielte. In der georgischen Tradition hatten Heiligabend und Weihnachten als Beginn des neuen Jahres eine große Bedeutung und waren voller magischer Ritualen, das darauf abzielte, böse Geister zu überwinden, Gesundheit, Wohlstand, Fruchtbarkeit usw. zu stärken. Bei diesen Ritualen nahm das Schwein als Opfergabe den Hauptplatz ein. In Kurgan VII. wurden an verschiedenen Stellen der Grabgrube Haufen fleischiger Teile kleiner und großer Rinder sowie Schweinekiefer gefunden. In Kurgan VIII. wurden auch Knochen von Ochsen, Schafen und Schweinen aufgezeichnet.

Interessant ist auch, dass in hethitischen Ritualen und Zaubersprüchen häufig das Drehen von Opfergaben, rituellen Gegenständen/Inventaren und das Winken an der Statue der Gottheit, an einer Person, an einem Kranken oder an einem Toten vorkommen. Man muss erwähnen, dass in georgischen Zaubersprüchen und Ritualen das Drehen ritueller Gegenstände verwendet

wurde, zum Beispiel: ein Messer mit schwarzem Griff an einer Person, die entweder krank, berechnet oder gefesselt war.

Wie bereits erwähnt, beim Opfern in Hethitern kommen auch Hunde und Welpen vor. In der georgischen Kulturtradition taucht das Symbol des Hundes und des dazugehörigen Wolfes in vielen Zusammenhängen auf. Z. B. auf den Totenbildern des Lifanali-Zyklus in Swanetien erscheinen ein Hund und eine Katze. Hunde (Windhund) sind manchmal Willensvollstrecker höherer Wesen, manchmal Helfer von Menschen in Not (sie meiden erwartete Gefahren, warnen). In # 2 Kurgan (Grabhügel) „Kozrebi" wurde neben Rinderknochen auch ein Hundeschädel gefunden.

Vögel spielten eine wichtige Rolle im hethitischen Bestattungsritual. Das Opfern von Vögeln (Verbrennen in Opfergruben) kommt in hethitischen Ritualen häufig vor. Anscheinend stellt der Vogel ein besonderes magisches Opfer für die „vorfahrenden" Gottheiten der Unterwelt dar. Vögel (Gans, Kranich, Eigentliche Störche usw.) wurden nach dem Glauben und den Vorstellungen der alten Menschen im Nahen Osten mit der Göttin der Liebe und des Krieges, des Todes und des Lebens in Verbindung gebracht. Die Bewohner der Bronzezeit des Südkaukasus müssen ähnliche mythologische Vorstellungen gehabt haben. Das Bild des Vogels auf Keramik aus der mittleren Bronzezeit im Südkaukasus wurde mit dem Ishtar-Shavushka-Kult oder seinem kaukasischen Äquivalent in Verbindung gebracht.

Es gab verschiedene Opferns Formen: um den Gottheiten zu dienen, zu kochen, zu verbrennen, zu zerstören, zu zerstückeln, einen Teil zu essen (z. B. Rinderfett), „bissen, anbissen" des Inneren (insbesondere der Leber) essen. Den georgischen Bewohner von Bergen zufolge galt jedes Unglück und jede Krankheit als Strafe der Gottheiten. Um ihre Herzen zu gewinnen, schlachteten sie daher Tiere (Schafe, Kälbchen, Stiere), opferten Kupfer, Silber, „weißes Geld", Felder usw. Sie brauten Bier und backten Brot. Sie zerschnitten auch das Opfertier, kochten es und aßen dann einen bestimmten Teil davon.

Bei den Hethitern waren die Eingänge zur Unterwelt Höhlen, Brunnen, Pfützen, künstlich gehauene Gruben, Löcher, Quellen, Brunne. In georgischen Legenden gibt es enge „Einfahrten", um in die Unterwelt zu gelangen. Opfer wurden oft in Gruben und Brunnen gebracht. Die Helden des georgischen Volksmärchens aus der Grube und den Brunnen in der Unterwelt. Bemerkenswert ist, dass in der Kapelle „Meli-Ghele" I in Georgien zwei mit heiliger Asche und verschiedenen Gegenständen gefüllte Gruben entdeckt wurden, darunter große mit heiliger Asche gefüllte Tongefäße. Möglicherweise wurden diese Gruben für ein Ritual zur Verbindung mit der chthonischen Welt genutzt. Einige der auf dem Ort ehemaliger Stadt Vani identifizierten Tempel stehen im Zusammenhang mit chthonischen

Wesen. Auf der unteren Terrasse von ehemaliger Stadt wurde eine Grube entdeckt, bei der es sich um einen monumentalen „Brunnen“ handelt. Die Länge des gegrabenen Brunnens beträgt heutzutage 21 M. Die gleiche Funktion sollte auch die monumentale Grube/Brunnen in „Sairkhe“ haben.

Interessant ist auch, dass beim Bestattungsritual die Statue des Verstorbenen auf den Schmirgelhaufen gelegt wird. Dies könnte ein symbolischer Ausdruck der Tatsache sein, dass, wenn die Saat aufgeht, auch neues Leben in anderem Land sprießen muss, das heißt, dass man in diesem anderen Land wiedergeboren wird. Daher wird der Tag, an dem die Seele den Körper verlässt, „Guten Tag“ genannt, das heißt, es ist der Tag der Wiedergeburt. Die Seele geht in die Ewigkeit über. Ich denke, in dieser Hinsicht gibt es eine interessante Ähnlichkeit mit der Tatsache, dass in den im Südkaukasus ausgegrabenen Gräbern Weizen- und Getreideköpfe miteinander verwoben sind. Das Verstreuen von Weizen- oder Getreidekörnern um den Verstorbenen ist mit einem bestimmten Ritual verbunden. In drei Gräbern hatten die Verstorbenen Feldblumen. Aus all dem geht hervor, dass der Sonnenkult bei den Hethitern einen sehr wichtigen Platz in den Bestattungsregel und -ritualen einnahm.

Aufgrund dieser interessanten Ähnlichkeiten können wir schließen, dass die hethitischen Bestattungsrituale, Darstellungen und Gewohnheiten unter dem Einfluss der Traditionen und Glaube-Darstellungen der mit dem Südkaukasus verbundenen Hattischen indigene Bevölkerung entstanden sein müssen.

გამოყენებული ლიტერატურა

აბაკელია, ნ., (2017). უძველესი კოსმოლოგიური კონცეპტები და არქაული რელიგიური სიმბოლოები ქართველთა კულტურულ მეხსიერებაში, თბილისი.

აბაკელია, ნ., (1997). სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბილისი.

აბაკელია, ნ., (**1991**). გველი მითში, კულტსა და რიტუალში. კრ. „აია“. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.

ახუაშვილი, ნ., (2007). ხეთური დაკრძალვის რიტუალი და პარალელები ქართულ სამყაროსთან. „ასირიოლოგთა, ბიბლეისტთა და კავკასიოლოგთა საზოგადოების შრომები 3“. თბილისი. https://www.dzeglebi.ge/statiebi/etnografia/xeturi_dakrdzalvis_rituali.html (მოძიებულია: 4.12.2020).

ბალიაური, მ., მაკალათია, ნ., (**1940**). მიცვალებულის კულტი არხოტის თემში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, თბილისი.

ბერიაშვილი, მ., (**1988**). მთა როგორც მითოსური წესრიგის დამყარების ფენომენი დააღმოსავლეთ საქართველოს ბრინჯაოს ხანის გორის ტიპის შესაბამისი ძეგლები. – გარეჯი. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, VIII. თბილისი.

ბერიაშვილი, მ., (**1982**). დაკრძალვის რიტუალი ხეთებთან. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“. XXXVI-B. მეცნიერება. თბილისი.

ბურდული, მ., (**2000**). ძველი ქართული მედიცინა არქეოლოგიური მასალის მიხედვით, შრომების კრებული, №2, ახალციხე. 117-123.

გიორგაძე, დ., (**1987**). დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში (თუშ-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). თბილისი.

გობეჯიშვილი, გ., (**1981**). ბედენის გორასამარხების კულტურა. თბილისი.

გოგაძე, ე., (**1972**). თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბილისი.

კიკნაძე, ზ., (**1979**). შუამდინარული მითოლოგია. თბილისი.

ლიჩელი, ვ., (2001). კოლხეთისა და იბერიის კულტურის საკითხები (ძვ.წ. IV-I საუკუნეებში). თბილისი. 40-43.

მახარაძე, ზ., (**1994**). ციხიაგორის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი. თბილისი.

მინდაძე, ნ., (**1981**). ქართული ხალხური მედიცინა (აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბილისი.

ნარიმანიშვილი, გ., (**2009**). სიახლენი თრიალეთის კულტურაში. თბილისი.

ნარიმანიშვილი, დ., (**2015**). მითო-რელიგიური მსოფლმხედველობა შუა ბრინჯაოს ხანის ცენტრალურ სამხრეთ კავკასიაში. (დისერტაცია). თბილისი.

ტატიშვილი, ი., (**2017**). ქართულ-ხეთური ლექსიკონი. თბილისი.

ტატიშვილი, ი., (**2013**). ხეთურ-ქართული ლექსიკონი. ნაკვეთი 9: შუმეროგრამები. თბილისი.

ტატიშვილი, ი., (**2012**). ხეთურ-ქართული ლექსიკონი. ნაკვეთი 7: თ. „ლოგოსი“. თბილისი.

ტატიშვილი, ი., (**2005**). ხეთების რელიგიური რწმენა-წარმოდგენები საიქიო ცხოვრებაზე. ვერა ბარდაველიძისადმი მიძღვნილი კრებული. თბილისი. 256-262.

ფირცხელანი, დ., (**2005**). მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ერთი თავისებურება სოფ. ლატალში. ქართველური მემკვიდრეობა, №9. 357-361.

ფიცხელაური, კ., (**1973**). აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვწ. XV-VIIს.ს.). თბილისი.

შანშაშვილი, ნ., ნარიმანიშვილი, გ., (**2020**). ყოველდღიური ცხოვრება ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანების და მეორე ნახევრის თრიალეთში (სამხრეთ კავკასია). „ქრონოსი“, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, 1, თბილისი. 235-257.

შანშაშვილი, ნ., ნარიმანიშვილი, გ., (**2015**). ქალის ჰორელიეფი მელიღელეს სამლოცველოდან (იშთარი, ანათი, თუ კირკე). ტრადიციული რელიგიური სისტემა და თანამედროვეობა. თბილისი. 206-220.

შანშაშვილი, ნ., ნარიმანიშვილი, გ., (**1989**). მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ერთი რიტუალის სემანტიკა. ძეგლის მეგობარი, 1. თბილისი. 56-62.

ჩარექიშვილი, ნ., (**2002**). წარმოდგენები ქვესკნელსა და საიქიო ცხოვრებაზე ხეთებთან. აღმოსავლეთი. №2. თბილისი.

ცანავა, ა., (**1992**). ქართული მითოლოგია. თბილისი.

ხაზარაძე, ნ., (**2002**). ძველანატოლიურ სამყაროსთან ქართველთა ეთნოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, ქართველური მემკვიდრეობა VI, თბილისი.

ხოსიტაშვილი, ს., (**1983**). ქორწინებისა და მიცვალებულის დაკრძალვის წესი სამცხე-ჯავახეთში. თბილისი.

ჯაფარიძე, ო., (**1969**). არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. თბილისი.

Дедабришвили, Ш., (1979). Курганы Алазанской долины. Тбилиси.

Калантарян, А., Пилипосян, А., Мелконян, У., (2004). Среднебронзовое погребение № 30 Ошакана. Международная научная конференция «Археология, Этнология, Фольклористика Кавказа». Тбилиси.

Куфтин, Б., (1941). Археологические раскопки в Триалети. Тбилиси.

Маккуин, Дж. Г., (1983). Хетты и их современники в Малой Азии. Москва.

Симонян, А., (1984). Два погребения эпохи средней бронзы могильника Верин Навер. - Советская археология № 3.

Элиаде, М., (2000). Трактат по истории религий. Том I. Санкт-Петербург.

Юнг, К.Г., (2003). Mysterium Coniunctionis (Таинство воссоединения). Минск.

Alster, B., (1980). Death in Mesopotamia, papers read at the XXVIe Rencontre Assyriologique Internationale (Mesopotamia 8), Kopenhagen.

Archi, A., (2008). The Soulhas to Leave the Land of the Living. JANER 7. Leiden.

Bittel, K., Herre W., Otten H., Röhrs M., Schaueble J. (u.a.), (1958). Die hethitischen Grabfunde von Osmankayasi (=Wissenschaftliche Veröffentlichungen der Deutschen Orient-Gesellschaft, 71). Berlin.

Brentjes, B., (1999). Das Bestattungsritual der Hethiter - ein Erbe aus den eurasischen Steppen? Altorientalische Forschungen. 26, 1, 58-76.

Bryce, T.R., (2002). Life and Society in the Hittite World. Oxford.

Christmann-Franck, L., (1971). 'Le rituel des funérailles royales hittites', RHA 29. 61-111.

Cognetti, Ch., (2021). Totenkult und Ahnenverehrung im hethitischen Anatolien. (Vorstellungen, Rituale und Institutionen). Heft 32. Heidelberg.

Ebeling, E., (1931). Tod und Leben nach den Vorstellungen der Babylonier, Berlin _ Leipzig.

Eliade, M., (1954). Cosmos and History: The Myth of the Eternal Return. Princeton, NJ: Princeton University Press.

Gräslund, A.S., (2001). Living with the Dead. Reflections on Food offering on Graves. M. Stausberg (Hrsg.), Kontinuität und Brüche in der Religionsgeschichte, Festschrift für Anders Hultgard zu seinem 65. Geburtstag am 23.12.2001 (RGA-E Band 31). Berlin _ New York.

Groddek, D., (2001). Mausoleum ($É.NA_4$) und Totentempel (*Éḫištā*) im Hethitischen. UF 33. 213-218.

Gurney, O., (1966). The Hittites. 164-170.

Haas, V., (2011). Die Hethiter. In Religionen des Alten Orients, vol. 1: Hethiter und Iran. Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht.

Haas, V., (2010). Die linke Seite im Hethitischen. Orientalia. NOVA SERIES, Vol. 79, No. 2, Studi di Ittitologia in onore de Alfonso Archi. 164-170.

Haas, V., (2003). Materia Magica et Medica Hethitica. Ein Beitrag zur Heilkunde im Alten Orient. Volumen I, II. Berlin. New York.

Haas, V., (1995). Death and Afterlife in Hittite Thought. In: Jack M. Sasson (Hrsg.), Civilization of the Ancient Near East. 2023-2027.

Haas, V., (1994). Geschichte der hethitischen Religion. Handbuch der Orientalistik 1/15. Brill.

Haas, V., (1976). Die Unterwelts- und Jenseitsvorstellungen im hethitischen Kleinasien. Orientalia 45/ 1-2.

Hoffner, H.A., (1988). A Scene in the Realm of the Dead. A Scientific Humanist. Studies in Memory of Abraham Sachs. Philadelphia. 191_199.

Kammenhuber, A., (1965). Die hethitischen Vorstellungen von Seele und Leib, Herz undLeibesinneren, Kopf und Person. 2. Teil, ZA 57. 177-222.

Kammenhuber, A., (1964). Die hethitischen Vorstellungen von Seele und Leib, Herz und Leibesinnerem, Kopf und Person I. ZA 56 (NF 22). 150-212.

Kapeluś, M., (2010). Good death, bad death on the Hittite attitude towards death. Acts of the VIIth International Congress of Hittitology. Volume I. 431-439.

Kapeluś, M., (2008). Some remarks on Hittite royal funerary ritual sallis wastais (Texts from Building A on Büyükkale). Studi micenei ed egeo-anatolici (SMEA), Vol. 50, Nº 1, Warsaw. 449-456.

Kassian, A., Korolëv, A., Sidelt'sev, A., (2002). Hittite Funerary Ritual: šalliš waštaiš. AOAT 288, Münster.

Katz, D., (2003). The Image of the Netherworld in the Sumerian Sources, Bethesda.

Klengel, E., (1970). Die Hethiter. München. 155-164.

Kramer, S.N., (1960). Death and Nether World according to the Sumerian Literary Texts. Iraq 22.

Mellaart, J., (1963). Excavation at Çatal Hüyük, 1962: Second Preliminary Report. Anatolian Studies, Vol. 13, 43-103.

Narimanishvili, G., Shanshashvili, N., Narimanishvili, D., (2018). Die Trialeti-Kultur-Das Leben, der Tod und die Prozessionsstraßen in die Ewigkeit. Gold & Wein. Georgiens älteste Schätze. Archäologisches Museum Frankfurt. 203-360.

Neve, P., (1993). Hattusa - Stadt der Gotter und Tempel. Mainz am Rhein.

Otten, H., (1962). Zu den hethitischen Totenritualen, OLZ 7. 230_234.

Otten, H., (1959). Eine Lieferungsliste zum Totenritual der hethitischen Könige. Die Welt des Orients (WdO). Bd. 2, H. 5/6. 477-479

Otten, H., (1958a). Hethitische Totenrituale. Akademie-Verlag. Berlin.

Otten, H., (1958b). Bestattungssitten und Jenseitsvorstellungen nach den hethitischen Texten - In: Bittel, K. (u.a.): Die hethitischen Grabfunde von Osmankayasi (= Wissenschaftliche Veröffentlichungen der Deutschen Orient-Gsellschaft, 71). Berlin.

Otten, H., (1959). Eine Lieferungsliste zum Totenritual der hethitischen Könige. Die Welt des Orients. Bd. 2, H. 5/62. 477-479.

Otten, H., (1940). Ein Totenritual hethitischer Könige _ In: MDOG (Mitteilungen der Deutschen Orient-Gesellschaft) 78. 3-11

Otten, H., Souček V., (1969). Ein althethitisches Ritual für das Königspaar. Studien zu den Boğazköy-Texten, Heft 8. Wiesbaden.

Otten, H., (1981). Die Apologie Hattusilis III. StBoT 24, Wiesbaden. 26-27.

Rosenkranz, B. (1973). Kultisches Trinken und Essen bei den Hethitern. In: E. Neu - C. Rüster (Hrsg.), Documentum Asiae Minoris Antiquae. Festschrift für Heinrich Otten zum 75. Geburtstag, Wiesbaden,

Rutherford, I., (2007). Achilles and the Sallis Wastais Ritual: Performing Death in Greece and Anatolia. Chicago. 223-236.

Seeher, J., (2015). Wo sind die Toten der Hethiter? Überlegungen zum Fehlen von spätbronzezeitlichen Bestattungsplätzen in Zentralanatolien, in: A. Müller-Karpe - E. Rieken - W. Sommerfeld, Saeculum:

Gedenkschrift für Heinrich Otten anlässlich seines 100. Geburtstags, StBo-T 58. Wiesbaden. 229-238.

Seeher, J., (1993). Körperbestattung und Kremation _ ein Gegensatz? In: Istanbuler Mitteilungen 43, 219_26.

Tischler, J., (2008). Hethitisches Handwörterbuch. Mit dem Wortschatz der Nachbarsprachen. 2., erweiterte und verbesserte Auflage.

van den Hout, Th. P. J., (1995). An Image of the Dead? Some Remarks on the Second Day of the Hittite Royal Funerary Ritual, in O. Carruba-C. Mora-M. Giorgieri (a cura di), Atti del II Congresso Internazionale di Hittitologia, Pavia 28 giugno _ 2 luglio 1993, Pavia, 195-211.

van den Hout, Th. P. J., (1994). Death as a Privilege: The Hittite Royal Funerary Ritual. In Hidden Futures: Death and Immortality in Ancient Egypt, Anatolia, the Classical, Biblical and Arabic- Islamic World, edited by J. M. Bremer, T. P. J. van den Hout, and R. Peters. 37-76. Amsterdam: Amsterdam University Press.

Wilhelm, G., (2014). Unterwelt. Unterweltsgottheiten. RlA. Band 14. 3/4, 345-348.

ომარ ბეგოიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის
ისტორიის სადოქტორო აკადემიური პროგრამის დოქტორანტი

დვალეთის ქართველური ონომასტიკა ზოგიერთი გვარსახელის გეოგრაფიული ლოკალიზაციისთვის

ონომასტიკა, რომელიც სწავლობს საკუთარ სახელებს, ფორმალურად ენათმეცნიერებას მიეკუთვნება, თუმცა ინტერდისციპლინარულ გარემოში ის შეიძლება განვიხილოთ როგორც ისტორიის, გეოგრაფიის და სხვა მეცნიერებების მხარდამჭერი დარგი. ონომასტიკა ინახავს ინფორმაციას გარკვეულ ტერიტორიაზე მიმდინარე ისტორიული, ეთნოკულტურული, სოციალურ-ეკონომიკური, ბუნებრივი და სხვა პროცესების შესახებ. ონომასტიკის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია ტოპონიმიკა, რომელიც იკვლევს გეოგრაფიული ობიექტების სახელებს, და ანთროპონიმიკა, რომელიც შეისწავლის ადამიანის საკუთარ სახელებს (პირსახელი, გვარსახელი). გვარების და მათთან დაკავშირებული გვარსახელების შექმნასთან და განვითარებასთან დაკავშირებული პროცესების კვლევა იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას ერის ეთნოგენეზის, ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების შესახებ.

გვარის ჩამოყალიბება და მისთვის მემკვიდრეობითი სახელის მინიჭება ოსებში დიდწილად განპირობებული იყო საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური პროცესებით. გვარები პირველად ყალიბდებოდა მმართველ ელიტაში (თავადაზნაურობა), ხოლო შემდგომ უფრო დაბალ სოციალურ კლასებში (მოვაჭრეები, გლეხები, ხელოსნები). ოსი მეცნიერების ნაწილი ვარაუდობს, რომ გვარსახელები მასიურად ჩნდება ოს წარჩინებულთა ოჯახებში XVII საუკუნის ბოლოს – XVIII საუკუნის დასაწყისში, ხოლო გლეხებმა გვარსახელები მიიღეს მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისში, რაც განპირობებული იყო რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციული მართვის მოთხოვნებით [Икаева 2014]. ქართული ისტორიული წყაროების და ქართველი ავტორების ნაშრომების საფუძველზე, ზოგიერთი ოსი მკვლევარი ფიქრობს, რომ პირველად ოსური სამეფო და წარჩინებულთა გვარსახელები წარმოიქმნა XII-XIII საუკუნეებში [Икаева 2014]. მნიშვნელოვან წყაროს ოს წარჩინებულთა გვარების შესახებ წარმოადგენს XVIII საუკუნის ვახუშტი ბაგრატიონის „გეოგრაფია“, რომლის მიხედვით „გვარნი ოვსთანი ესენი არიან: **ბასიანი, ბადელიძე, ჩერქესიძე, თაგაური, ქურთაული, სიდამონი, ჭახელიძე**“ [ვახუშტი 1997, 108]. როგორც ვხედავთ,

ჩამოთვლილი გვარები იწარმოებოდა ქართული ფორმანტებით **-ან-, ძე, -ურ-, -ულ-, -ონ-**, ხოლო **ბადელიძე** სავარაუდოდ ორმაგი სუფიქსაციით ჩამოყალიბდა: წარმომავლობის სუფიქსი **-ელ-** და **-ძე-** [ჯაფარიძე 2010, 486]. თანამედროვე ოსური გვარსახელები ფორმდება სუფიქსით **-თ-** და ბოლოსართით **-ӕ**, რაც მათ მრავლობით რიცხვში წარმოადგენს, მაგალითად გვარი **გოძი-თ-ӕ** „**გოძიევები**“, **დუდარა-თ-ӕ** „**დუდაროვები**“. გვარის წარმომადგენლის აღსანიშნავად, **-თ-** სუფიქსს ერთვის ბოლოსართი **-ჲ** (**გოძი-თ-ჲ**, **დუდარა-თ-ჲ**), თუმცა ძველად ოსურ გვარსახელებს აწარმოებდნენ სუფიქსები **-ან-, -ონ-**, რომლებიც დღეს, როგორც წესი, გვარის მდედრობითი სქესის წარმომადგენლის აღმნიშვნელია, მაგალითად **გოძიან „გოძიევი“, დუდარონ „დუდაროვი“** [Гаглойти 2007, 20].

ოსური გვარსახელების დიდი უმრავლესობა, წარმოქმნილია გვარის ფუძემდებლის სახელიდან, ანუ ეპონიმურია. ოსური ანთროპონიმიკონი გამოირჩევა მრავალფეროვნებით და მასში აღინიშნება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების გავლენა. ანთროპონიმების დიდ ფენას წარმოადგენენ ირანული და თურქული წარმოშობის ოსური პირსახელები, რასაც უკავშირდება ოსების ეთნოგენეზისის ალანურ ეტაპს, თუმცა ოსურ ანთროპონიმიკონზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ კავკასიური ეთნოსები, განსაკუთრებით ადიღები (ყაბარდოელები) და ქართველები [Икаева 2014; Калоев 1999, 220]. ამრიგად, ოსური ანთროპონიმიკონის მნიშვნელოვან შრეს შეადგენენ ქართველური ან ქართველების გავლენით დამკვიდრებული ევროპული და აღმოსავლური პირსახელები და მეტსახელები.

ქართველური ანთროპონიმი ოსურ გვარსახელში ერთმნიშვნელოვნად არ მიუთითებს მის ქართულ ფესვებზე. ქართული ანთროპონიმისგან შესაძლოა დამოუკიდებლად წარმოქმნილიყო ქართული გვარსახელის მსგავსი ფუძის მქონე ოსური გვარსახელი.

წერილობითი წყაროები (მატიანები, დავთრები, აღწერები, სამართლის ძეგლები და სხვა), ქართულ ეთნოგრაფიულ მასალასთან ერთობლიობაში, იძლევა გაოსებული ქართული გვარების დადგენის საშუალებას. მაგალითად, 1886 წლის აღწერაში ჩამოთვლილია თრუსოს ხეობის გვარები, რომლებიც გაფორმებულია რუსული სუფიქსებით **-ев / -ов : Гудиев (გუდიევი)**, **Бибилов (ბიბილოვი)**, **Арджинов (არჯინოვი)** და სხვა, თუმცა იქვე ყველა გვარს გრაფაში народность (ეროვნება) უწერიათ грузин (ქართველი) [თოფჩიშვილი 2005, 51]. აღნიშნული მონაცემები ადასტურებენ, რომ ეს გვარები გაოსებულ თრუსოელ ქართველებს

წარმოადგენს (**გუდიაური/გუდიაშვილი, ბიბილური, არჯინაული**). ქართული წარმოშობის ოსური გვარების შესახებ ეთნოგრაფიული მონაცემები მოიპოვება ოსი მეცნიერების ნაშრომებში, თუმცა თანამედროვე კონიუნქტურის გათვალისწინებით ოსეთში შეინიშნება მცდელობები დაიფაროს ზოგიერთი გვარის ქართული ფესვები, მაგალითად, ქართული წარმომავლობის ნაცვლად მითითებულია, რომ გვარის წინაპარი ჩრდილოეთ ოსეთში მოვიდა „სამხრეთ ოსეთიდან“, მაღრან-დვალეთიდან, კუდაროდან ან ქსნის ხეობიდან, რომლებსაც ოსი მეცნიერები მცდარად თვლიან ოსების განსახლების ისტორიულ არეალებად.

„2011 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლიდან 20 წლის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლება ისევ ვერ აკონტროლებს საკუთარ ტერიტორიებს და ვერც ეკონომიკური უსაფრთხოებით უზრუნველყოფს საკუთარ მოქალაქეებს. მიუხედავად ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სივრცეში გარკვეული მიღწევებისა, მან მაინც ვერ შეძლო აეშენებინა ეფექტური დემოკრატია, რომლის მიმართაც მოსახლეობას ნდობა ექნებოდა“ – ვკითხულობთ წიგნის შესავალში [გვ. XVIII], და მთელი წიგნიც ისეა აგებული, რომ ყველაფერ ზემოთ აღნიშნულში დამნაშავედ გამოიყვანოს ქართველი ხალხი და მისი ყველა ხელისუფლება, საქართველოში არსებული ყველა პოლიტიკური მიმართულება, გარდა დასავლელი ე. წ. პარტნიორებისა, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებენ მათთვის არც თუ სახარბიელო გარემოებანი, მათთვისვე სასარგებლოდ წარმოაჩინონ და ამით ე. წ. მესამე სამყაროს კეთილისმყოფელის იმიჯიც შეინარჩუნონ.

„გამსახურდია ისე იქცეოდა, როგორც საბჭოთა პარტიული ბოსი; გულში ქართულ ეროვნულ ინტერესებს ატარებდა, მაგრამ ავტორიტარული ჩვევები საბჭოთა სისტემისაგან ჰქონდა შესისხლხორცებული, რამაც ის, საბოლოოდ, დაამარცხა კიდეც“ [გვ. 75] – ამბობს ბატონი სტივენ ჯონსი, რადგან საკუთარი მიზნის მისაღწევად ასე სჭირდება, რათა გააშავოს ყველა და ყველაფერი, რაც საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს ლეგიტიმაციის საყრდენად გამოადგება, და შემდეგ მიდგეს თავად ამ სახელმწიფოს ისე, რომ მის თავს დამტყდარი ყველა უბედურება მათ გადააბრალოს, ვინც გაბედა და რეალური თავისუფლებისათვის გაიბრძოლა. თორემ, სად უნდა შეესისხლხორცებინა ზვიად გამსახურდიას ავტორიტარული ჩვევები საბჭოთა სისტემისაგან, როდესაც მისი მამის, მსოფლიოში ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, კონსტანტინე

გამსახურდიას ოჯახში სრულიად სხვა გარემო და ტრადიცია იყო გამეფებული, რომელიც საქართველოს მომავალი თავისუფლებისა და სახელმ-წიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იდეის სამსახურზე იყო ორიენტირებული, ხოლო თავად ზვიად გამსახურდია არასდროს ყოფილა საბჭოთა სისტემის მსახური და მისი მარიონეტი. მაგრამ წიგნის ავტორი აქ სარგებლობს ცნობილ პრინციპით: „მიზანი ამართლებს საშუალებას“ და იქვე განაგრძობს: **„გამსახურდიამ ვერ დაიცვა ლეგიტიმურობა გაუმჯობესებული ცხოვრების დონით, ადგილობრივი ბურჟუაზიის, სახელმწიფო შემოსავლებისა თუ უცხოური ინვესტიციების გარეშე, ის იძულებული იყო დაყრდნობოდა იმას, რაც გააჩნდა – თვითდინებაზე მიშვებული ფორმის სახელმწიფო სოციალიზმს, მასობრივ სწრაფვას ცვლილებებისადმი და საკუთარ პიროვნებას“** [იქვე]. ციტატის პირველ ნაწილში ის გამსახურდიასა და მის ხელისუფლებას სთხოვს იმას, რისი მიღწევაც დასავლეთს საუკუნეების შრომა და სისხლი დაუჯდა, ხოლო მეორე ნაწილის შესახებ ვიტყოდით, რომ, როდესაც მთელი დასავლური სამყარო აყვა საბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდის სურნელით გაჟღენთილ ცრუ დემაგოგიას და სრულიად მარტო მიატოვა ზვიად გამსახურდია და მისი ხელისუფლება მოსალოდნელი წარღვნის წინაშე, აბა, სხვა რისი იმედი უნდა ჰქონოდა მას, გარდა იმისა, რაც გააჩნდა და საკუთარი პიროვნებისა, რომელიც, საბოლოოდ, ყველამ გასწირა; დასავლეთმა კი, მისთვის კარგად ცნობილი საბჭოური ჭორებით გაჟღენთილმა, თავშესაფარიც არ მისცა, და ადრევე, ედუარდ შევარდნაძესთან ერთად, უსინდისოდ ამზადებდა მის დამხობას, პოსტეროვნული ხელისუფლების უზრუნველყოფისა და მისი შევარდნაძისეული ვანდეით ჩანაცვლების მიზნით.

ვერაფრით გაიგეთ, (ან, ძალიან კარგად უწყით, მაგრამ ასე გაწყობთ – **უ. ო.**), რომ საბჭოთა კავშირის სამსახურში გამოჯეგილი პარტოკრატი, ვერასდროს მოემსახურებოდა ქვეყნის გარდაქმნისა და მასში დემოკრატიული რეფორმების გატარების საქმეს, რადგან მისი მთავარი მახასიათებელია უკან, უკვე გაქარწყლებული ილუზიების უტოპიისაკენ ყურება და მის აღდგენაზე ოცნებაა; ეს მან, კიდევ ერთხელ დაამტკიცა საქართველოს დსთში შეყვანამდე მიყვანით, რომლისკენ მიმავალი გზაც სავსე იყო საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული საერთაშორისო შეთქმულებებითა და ტერორით. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ თქვენი სურვილია აღნიშნული სივრცე დარჩეს განუვითარებელი, ნახევრად კოლონიის მდგომარეობაში, და ედ. შევარდნაძესა და მის ნიჭსაც, სწორედ ამ მიზნისთვის იყენებდით, (სტივენ ჯონსის სახით დასავლეთს ველაპარაკები – **უ. ო.**).

თორემ ამისთანა პიროვნების საქართველოს ხელისუფლებაში მომყვანებს, პირში ენა როგორ გიბრუნდებათ, როდესაც ამბობთ: **„საქართველოს ნეოპატრომონილური კულტურის კონტექსტში, ლეგიტიმური სახელმწიფო ინსტიტუტების გარეშე, ხელისუფლებას პრეზიდენტი განასახიერებდა. ქარიზმა იყო გამსახურდიას ხელისუფლების ყველაზე სანდო წყარო. მათმა უმეტესობამ, ვინც გამსახურდიას მისცა ხმა, ხმა მისცა ადამიანს და არა პროგრამას. გამსახურდიას იდენტიფიკაციამ სახელმწიფოსთან, მის მიმართ მოწიწება და დამთმობლობა გააღვივა, მაგრამ ასევე მოიტანა ოპოზიციის მოღალატეებად შერაცხვა და უმცირესობის ვიქტიმიზაცია...“** [გვ. 76-77]. აქ ავტორს პირდაპირ უნდა ვუთხრათ, რომ საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებელი საფუძვლების შესაქმნელად, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას დაუნდობელი ბრძოლა უხდებოდა, როგორც ქვეყანაში მსუყედ შემორჩენილ საბჭოთა სისტემისა და ნომენკლატურისა და ქვეგამხედველურად განწყობილ კოლაბორაციონისტების ნარჩენებთან, რომლებიც ქართული ეროვნული სახელმწიფოსა და იდეალებისადმი განსაკუთრებული ფარისევლური ორპირობით გამოირჩეოდნენ და, უმთავრესად, საქართველოში ედუარდ შევარდნაძის მოღალატური პოლიტიკის გატარებასა და ეროვნული ხელისუფლების მიზანმიმართულ დასუსტებას შეგნებულად ემსახურებოდნენ... და როგორ უნდა ეწოდებინა ეროვნულ ცნობიერებას მსგავსი შინაარსის მატარებელი აშკარა მტრებისათვის, რომელთა საქართველოს საწინააღმდეგო ქმედებათ, ვერარა ძალა ვერ შეაჩერებდა?! გამსახურდიას ხელისუფლებას კი რა ბერკეტები გააჩნდა, შეგნებულად მოქმედი ამ კასტის მიმართ, რომელმაც მის მიერ საქართველოში ჩამოყვანილ ედუარდ შევარდნაძეს, ისეთი აბსოლუტური მონარქისა და შეუზღუდავი დიქტატორის უფლებები მიანიჭა, რომელიც კლასიკურ რომში გაიუს სულასაც არ დაესიზმრებოდა... პიროვნებას, რომლის ბრძანებითაც მის თვალწინ, ყოველგვარი გასამართლების გარეშე ხვრეტდნენ ხელებშეკრულ და მიწაზე ჩამხობილ მისივე თანამოქალაქეებს (ხობის ტრაგედია, როდესაც შინაგან საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა შოთა კვირაიამ ე. შევარდნაძიდან რამდენიმე მეტრში დახვრიტა მისი მოწინააღმდეგე დატყვევებული, მიწაზე განრთხული პიროვნებები – **უ. ო.**), ხოლო მისი სასამართლოს მიერ გასამართლებულ „დამნაშავეებს“, ამ „დამნაშავეთა“ დაჭერის შემდეგ სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე მიუსაჯეს დახვრეტა! და ქართული ეროვნული მოძრაობის ძალებს, მთელ ქართულ საზოგადოებასთან ერთად, თავგანწირული აქციები დასჭირდა, შიმშილობის აქციის

სრულიად საქართველოს მასშტაბით განხორციელებით, რომ ამ სისხლისმსმელი ვამპირის ხელიდან გამოეღლიტათ აღნიშნულ პიროვნებათა სიცოცხლე.

ხოლო, რაც შეეხება ეროვნულ უმცირესობათა ვიქტიმიზაციას, ასეთი რამ საქართველოში საერთოდ არ ყოფილა მანამ, სანამ „ბოროტების იმპერიამ“ ამ ერებში მის მიერ საუკუნეთა განმავლობაში ჩადებული ბოროტი თესლი თავისი აგენტურის, ნომენკლატურული კონდოტიერების, მეშვეობით ხელოვნურად არ გააღვივა და ეს ე. წ. უმცირესობანი მოღალატურად არ დაუპირისპირა თავისივე სამომავლო ინტერესებს, ახლა კი ფარისევლურად იცავს მათი ათასგზის გადამრჩენი ქართველებისაგან, „მოსალოდნელი გენოციდისაგან“. და ეს მაშინ, როდესაც, თუ ისევ რუსული ბოროტი კოლონიური მართვის სისტემა არ გააბრიყვებდა მათ, ისინი ქართველებთან სამაგალითო თანაცხოვრებასა და ურთიერთ პატივისცემაზე აგებულ ურთიერთობებს არასდროს გასცდენიან; საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო ათწლეულებში კი, მათ გარანტირებული ჰქონდათ თავიანთი ეროვნული და კულტურული უფლებების დაცვა – გააჩნდათ საკუთარი ტელევიზია, სკოლები თუ სხვა საჭირო დანიშნულების ეროვნული ინსტიტუტები, რომლის მსგავსიც ჩრდილოეთ კავკასიაში, რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში არსებულ ოსურ თუ სხვა ნებისმიერ ავტონომიურ ფორმირებებს, სიზმარშიც არ მოლანდებიათ და მათი გარუსების პროცესი იქ გამალებით მიმდინარეობდა (თითქმის დასრულებული იყო – **უ. ო.**); ასე, რომ „ბოროტების თესლზე აღმოცენებული“, ბოროტების იმპერიის განსაკუთრებული ბოროტი ძალისხმევის გარეშე, ქართულ სახელმწიფოში ეროვნულ უმცირესობებთან ქართველი ხალხის მშვიდობიანი თანაარსებობა და თანამშრომლობა გარანტირებული იყო. ხოლო როდესაც, ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სიტუაციის საქართველოს სამტროდ შემზადება დაიწყეს, მათ საკუთარი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელმა, აკადემიკოსმა ვასილ აბაევმა გულწრფელად ურჩია, რომ არ ჩაბმულიყვნენ რუსეთის მიერ წამოწყებულ ანტიქართულ ავანტიურაში და შეეწყვიტათ ქმედებანი საქართველოს წინააღმდეგ, რაც ოსების რეალური ინტერესების მოღალატე ოსური საბჭოთა ნომენკლატურის მიერ დარჩა „ხმად მღაღადებლისა, უდაბნოსა შინა“ და მათ იქამდე მიიყვანეს ოსთა გამოჰომოსოვეტიკუსების საქმე, რომ მათგან გაბრიყვებულმა მათმა თანამოძმემ ე. წ. სამხრეთ ოსეთში, აკვანში ჩააკლა თავისი დისშვილი მხოლოდ იმიტომ, რომ ის ქართველი იყო; შემდეგ კი დაღუპული ყრმის ბებია ცდილობდა, ეს გაუგონარი პირუტყვობა, ამ ყრმის მამი-

სათვის გადაებრალებინა და ამგვარად გაეახლებინა ბერძნულ-კორინთული ტრაგიკული დრამა, როდესაც მედეას შვილების ტაძარში, საკურთხეველზე დამხოცავმა კორინთელებმა, ცნობილ ბერძენი ტრაგიკოსი ევრიპიდე 2 (ორი) ტალანტი (52 კგ.) ოქროთი მოისყიდეს, რათა დაეწერა დრამა, რომელშიც მედეას საკუთარი შვილების მკვლელად გამოიყვანდა, ხოლო კორინთოს მოქალაქეებს მომავალში, თავიდან აცილებდა იმ უდიდეს ცოდვასა და სირცხვილში მონაწილეობის ბრალდებას, რის გამოც ისინი მთელი საბერძნეთის მიერ იქნენ უარყოფილ-განკიცხულნი. რუსული სახელმწიფო მანქანაც დღემდე იცავს ამ ბავშვის მკვლელ ოს არამზადას სამართლის აღსრულებისაგან... სწორედ რუსეთის სახელმწიფოს ასეთი ბოროტი აქტივობის გამო გაძლიერდა პოლიტიკური ექსტრემიზმი ქართულ „ოპოზიციაშიც“ და აღარ დარჩა ადგილი კომპრომისისათვის.

თქვენ, ეს ყველაფერი ძალიან კარგად იცით, მაგრამ მაინც ყველაფერს აკეთებთ, რომ საქართველოსთვის იმ უდიდესი ტრაგედიის დროს თქვენი უმოქმედობა და ფარისევლური პოლიტიკა გაამართლოთ, აქეთ მოდგეთ მასა და მის ერთგულ მოღვაწეებს სალანძღავად, ამით კი, თქვენი ქვეგამხედველური პოლიტიკა გაამართლოთ... და აქ, ვერაფერს გიშველით ჰაველისა და მის გარშემო შექმნილ გარემოებათა სკაბრეზულ ფონზე განხილვა და ზვიად გამსახურდიას, ყველაზე მეტად ავტორიტარული რეჟიმის ხელმძღვანელად გამოყვანა; მე თქვენ პირდაპირ გეტყვით, რომ ზვიად გამსახურდიამ იმ მცირე დროში, რაც ხელისუფლებაში იყო, ავტორიტარულ მმართველად კი არა, პრეზიდენტად თავის შეგრძნებაც ვერ მოასწრო, მის თავს დამტყდარი თუ მოხვეული ათასი უბედურების გამო.

დასავლელი „ყოვლისმცოდნეებისათვის“ კი, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ეს, მართლაც, კარგად არის ცნობილი, მთავარი მაინც თავის ყველანაირი მეთოდით გამართლება და ამ საყოველთაო დანაშაულისაგან „მოხერხებულად“ თავის განრიდება, ან საქმის ისე წარმოჩენაა, თითქოს ეს მათ თვალთაგან შორს, იზოლირებულ სამყაროში ხდებოდა. ამიტომაც, თქვენ იმასაც კი არ ერიდებით, რომ, საკუთარი მიზნის მისაღწევად, ზვიად გამსახურდია მის ისტორიულ ანტიპოდს, ლენინსაც კი შეადაროთ.

„გამსახურდიას დაჟინებული სწრაფვა მართებულისადმი – წერთ თქვენ – ლენინის პოლიტიკას წააგავდა, რომელიც ადრე თუ გვიან წინააღმდეგობის მოძრაობას წარმოქმნიდა ქვეყნის შიგნით... გამსახურდია გამუდმებით სასაცილოდ იგდებდა ე. წ. ოპოზიციას და უწოდებდა „უბადრუკს“, უმცირესობას,

რომელსაც არ ჰქონდა არანაირი პლატფორმა, „კრიმინალურს“ და „ანტიკონსტიტუციურს“, შევარდნაძესთან და მოსკოვში თავშეყრილ სხვა შეთქმულებთან შეკრულს... ომის პერიოდში – აგრძელებს ბატონი სტ. ჯონსი – გამსახურდიას შეეძლო ემტკიცებინა, რომ სახელმწიფოს გადარჩენისათვის ერთობა იყო უმნიშვნელოვანესი, ხოლო პლურალური სტრუქტურები და ინტერსთა ჯგუფები – მეორეხარისხოვანი. ლენინის გამონათქვამი, რომ წარმოება დემოკრატიაზე ადრე გაჩნდა, მეორდებოდა გამსახურდიას თვალსაზრისში (თუმცა არ არსებობს დამამტკიცებელი საბუთი, რომ მან ეს საჯაროდ განაცხადა)“ [გვ. 80-81]; ანუ სტივენ ჯონსის ეს მოსაზრება, ჩვეულებრივ ჭორზე აგებული ტყუილია! ამიტომ უფლება გვაქვს განვაცხადოთ, რომ ბატონი სტივენი უბრალო, საბჭოთა ჭორებზე აყოლილი დეზინფორმატორია, რადგან ასეთ ელემენტარულ ჭორებზე დაყრდნობით, შეუძლია ასეთი ძალიან შორსმიმავალი ტყუილი დასკვნის გაკეთება და გასაჯაროება; თორემ თანამედროვე ქართული ეროვნული მოძრაობის აღიარებული ლიდერი, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა საქართველოს ეროვნულ, დამოუკიდებელი სახელმწიფოს და მისი პირველი სახალხო პრეზიდენტი გახდა, როგორ უნდა შეადარო მსოფლიო „ინტენაციონალების“ დამაარსებელს, მის ერთ-ერთ ლიდერს და მსოფლიო ისტორიაში ყველა დროის ყველაზე უფრო ტოტალიტარული სახელმწიფოს შემქმნელს, რომელიც უცხოეთიდან თავის თანაპარტიელ სოციალ-დემოკრატებს ასეთი შინაარსის წერილებს უგზავნიდა: „ზარეჟიტე კავო ხატიტე ი პასილაიტე სუდა დენგი... დენგი სუდა! დენგი სუდა!“

ბატონო სტივენ! თქვენ ლენინისა და ლენინიზმის ცოდნაზე შეგიძლიათ პრეტენზია განაცხადოთ, მაგრამ ზვიად გამსახურდიას გზისა და შეხედულებების ცოდნაში სამუდამოდ დარჩებით თანამედროვე ქართული კოლაბორაციონიზმის მამამთავრისა და, აქედან გამომდინარე, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უბოროტესი მტრის, გოგა ხაინდრავას დონეზე, რომლისთვისაც ედუარდ შევარდნაძე დღესაც ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღმშენებლობის მესაძირკვლედაა მიჩნეული და რომელიც ამ საკითხებზე XX საუკუნის 70-80-იანი წლების კატეგორიებით ბოდვას განაგრძობს.

ჩვენ, ამის შემდეგ, აღარ შევუდგებით ავტორის მიერ წიგნში დაშვებული აზრობრივი და პოლიტიკური თვალთახედვის, ზემოთ განსაზღვრული მიზნის მისაღწევად გაწეული სიზიფეს შრომის განხილვას, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის ისეთ განმსაზღვრელ ფაქტორს, როგორიც ედუარდ შევარდნაძის და მასზე აკიდებული ე. წ. ოპოზიციის მიერ ჩატარებული ე. წ. „იმედის“ არჩევნების მისმიერი შეფასებაა.

მას რომ დიდად არ ანაღვლებს ჩვენი ქვეყნის ბედი და მომავალი, სხვა ზემოთ აღნიშნულთან, იქიდანაც ჩანს, რომ ამ მოვლენის შესახებ ავტორი გვატყობინებს: „სახელმწიფო საბჭოს საარჩევნო კანონი დემოკრატიული გახსნილობის ჟესტი იყო...“ [გვ. 121]

ბატონო სტივენ! ამ კანონის დემოკრატიულ გახსნილობაზე რა მოგახსენო, მაგრამ ჩვენი სამშობლოსადმი უდიდესი უპასუხისმგებლობის ჟესტი რომ იყო, ეს ფაქტია, რადგან ამ კანონის მეშვეობით საქართველოს პარლამენტში მოხვდა საქართველოში სამხედრო-კრიმინალური გადატრიალებაში მონაწილე ყველა პარტია თუ ელემენტარული ვიგინდარა, რომელმაც, რაღაც ფორმით მაინც, ხელი შეუწყო ედუარდ შევარდნაძის საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლას. ამ ჟესტით კი, უკანონოდ გახელისუფლებულმა შევარდნაძემ, მადლობა გადაუხადა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამამხობელ ძალებს. ხოლო მათმა „კანონშემოქმედებითმა საქმიანობამ“ თითქმის სრულიად გაანადგურა და დაღუპვის პირას მიიყვანა ქართული სახელმწიფო და მისი სრული სუვერენობის საკითხი, დღემდე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, ხოლო მისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რუსეთის მიერ ოკუპირებულ ანკლავად რჩება, და ეს, სწორედ, თქვენს მიერ „დემოკრატიული გახსნილობის „ჟესტად“ მოხსენიებული უპასუხისმგებლობის შედეგია. ამ არჩევნების შესახებ კი თქვენ აცხადებთ – „1992 წლის არჩევნები ღირსშესანიშნავი ნაბიჯი იყო მთავრობის ლეგიტიმაციის გზაზე“ [გვ. 125].

სტივენ ჯონსს შეიძლება დავეთანხმოთ, რომ ე. წ. საქართველო-აფხაზეთის „ომი სავსებით მოსალოდნელი და პროვოცირებული იყო ორივე მხარის ელიტის მიერ; ეს არ იყო ეთნიკური ომი, რომელიც ქვემოდან დაიწყო...“ მაგრამ იგი აშკარად ტყუის, როდესაც იქვე აცხადებს, რომ „გამსახურდიამ სცადა ომი გამოეყენებინა და ძალაუფლებაზე თავისი პრეტენზიები წამოეყენებინა. ამის შედეგი იყო სამოქალაქო ომი, რომელიც 1993 წლის ნოემბერში გამსახურდიას მარცხით დამთავრდა, მაგრამ მხოლოდ რუსეთის წყალობით, ამჯერად შევარდნაძის მხარდასაჭერად. რუსეთის მიერ „დათრგუნული“ საქართველო, როგორც ეს შევარდნაძემ თქვა, იძულებული გახდა 1993 წლის ოქტომბერში დსთ-ში შესულიყო და ხელი მოეწერა სამხედრო ხელშეკრულებისთვის“ [გვ. 135] [„ქართული ქრონიკა“, 1993. 09. გვ. 7-8].

ზვიად გამსახურდია საქართველოში ჩამოვიდა რუსეთ-საქართველოს აღნიშნული ომის დამამთავრებელ ეტაპზე, 1993 წლის 24 სექტემბერს და იმავე დღეს, ზუგდიდში გამართულ მრავალ ათეულ ათასიან მიტინგ-მანიფესტაციაზე, შევარდნაძის ხუნტა-

საც გაუწოდა შერიგების ხელი, ოღონდაც აფხაზეთი გადაერჩინათ; იგივე გაიმეორა 26 სექტემბრის ზუგდიდის 200 ათასიან აქციაზეც; მაგრამ ედუარდ შევარდნაძემ საკუთარ ხალხთან შერიგებასა და მასთან კომპრომისს, ყოველგვარი კანონიერების იგნორირებით მოწვეულ უცხო სამხედრო ძალასთან ერთად, კვლავ მისი დათრგუნვა და ეროვნულ ძალთა განადგურება ამჯობინა. (ბატონი სტივენ ჯონსი კი, რატომღაც სიტყვა „დათრგუნვას“ ბრჭყალებში სვამს, როგორ ეს შევარდნაძის ერთგულ მოკავშირეს შეეფერება – **უ. ო.**). შემდეგ კი გააკეთა ის, რისთვისაც იგი საქართველოში გადმოსტყორცნეს – სასტიკი მარცხით დაამთავრა რუსეთ-საქართველოს ორასწლოვანი ომის მორიგი ეტაპი და მართლაც, ყველანაირად დათრგუნული ქვეყანა დსთ-ში შედენა, რითაც თავისთვის უზრუნველყო ხელშეუვალი უფლებები მის მიერ იავარქმნილ ჩვენს სამშობლოზე. და ამიტომაც, „შევარდნაძის პრეზიდენტობის დროინდელი მთავრობა შუა საუკუნეების მეფის კარს ჰგავდა, სადაც ნომენკლატურული ვასალები ერთმანეთს რესურსებისა და ძალაუფლებისათვის ებრძოდნენ“ [გვ. 153]. სწორედ, თქვენგან ხელდებულმა ფავორიტმა და აბსოლუტურმა მონარქმა მიიყვანა საქართველო იქამდე, რომ მისი „ერთი მესამედი, ოფიციალური მონაცემებით, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს“ [იქვე]. გრძნობს კი, ბატონი სტივენი, ამაზე რაიმე პასუხისმგებლობას?! – არავითარს! იგი განაგრძობს ქართველი ხალხის დაცინვას და აცხადებს: „საქართველოს სახელმწიფოსათვის მისივე კანონების შესრულების უუნარობა დემოკრატიის უდიდესი დეფიციტი იყო... ხოლო „ასლან აბაშიძე აჭარაში, ორი ათეული წლის განმავლობაში ფეოდალური სახის ავტორიტარულ წარმონაქმნს ხელმძღვანელობდა“ [გვ. 154].

კი, მაგრამ, ბატონო სტივენ, თქვენი დახმარებით შექმნილ „შუა საუკუნეების სამეფო კარზე“, ედუარდ შევარდნაძის მიერ საშოვარზე მიშვებული, ნახირად ქცეულ სახელმწიფოში მისივე კანონების შესრულების უუნარობა გაკვირვებთ და დემოკრატიის დეფიციტად უთვლით ამას მთელ ხალხს?! და ეს მაშინ, როდესაც აღნიშნული მდგომარეობის შესაქმნელად თავად მოიმოქმედეთ ყველაფერი?! ასეთი შუა საუკუნეების დროინდელ მონარქიას კი, სწორედ ასლან აბაშიძის მიერ შექმნილი „ფეოდალური ხანის ავტორიტარული წარმონაქმნი“ შეეფერებოდა, რომელსაც, თუ ობიექტურები ვიქნებით, იგი არა ორი ათწლეულის, არამედ 13 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა, და კიდევ კარგი, რომ შეძლო შევარდნაძისათვის შესაბამისი წინააღმდეგობის გაწევა, თორემ ახლა აჭარაც, აფხაზეთზე უარეს დღეში იქნებოდა. ამის შემდეგ, ალბათ, თქვენც უნდა გენიშნოთ წიგნის 178-ე გვერდზე

თქვენს მიერ მოყვანილი ალექსანდრე სმორალის ციტატა: **„საბჭოთა საზოგადოება შედგებოდა დაქუცმაცებული და ამორალური ცინიკოსებისაგან, რომლებსაც კარგად ეხერხებოდათ ფუჭი სიტყვები (ლაქლაქი)...“** [გვ. 178].

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბატონი სტივენ ჯონსი ობიექტურად ახერხებს საქართველოს სახელმწიფოს შეფასებას მიხეილ სააკაშვილის დროს: „სახელმწიფომ დაამარცხა კრიმინალური ქსელები, განამტკიცა ბიუჯეტის გადახდის უნარიანობა და საზოგადოებრივი უსაფრთხოება“... [გვ. 251] და იქვე აჟღერებს მისი ხელისუფლებისათვის დამახასიათებელ რამდენიმე მართებულ დებულებასაც, მაგალითად: „დემოკრატიზაციის პროცესი ხალხის ხელშია, მაგრამ ამას პრეზიდენტი ასუსტებს“ [იქვე]. ან „ლიბერალური დემოკრატია ეფექტურ იძულებით, მოპოვებით სახელმწიფოზეა დამოკიდებული, მაგრამ სუსტი ოპოზიციის, უმოქმედო პარლამენტის და მორჩილი სასამართლოს საშუალებით სახელმწიფო თავისი მოქალაქეების ხარჯზე გაძლიერდა“ [გვ. 252]. აქვე დარწმუნებით ვერ გეტყვით, რამდენად მართებულია ავტორისეული თეზა, რომ „თავისი წინამორბედების – გამსახურდიასა და შევარდნაძის მსგავსად, სააკაშვილი სახელმწიფოს სახურავიდან აშენებს“ [იქვე]. ამასთან, იქვე იგი ისევ ექვემდებარება ჰომოსოვეტიკუსური იდეოლოგიით გაჟღენთილ აზრობ-რივ აბსურდთა გავლენას, როდესაც ამბობს: „ის (გამსახურდია – **უ. ო.**) ეროვნულ-განმათავისუფლებელ აქციებს იმ უმცირესობათა განტევების ვაცად ქცევისათვის იყენებდა, რომელსაც ასიმილაცია არ სურდა, ხოლო დაშინებას „ეროვნული ერთიანობის“ მისაღწევად მიმართავდა. შევარდნაძე, პირიქით, ეთნიკურ ჯგუფებს შერიგებისაკენ მოუწოდებდა და ხაზს უსვამდა კულტურულ განსხვავებულობას და ინკლუზიურ მოქალაქეობას“ [გვ. 305].

ჯერ ერთი, ზვიად გამსახურდია მთელი ეროვნული ძალების დარაზმვას ცდილობდა საქართველოს სახელმწიფოში ხელოვნურად გაღვივებული სეცესიური პროცესების შესაჩერებლად და ეროვნულ უმცირესობათა განტევების ვაცად გადაქცევა, აქ არაფერ შუაშია. ის, როგორც ყველა ნამდვილი მამულიშვილი, იბრძოდა ისედაც ხელოვნურად დანაწევრებული ქართული ეროვნული სახელმწიფოს ერთიანობის შესანარჩუნებლად, ხოლო ქართველი ხალხის უმრავლესობა ისეთ მაღალ ეროვნულ თვითშეგნებას ამჟღავნებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, სწორედ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, რომ მას, საჭირო მომენტში, შეეძლო თბილისის ქუჩები ათეულ ათასობით მანიფესტანტით გაევსო (ამის მოწმეა სრულიად საქართველო – **უ. ო.**) და წიგნში გა-

მოთქმული მსგავსი მოსაზრებანი, კიდევ ერთხელ, ქართველი ხალხის უკეთილშობილეს გრძნობათა შეურაცხყოფაა. რაც შეხება ედუარდ შევარდნაძის ეროვნულ უმცირესობებთან დამოკიდებულების საკითხს, იგი ყველაფერს აკეთებდა კონკრეტულ მომენტში მათ დასაშოშმინებლად და ხშირად ქართული სახელმწიფოსათვის დამაზიანებელ, მხდლურ გადაწყვეტილებებს იღებდა, ხოლო საკუთარი კერძო მიზნების მისაღწევად, ქართული რეგიონების ერთმანეთისადმი სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებასაც არ ერიდებოდა (ამისიც მოწმეა სრულიად საქართველო – **უ. ო.**)... დანარჩენის განსჯა, თავად ავტორისთვის მიგვინდვია.

აღნიშნული ნაშრომი სავსეა ამგვარი „შედევრებით“ და, როგორც წიგნის თანმიმდევრულმა ანალიზმა გვიჩვენა, უმთავრესად ეყრდნობა გოგა ხაინდრავასა და გია გაჩეჩილაძისთანა რესპონდენტების მოსაზრებებს, რომელთაც ჩილიმი და ნემსის წვერი საკუთარი სამშობლოსაგან ვერ გაურჩევიათ, - აგრეთვე ვალერი კვარაცხელიას, შალვა რამიშვილისა და მათ მსგავს არამზადათა ისეთ მიზანმიმართულ ანტიქართულ ბოდვებს, როგორიცაა – „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტიტულარული ელიტები ამ ტერიტორიებს „თავის საკუთრებად“ მიიჩნევდნენ და შიშობდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მათ პოლიტიკურ, ეკონომიკურსა და კულტურულ პრივილეგიებს, ისევე როგორც უსაფრთხოებას, წერტილს დაუსვამდა. 1990-1992 წლების შოვინისტური ქართული ხელისუფლების მოქმედებებმა მათი შიში გაამართლა“ [გვ. 327] – ამბობს ავტორი და მიუთითებს დასავლეთში გამოცემულ ნაშრომებს, რომელთა მიზანდასახულობაც, ალბათ, დიდად არ განსხვავდება წინამდებარისაგან, და ჩვენისთანა რეგიონებში მათი ქვეგამხედველური პოლიტიკის გამართლებასა და კეთილისმყოფელის იმიჯის შენარჩუნების ცდას ემსახურება. სინამდვილეში კი, ხსენებული რეგიონების „ტიტულარული ელიტა“, იგივე საბჭოთა ნომენკლატურული კასტა, მხოლოდ მოსკოვის დაკვეთათა შესრულებაზე იყო და არის ორიენტირებული და აფხაზეთისა თუ, ე. წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ნამდვილი, სამომავლო ინტერესები ფეხებზე ჰკიდია... ამავ დროს უნდა ვაღიაროთ, რომ ავტორს სამართლიანობის გრძნობა არ უნდა ღალატობდეს, როდესაც აღნიშნავს: „საბჭოთა კავშირმა გმირებისა და მტრების მთელი თეატრალური დასი უანდერძა თავის რესპუბლიკებს“... „ზვიად გამსახურდია, იმ ანტიკომუნისტურ გმირს მოერგო, ქართველები რომ ეძიებდნენ. ამავე დროს, ის საბჭოთა პროდუქტი იყო – შეუწყნარებელი და კონსპირაციული თეორიების მოყვარული. მისმა პოპულისტურმა

რიტორიკამ გააძლიერა ქართველთა შეშფოთება იმის თაობაზე, რომ ისინი კონტროლს კარგავდნენ საკუთარ ქვეყანაშივე... პოლიტიკას წარმართავდა ეიფორიისა და შიშის ნარევი, და მუშტიკრივი რესურსებისა და ძალაუფლების მოსაპოვებლად“... [გვ. 330]; ასე, რომ ქართველებსა და საქართველოს ახალ, გამოუცდელ ხელისუფლებას, თავისი ცოდვებიც ეყოფა, ბატონმა სტივენ ჯონსმა ხელოვნურად შექმნილი ასეთი მავნე ბრალდებები არ წამოგვიყენოს: „მილიტარისტული ნაციონალური ორგანიზაციები, მაგალითად, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, მერაბ კოსტავას საზოგადოება და წმიდა ილია მართლის საზოგადოება, რომლებიც 1990-1992 წლების პოლიტიკურ დისკურსში დომინირებდნენ, მარგინალებად იქცნენ“, – ამბობს ავტორი და შემდეგ სვამს კითხვას – „რატომ დაკარგეს მათ მიმზიდველობა ასე სწრაფად? – და თავად პასუხობს – „პირველ რიგში, იმიტომ, რომ გამსახურდიას მმართველობის არალიბერალური პოპულიზმი ქმედუუნარო იყო. მან სამოქალაქო ომი გააჩაღა, რეგიონები დააქუცმაცა და ქვეყნის იზოლაცია გამოიწვია ევროპისაგან...“ [გვ. 331]. ამგვარი განცხადებით კი, იგი ისევ ეშვება ჩილიმისა და ნემსისწვერის პოლიტიკის შემოქმედთა სამარცხვინო დონეზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გამსახურდიას მიერ სამოქალაქო ომის წამოწყებაზე ლაპარაკობს; და ეს მაშინ, როდესაც ამ ე. წ. სამოქალაქო ომის შემოქმედ-ინსპირატორებმა თავად აღიარეს, და დღეს აღარავის ეჭვიც აღარ ეპარება, თუ ვინ მიიყვანა ჩვენი სამშობლო ამ სამხედრო-კრიმინალურ გადატრიალებამდე. ხოლო რაც შეხება ედუარდ შევარდნაძის ნაციონალიზმს, იგი პირადი ძალაუფლების შენარჩუნების ინსტრუმენტის როლს არ გასცილებია და მისგან გამოგონილი სპეციალური ტერმინი „პროვინციული ფაშიზმიც“, ამის ერთგვარი გამოვლინება იყო.

„შეიძლება ძალადობა ნებისმიერ შემთხვევაში ყოფილიყო, მაგრამ მოსკოველი და თბილისელი გარეშე მოთამაშეების ჩართვამ საქმეში, ორივეგან, აფხაზეთში და ოსეთშიც ცეცხლი შეუნთო კონფლიქტს“ [გვ. 333] – სწერს ბატონი სტივენ ჯონსი – რაც ჩვენ, განსაკუთრებით მის პირველ ნაწილში, ძალიან უმართებულო, მცდარ თეზად მიგვაჩნია, რადგან კარგად ვიცით და, ვფიქრობთ, ავტორმაც კარგად უნდა იცოდეს, რომ არავითარი ძალადობა არ იქნებოდა, თუ არა „მოსკოველი და თბილისელი გარეშე მოთამაშეების ჩართვა საქმეში“, – და დღეს ყველამ კარგად უწყის, თუ ვინ იყო, არის და კვლავ რჩება ძალადობის ძირითად წყაროდ არამარტო კავკასიაში, არამედ მთელს მსოფლიოშიც. და თუ ეს, აქამდე ავტორმა არ იცის, მან თავი უნდა აარიდოს ამგვარ თემებზე მსჯელობას. ასევე ამავე რიგისაა და, რა თქმა

უნდა, უმართებულო, რომ „ომის დროსაც კი, 1992-1993 წლებშიც, ცოტა ქართველს თუ სურდა სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება კამპანიისათვის, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, თბილისში, შორეულ ომად მოჩანდა [გვ. 334] (აფხაზეთის ე. წ. ომზეა საუბარი – **უ. ო.**); რადგან „აფხაზებთან“ პირველი დაპირისპირების დროს, როდესაც საერთო სახალხო მოძრაობას სათავეში ედგა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი რეალური ძალა ზვიად გამსახურდიათი სათავეში, ყველამ კარგად იცის, რომ თითქმის მთელი საქართველო დაიძრა აფხაზეთისაკენ და კონფლიქტიც სულ მალე შერიგებითა და კონსესუსით დასრულდა; მაგრამ ედუარდ შევარდნაძისა და მისი დანაშაულებრივი გარემოცვის მიერ წამოწყებული მოღალატური კონფლიქტი, ყოველგვარ მორალურ-ზნეობრივ საყრდენს აცლიდა „აფხაზების განადგურებისათვის“ წამოწყებულ გენერალ ყარყარაშვილისეულ ანტიქართული შინაარსის იდეოლოგიას და თავიდან ბოლომდე ემსახურებოდა ქართველი ხალხის ყველა მტრისა და რუსეთის ინტერესებს, – ასეთ ომში კი, ქართველ ხალხს, გარდა აფხაზეთის ძარცვა-რბევაზე დაგეშილი რამდენიმე ათასი კრიმინალისა და მათზე აყოლილი დანაშაულებრივად მოაზროვნე „კაი ბიჭებისა“, არავითარი მოტივაცია არ ჰქონდა. თუმცა, სამწუხაროდ, შევარდნაძის კრიმინალურმა ხუნტამ, რომელიც არც თუ თქვენი აქტიურობის გარეშე, საქართველოს ხელისუფლებად აქციეთ, მოახერხა ამ წმიდა წყლის ავანტიურაში პატიოსანი, ნამდვილი ქართველი პატრიოტების ჩათრევაც და ამასთან, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის წარმოებული რუსეთ-საქართველოს ეს მორიგი ომი, საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტად მოენათლა. შემდეგ კი, როდესაც მის მიერ წამოწყებული ეს ავანტიურა, როგორც თავიდან ჰქონდა განსაზღვრული, პირწმინდად წააგო, შევარდნაძეს მხოლოდ მაშინ გაახსენდა, რომ აფხაზეთში თურმე რუსეთი გვებრძოდა და მაინც, იქ სამშვიდობო მისია, ისევ რუსებს ჩააბარა. საკუთარი ხელისუფლების შენარჩუნებისა და მტრის მიზნების განხორციელებისათვის ჩადენილი ასეთი ღალატი, არ ახსოვს მსოფლიო ისტორიას. ამიტომაც, სრულიად მცდარია ბატონ სტივენ ჯონსის მიერ აქ მოტანილი საბოლოო დასკვნაც, რომ „რაც უფრო ახლოს ეცნობი საქართველოს მოსახლეობის „ეთნიკურ“ ნიშან-თვისებებს, მით უფრო ჭირს მათი დახმარებით კონფლიქტების სათავეების ახსნა თუ კონფლიქტის მოგვარება“ [გვ. 336], – რადგან მათი, როგორც წარმოშობის, ისე მოგვარების სათავე ბოროტების იმპერიის ქვეგამხედველურ, აშკარად მტრულ პოლიტიკაშია და არა საქართველოს მოსახლეობის „ეთნიკურ თვისებებში, როგორც ეს ავტორს ჰგონია. იმ რუსე-

თისა, რომელსაც ედუარდ შევარდნაძის მიერ გატარებული ამ მოღალატური პოლიტიკის შედეგად, „მშვიდობისმყოფელები“ შეცდომით ეწოდა [გვ. 337]; ხოლო დასავლეთმა ეს „კონფლიქტი (რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი – **უ. ო.**) უზრუნველყვეს იმით, რომ დსთ (ე. ი. რუსეთი) ადგილობრივ „მშვიდობის დამცველებად“ აღიარეს“ [იქვე] და როგორც „საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, ... „მისი შეტევა ცხინვალზე 2008 წლის 7 აგვისტოს პროვოცირებული იყო, სწორედ ამ „მშვიდობისდამცველების“, რუსეთის შემოჭრით საქართველოში. ეს კი იმ დღეს, გამთენიისას მოხდა. ამ განცხადების მტკიცებულებები არსებობს“ [გვ. 338] – თავად აცხადებს ავტორი. მაშინ რაში დასჭირდა დასავლეთს ე. წ. ტალიავინის კომისია იმის გასარკვევად, რომ თუ ვინ დაიწყო ომი ცხინვალის რეგიონში?! როდესაც დასავლური ტექნოლოგიების პირობებში კოსმოსიდან დედამიწაზე ხეებზე ფოთლების დათვლაც კი შეუძლიათ... ვინ ვერ შენიშნა საქართველოში 2008 წლის 7 აგვისტოს შემოჭრილი რუსული უზარმაზარი არმადა?! და, ბოლოს და ბოლოს, რაში დასჭირდათ ეს ფარისევლური ტალიავინური ძალისხმევა?! – ეს, დასავლეთს დასჭირდა სწორედ საკუთარი დანაშაულებრივი წაყრუების პოლიტიკის გასამართლებლად, რათა რაღაცაში მაინც გაემტყუნებინათ უდანაშაულო მსხვერპლი, რომელმაც გაბედა და ელემენტარული არსებობისათვის გაიბრძოლა. შემდეგ კი ამ თვითგადარჩენის ინსტიქტის გამომჟღავნებისათვის, ირიბად, მაგრამ ისიც, რაღაც ფორმით, უნდა დაესაჯათ...

ხედავს რა ამგვარ დამოკიდებულებას, ამიტომაცაა, რომ „რუსეთი არ ასრულებს 2008 წლის 12 აგვისტოს 6-პუნქტიან ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით მან უნდა დააბრუნოს საჯარისო შენაერთები ომამდე არსებულ საზღვრებთან. ეუთოს კი უფლება აღარ აქვს განაახლოს თავისი ოპერაციები სამხრეთ ოსეთში და იძულებით გადაადგილებული პირებიც ვერ ბრუნდებიან შინ... ამასთან, ავტორისავე აღიარებით, – „დუმილი ჩეჩნეთზე და მაპის მიღებაზე საქართველოსათვის 2008 წლის აპრილში უარის თქმა, იმ მოვლენათა ჯაჭვია“, რომლითაც, ფაქტობრივად, თქვენ წააქეზეთ რუსეთი აღნიშნულ აგრესიაზე და სრულიად ყალბია თქვენი თავის მართლების, კიდევ ერთი უსინდისო მცდელობა, თითქოს „დასავლეთის მთავრობებს გულუბრყვილოდ სწამდათ, რომ რუსეთი საქართველოში არ შეიჭრებოდა“ [გვ. 345]. კი მაგრამ, როდის გახდა დასავლეთი ასეთი გულუბრყვილო“ ბოროტების იმპერიის“ ბოროტი ზრახვების ამოცნობისა და მასზე ნდობის საქმეში?! თუ საქართველო თქვენთვის, დღესაც არის „მალჩიკ დლია ბიტია“, რომელიც, თავის გადასარჩენად,

ყოველთვის შეიძლება მიუგდოთ რუსეთს და ამით მისი ბოროტი ვნებები რამენაირად დააშოშმინოთ?! ამიტომაც თქვენი მრავალი ისტორიული ექსკურსი საქართველოს თემაზე და მისი „პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“ ისევე ყალბი და მავნეა საქართველოს პრობლემების სამომავლო, მართებული გაგებისთვის, როგორც ზემოთ განხილული არაერთი პასაჟი და, ჩვენი აზრით, უკეთესი იქნებოდა თავი საერთოდ არ შეგეწუხებინათ, ამგვარი სიყალბის ასე ფართოდ ტირაჟირებისაგან. ამიტომაც, მგონია, რომ აქ შეჩერება ღირს!... მაგრამ დავამატებ მხოლოდ ერთს, რომ ნურც ედუარდ შევარდნაძის ხიბლით იქნებით ასე განმსჭვალული; რადგან საქართველოზე უკეთ მას არავინ იცნობს. – ის იყო, მართლაც, ნიჭიერი პიროვნება, მაგრამ, ოღონდაც ხელისუფლებაში დარჩენილიყო, არავის დაინდობდა და ყველაფერს მოაწერდა ხელს... მისთვის საქართველო იყო საკუთარ მიზანთა მიღწევის საშუალება. ამიტომაც რუსთა საამებლად, იგი განუსჯელად დაუპირისპირა კავკასიას, განსაკუთრებით კი თავისუფლებისათვის თავგანწირვით მებრძოლ ჩეჩნეთს. მოღვაწეობის ბოლო წლები მან, ფაქტობრივად, ამ საქმეს მოახმარა. რის გამოც დაგვჭირდა თბილისში 1998 წლის ოქტომბერში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „კავკასიის ხალხთა გენოციდი“ მოწვევა, რომელზედაც პირადად წავიკითხე სპეციალური მოხსენება – „ბოროტების იმპერიის მემკვიდრე და მისი მარიონეტები კავკასიაში“, რომელშიც ვამხილეთ ედუარდ შევარდნაძის გამცემლური პოლიტიკა და ხმამაღლა განვაცხადეთ, რომ ამ პოლიტიკასთან არავითარი საერთო არა აქვს საქართველოსა და ქართველ ხალხს!... ის იყო ყველას მოძულე, ვინც მასთან არ იყო!!!

წიგნის დასკვნით ნაწილში ბატონი სტივენი ამბობს: „2008 წელს სამხრეთ ოსების „გენოციდისაგან“ ხსნამ საქართველოს მთლიანობის დაშლა გამოიწვია, რაც სავარაუდოდ, მომავალი ათწლეულების განმავლობაში აღარც აღდგება“ [გვ. 377]

მისგან, როგორც ჩვენდამი დასავლური მსოფლმხედველობის მენტორისაგან, მსგავსი აზრების გაჟღერება, ხომ არ ნიშნავს, ამჟამადაც, დასავლელ პოლიტიკოსთა საქართველოსადმი უახლოესი მომავლის მიმართულების გამჟღავნებას, – რომ საქართველო, კიდევ ერთხელ იქნება მიგდებული რუსეთისათვის მისი ველური ვნებების დასაკმაყოფილებლად, და სულ ტყუილია დასავლეთის მოიმედეობა, – რომ იგი ამჯერადაც, ჩვენი მეშვეობით თავს გადაირჩენს და ამჯერადაც, რუსეთი და ე. წ. დასავლეთიც ამ საქმეშიც, როგორც არაერთხელ უქნიათ, ჩვენს ხარჯზე შეთანხმებითა და ურთიერთ თანამშრომლობით დაამთავრებენ

ყველაფერს. გამოცდილება გვკარნახობს, რომ ეს შეიძლება მოხდეს, იმიტომ რომ დასავლეთის უმთავრესი პრინციპი დღესაც, საკუთარი პრინციპების სისტემატური უარყოფაა!

და თუ საბოლოოდ დავრწმუნდებით, რომ თქვენ არაფრად გენაღვლებათ ერების თავისუფლება, მასზე რეალური ზრუნვა და ახლაც საკუთარ საქმეებს იგვარებთ პატარა ერების ხარჯზე, მაშინ მოხდება თქვენი გლობალური უარყოფა და რუსეთის თავისებური, დემოკრატიული გამოცოცხლება. არ არის გამორიცხული, გაცრუებულ იმედებზე შურის საძიებლად, ახალი სტალინის მონუმენტური სახის გამოკვეთაც!

გამოყენებული ლიტერატურა:

ჯონსი, 2012: სტივენ ჯონსი, საქართველო – პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2012

ნინო ოქროსცვარიძე

ჰაიდელბერგული ჩანაწერები
ილია ხიმშიაშვილი —
გზა თურქეთიდან გერმანიამდე



ნინო ოქროსცვარიძე

ჰაიდელბერგული ჩანაწერები

ილია ჭიმშიაშვილი –
გზა თურქეთიდან გერმანიამდე

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი 2024

ეძღვნება ილია ხიმშიაშვილისა და იმ ქართველთა ნათელ ხსოვნას, რომლებმაც საქართველოს სამუდამო ჭირისუფლობა იტვირთეს, უანგაროდ ცდილობდნენ უცხოეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციას და რომელთაც უკანასკნელი ძვალთშესალაგი უცხოეთის ცივ მიწაზე ჰპოვეს.

რედაქტორი – პროფესორი, პაატა ბუხრაშვილი
კორექტორი – ნელი ელიზბარაშვილი

© ნინო ოქროსცვარიძე
გამომცემლობა „მერიდიანი“, 2024

დაიბეჭდა:
გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ვ. ბაგრატიონის №47.
☎ 599 54 17 07
E-mail: meridiani777@gmail.com

ISBN 978-9941-34-465-7

წინასიტყვაობა

„მოგონება სხვა არაფერია თუ არა, წამიერად ქარში მოშრიალე და შემდეგ მიმქრალ, მინავლებული შემოდგომის ფოთოლი“

ჯიბრან ჰალილი

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს კიდევ ერთ მცდელობას, ქართველ მკითხველს გააცნოს ევროპაში, კერძოდ, გერმანიაში მოღვაწე თურქეთელი ქართველი ილია ხიმშიაშვილი (აბდურაჰმან ჩეთინქაია), რომელმაც თავისი შეგნებული ცხოვრება ქართული საქმის კეთებას შეალია.

2019 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „დაადისა“ და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სტიპენდიის ფარგლებში დავიწყე ევროპაში მცხოვრები გამოჩენილი თურქეთელი ქართველების კვლევა. ეს გახლდათ შვედეთში მოღვაწე შალვა თევზაძე (შანვერ აქინი) და გერმანიაში მცხოვრები ილია ხიმშიაშვილი (აბდურაჰმან ჩეთინქაია), მათი გადაკვეთის წერტილი თურქეთსა და ევროპაში ქართველებში მიძინებული ეთნიკური თვითშეგნების გამოღვიძება იყო, ზოგჯერ ერთად, ზოგჯერ ცალ-ცალკე საკუთარი ძალებით ცდილობდნენ თავიანთი წვლილი შეეტანათ საქართველოს განვითარებაში.

2020 წელს ამერიკაში „IGI Global Publisher“-ის მიერ გამოიცა წიგნი, სახელწოდებით `Anthropological Approaches to Understanding Consumption Patterns and Consumer Behavior~, რომელშიც 2012, 2019 წლებში გერმანიაში ჩემ მიერ ჩატარებული კვლევაც ცალკე თავად შევიდა სახელწოდებით „Consumption“

of Past to Define Ethnic Identity in Real Time and Space (The Case of Turkish Georgians in Turkey and Germany).

2021 წელს კი გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ გამოიცა ჩემი ნაშრომი შვედეთში, კერძოდ, სტოკჰოლმში მოღვაწე თურქეთელ ქართველ – შალვა თევზაძეზე (შანვერ აქინი), სახელწოდებით „ორგზის მუჰაჯირი საბა ართვინელი (შალვა თევზაძე)“.

ეს ნაშრომი კი მიეძღვნება ილია ხიმშიაშვილს, რომელმაც საკმაოდ საინტერესო და ამავდროულად რთული გზა განვლო თურქეთიდან გერმანიამდე. მჭიდრო კავშირი ჰქონდა საბჭოთა საქართველოსთან, **„უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების“** მეშვეობით და პოსტ საბჭოთა საქართველოსთან. წიგნი ეფუძნება 2007 წელს ილია ხიმშიაშვილთან ეპპელჰაიმში პროფესორ პაატა ბუხრაშვილის მიერ ჩაწერილ ინტერვიუსა[1] და 2019 წელს ილიას ქალიშვილის, ნინო (სევიმ) ხიმშიაშვილის ეპპელჰაიმში პირადი მიწვევით, მამის პირად არქივში ჩემ მიერ დამუშავებულ დოკუმენტურ, ფოტო და აუდიო მასალებს. ნაშრომში მოცემული ფოტო და დოკუმენტური მასალის დიდი ნაწილი პირველად ქვეყნდება. ვფიქრობ, ნაშრომი საინტერესო იქნება არა მხოლოდ ქართული დიასპორის კვლევით დაინტერესებულთათვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვისაც. ეს გახლავთ კიდევ ერთი თურქეთელი ქართველის ისტორია, რომელიც სამი ქვეყნის გზაჯვარედინზე – თურქეთი-საქართველო-გერმანია, ისტორიული პერიპეტიების ფონზე ახერხებდა ვალი მოეხადა საქართველოს წინაშე. ნაშრომს თან ახლავს 2019 წელს დამუშავებული საარქივო მასალების ფოტო და დოკუმენტური მასალა, ასევე

1 კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოამბე ,,ამირანი"-ს მე-19-ე ნომერი. იხ. http://caucasology.com/view_amirani.php?id=373

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ პაატა ბუხრაშვილის რეცენზია, ნინო ხიმშიაშვილისა და ცნობილი პუბლიცისტისა და მთარგმნელის მუსტაფა იაქუთის (გურამ ხიმშიაშვილი) მიერ გამოგზავნილი წერილები.

პირველად ილია ხიმშიაშვილის შესახებ შევიტყვე 2010 წელს თურქეთში მორიგი სამეცნიერო-კვლევითი მივლინების დროს. 2011 წელს კი პირადად გავიცანი სტამბოლში, ხოლო 2012 წელს გერმანიაში სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობის პერიოდში შევხვდი. სამწუხაროდ, 2017 წელს გერმანიაში მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა და მასთან კვლავ შეხვედრისა და საუბრის შესაძლებლობა აღარ მომეცა.

მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო ილიას ქალიშვილს ნინო (სევიმ) ხიმშიაშვილს, რომელმაც მიმიწვია ეპპელჰაიმში, გერმანიაში ყოფნის პერიოდში და მომცა შესაძლებლობა დამემუშავებინა მამამისის არქივი.

„ვა სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?
ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!“

შოთა რუსთაველი

2019 წლის 3 ოქტომბრის სუსხიან დღეს ნინო (სევიმ) ხიმშიაშვილის პირადი მიწვევით იენიდან ჰაიდელბერგში გავემგზავრე. მგზავრობა თითქმის 5 საათს გაგრძელდა. თავში უამრავი კითხვა მიტრიალებდა, რომელიც საგულდაგულოდ ფურცელზე გადმომქონდა და ამავდროულად სინანულის განცდაც მეუფლებოდა, რომ ილიას არქივის დამუშავება მისი გარდაცვალების შემდეგ მიწევდა. ჰაიდელბერგის მთავარ სადგურზე ნინო ხიმშიაშვილი დამხვდა მისთვის ჩვეული ღიმილითა და ემოციით. ჰაიდელბერგიდან გეზი ლაიმენისკენ ავიღეთ, სადაც ნინო ცხოვრობდა. სახლში შესვლისთანავე თვალი მომჭრა ქართულმა

კუთხემ, წიგნების თარომ, რომელზედაც ჩამოკიდებული იყო საქართველოს დროშა. მაინც რა უცნაურია ქართული გენი, სადაც არ უნდა წავიდეს ქართველი და როგორც არ უნდა იყოს, „სისხლის ყივილი“ მაინც არ ასვენებს. ქართველი ყველგან ცდილობს საკუთარი საცხოვრისი წარსულთან, წინაპრებთან ასოცირებული გახადოს. ნინოს მომზადებული ჰქონდა ქართული კერძები და რაღა თქმა უნდა საღამო „რქაწითელით“ დავასრულეთ.

მეორე დილით ჰაიდელბერგის დასათვალიერებლად გავეშურეთ. ბადენ-ვიურტემბერგის ეს ულამაზესი ქალაქი საოცრად ჰგავს თბილისს. პფალცის გრაფების უძველესი ციხესიმაგრე, რომელსაც ხშირად უწოდებენ „გერმანიის ყველაზე ცნობილ რომანტიკულ ნანგრევებს“, ჰარმონიულად ერწყმის მდინარე ნეკარს. ეს გახლავთ ქალაქი, სადაც სიძველე უფრო სჭარბობს ვიდრე თანამედროვეობა. ნათქვამია, სადაც წარსული მეფობს, იქ რეალობა დამონებულიაო. ზუსტად ეს სიტყვები შეეფერება ამ ულამაზეს ქალაქს. ტყუილად არ უწოდეს მას მეცნიერთა და ფილოსოფოსთა ქალაქი. ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში მისი კურსდამთავრებულები იყვნენ ცნობილი მეცნიერები და მოაზროვნეები, ფილოსოფოსები, ნობელის პრემიის ლაურეატები, რომლებიც ქმნიდნენ კაცობრიობის „ოქროს ფონდს“. ბევრი ჩვენი ახალგაზრდა თანამემამულის კვალია შემორჩენილი ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში. მის ძველ კედლებს ჯერ კიდევ ახსოვთ სწავლას მოწყურებული ქართველი ახალგაზრდების გვარ-სახელები.

ვისაც უცხოეთში უსწავლია, უკვლევია, მას კარგად მოეხსენება რა არის ნოსტალგია, სტიპენდიიდან სტიპენდიამდე ცხოვრება, ბრძოლა საკუთარ თავთან, შესაძლებლობების მაქსიმუმის გამომჟღავნება, რათა არ დაიჩაგრო, არ დაიკარგო ინტელექტუალურ ლაბირინთებში. დიდი კონსტანტინეს სიტყვების არ იყოს **„შენ ჰეი, მსოფლიოს უმცირეს მდინარის პირად შობილო**

ბიჭო, არ გაჯობონ დიდი მდინარეების პირად დაბადებულთა“. მოკლედ რომ ვთქვათ, სტუდენტობა – ესაა ენთუზიაზმსა და მომავლის იმედზე აგებული ცხოვრება. ცხოვრება, როცა ყველაფერს უძლებ, იტან იმ დიადი მიზნის მისაღწევად, რომლის გამო იბრძოლე, აიყარე გუდა-ნაბადი და საკუთარი თავის უკეთ ქცევის იმედითა და საკუთარი ქვეყნის წინაშე ვალის მოხდის სურვილით, მიაშურე უცხოეთს. ახალგაზრდობისას გგონია, რომ სწავლისთვის გაღებული მსხვერპლი, სამშობლოს უკეთესი მომავლის გარანტი იქნება... თუმცა „ახალგაზრდობაც თურმე სიკვდილის მოლოდინი და თმენა ყოფილა“...უცნობია, სწავლას მოწყურებული რამდენი ქართველი ახალგაზრდის ძვალთშესალაგი გაითხარა უცხოეთის მიწაზე, რამდენმა ვერ აიხდინა სანუკვარი ოცნება, ავადმყოფობას, სიცივეს, შიმშილსა და მარტოობას გააყოლეს უკანასკნელი ამოსუნთქვა. ზოგი დაბრუნდა სამშობლოში უკეთესი მომავლის შენების იმედით, მაგრამ სისტემამ შთანთქა სამუდამოდ...

„ჩემი ცხოვრება ისე გაფრინდა,
თითქოს ნიავის ფრენა ყოფილა“.

იუნუს ემრე

საღამო ხანი იყო, როცა ჰაიდელბერგში სეირნობის შემდეგ, ლაიმენში, ნინო ხიმშიაშვილის სახლში დავბრუნდით. დაღლილმა მასპინძელმა, სანამ მე ფოტო ალბომს ვათვალიერებდი და ძველ ფირფიტაზე ჩაწერილ დები იშხნელების სიმღერებს ვუსმენდი, ქართული წესით გააწყო სუფრა და მამამისის საყვარელი ღვინო „ხვანჭკარა“ შემოიტანა. ვისხედით და ვსაუბრობდით საქართველოზე, ნინოს ბავშვობის მოგონებებზე, რომელიც საქართველოს უკავშირდებოდა. მამის გავლენა იმდენად დიდი იყო ნინოზე, რომ ეს უკანასკნელი მთლიანად ჩართული იყო მის საქმიანობაში. უკვე გვიანი იყო, ღამემშვიდობისა ვუსურვეთ ერთმანეთს და ოთახებში შევიკეტეთ. შთაბეჭდილე-

ბებით იმდენად ვიყავი დაღლილი, უფრო სწორად, დახუნძლული, რომ ვერაფრით დავიძინე. გამოვედი მისაღები ოთახის აივანზე და წვიმიან ლაიმენს შევავლე თვალი. დაცარიელებულ ქუჩებში კაციშვილის ჭაჭანება არ ისმოდა. სუსხიან ქალაქში ყველა ღრმა ძილს მისცემოდა. სადღაც შორს მატარებლის ლიანდაგების ხმა თუ ისმოდა, მერე სწრაფადვე ისევ სიჩუმე ისადგურებდა, თითქოს არ სურდა ღამეს მის სამეუფოში რაიმეს ან ვინმეს სიჩუმე დაერღვია. ცოტა არ იყოს შემცივდა და ისევ ოთახში დაბრუნება გადავწყვიტე, არ მინდოდა მეხმაურა და ჩუმი ნაბიჯებით შევედი მისაღებში.... ამ დროს, როგორც შემდეგ გავარკვიე, ერთიმეორეზე დაწყობილი ყუთებისთვის გამიკრავს ხელი და ერთმანეთის მიყოლებით გადმოიყარა. მასში მოთავსებული ფურცლების დასტა, გაყვითლებულ ფოლიანტებად ქცეული ისტორია დოკუმენტებისა და ფოტოების სახით, უეცრად რეალობაში შემოიჭრა და ჩემს ფეხქვეშ გაიფანტა. ადამიანთა მთელი ცხოვრება ქცეულიყო მუყაოს ყუთებში ჩალაგებულ მოგონებებად გარდასრულ ბედნიერ თუ ცრემლიან დღეთა. ისევე, როგორც ჩვენი ცხოვრება იქცევა მომავალში. ეს ხომ ამქვეყნიური ცხოვრების გარდუვალი რუტინაა – „ყველა მდინარე ზღვებისაკენ მიედინება, ზღვა კი მაინც არ აღივსება; კვლავ ბრუნდებიან იმავ ადგილზე, საიდანაც იწყეს დინება“ (ეკლესიასტე). არ მინდოდა ჩემს ხმაურზე დაღლილი მასპინძელი გამეღვიძებინა, ავანთე დეკორატიული სანათი და დავიწყე ფურცლების აკრეფა. ილია ხიმშიაშვილის პირადი არქივი უამრავ დოკუმენტურ მასალას მოიცავდა, მუყაოს ყუთებში ზედმიწევნით საგულდაგულოდ ჩალაგებული დოკუმენტები უკვე მივიწყებულ წარსულად ქცეულიყო. სუსტი განათების შუქზე ჩემი ყურადღება ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის ბლანკზე დაწერილმა ქართულმა გვარ-სახელებმა მიიპყრო.....სწორედ აქედან იწყება ჩვენი მოგზაურობაც გაყვითლებული ფოლიანტების სამყაროში....

არჩილ მექანარი (მექანარიშვილი), ნიკოლოზ ასათიანი, ზურაბ ელიავა, გიორგი ნაკაშიძე, ლევან ნაკაშიძე, ბიძინა რამიშვილი, დავით ვაშაძე, მიხეილ კედია და ვალენტინა კედია. ეს გახლდათ, ილიას მიერ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტიდან გამოთხოვილი XX საუკუნეში საქართველოდან სასწავლებლად წასული სტუდენტების შესახებ დოკუმენტაცია.

არჩილ იოსების ძე მექანარი, ალბათ მათ შორის ყველაზე ტრაგიკული ფიგურაა. როგორც ირკვევა, ის 1899 წლის 11 მარტს დაიბადა მასწავლებლის ოჯახში. 1907 წელს შესულა თბილისის ვაჟთა გიმნაზიაში, რომელიც 1917 წელს წარჩინებით დაუსრულებია. მას მიეცა უფლება სწავლა უნივერსიტეტში გაეგრძელებინა. 1920 წელს არჩილი აგრძელებს განათლების მიღებას გერმანიაში, იენისა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში. სიდუხჭირის მიუხედავად წარჩინებით სწავლობდა, შესაძლოა, ცნობილი მეცნიერიც გამოსულიყო....თუმცა მისი სიცოცხლე 1922 წელს შეწყდა. იმ პერიოდის გერმანული პრესა იუწყებოდა „სტუდენტის თვითმკვლელობის“ შესახებ. სასტუმროში უნახავთ ახალგაზრდა მამაკაცის უსიცოცხლო სხეული, რომელსაც მიყენებული ჰქონია სასიკვდილო ჭრილობა. ახალგაზრდა აღმოჩნდა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის სტუდენტი არჩილ მექანარი. მას წერილი დაუტოვებია მეგობრისათვის. თავის არეში მიყენებული დაზიანება იმდენად მძიმე ყოფილა, რომ საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაცვლილა. სამწუხაროდ, მისი საფლავი ჩვენთვის უცნობია. ნაკლებ სავარაუდოა ის საქართველოში ჩამოესვენებინათ.

არანაკლებ ტრაგიკული აღმოჩნდა ზურაბ ნიკოლოზის ძე ელიავასა და ლევან ერმილეს ძე ნაკაშიძის ცხოვრება. საბუთების მიხედვით ზურაბ ელიავა 1900 წლის 6 ნოემბერს თბილისში დაბადებულა. გახლდათ მენშევიკური პარტიის წევრი. სწავლობდა თბილისის ერთ-ერთ საუკეთესო ლევანდოვსკის კერძო გიმნაზიაში. როდესაც მამამისი დააპატიმრეს, ზურაბს გიმნა-

ზიაში სწავლის გაგრძელების საშუალება აღარ ჰქონია. თუმცა ნიჭისა და მონდომების წყალობით სასწავლებლის მესვეურებს უფლება მიუციათ უფასოდ დაესრულებინა სწავლა. მისი შრომისმოყვარეობა და ნიჭიერება გერმანიაში ყოფნის დროსაც გამოვლინდა, მან რამოდენიმე თვე გაატარა მიყრუებულ სოფელში და ისე ისწავლა გერმანული ენა, რომ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში შევიდა და წარჩინების დიპლომიც მიიღო. სწავლის დასრულების შემდეგ გულანთებული ქართველი იმ იმედით ბრუნდება საქართველოში, რომ თავისი ქვეყნის განვითარებაში შეიტანდა წვლილს, ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარდა მეცნიერებას, მაგრამ ბედის უკუღმართობის წყალობით, მისი ცხოვრების ჩარხი უკუღმა დატრიალდა. 1933 წელს დაიჭირეს, თუმცა დახვრეტას რაღაც სასწაულით გადაურჩა, მაგრამ მხოლოდ დროებით.... მას თბილისში ცხოვრების უფლება არ მისცეს და გააგზავნეს სოხუმში, იყო აფხაზეთის სოფლის მეურნეობის სექტორის უფროსი. დადგა ავადსახსენებელი 1937 წელი, როდესაც ზურაბი ხელახლა დააპატიმრეს, ამჯერად ბრალად ედებოდა, რომ 1927 წლიდან იყო მავნებლური ორგანიზაციის წევრი, დაკავშირებული იყო მემარჯვენეთა ცენტრის წევრ შალვა მათიკაშვილთან და მისი დავალებით დამანგრეველ საქმიანობას ეწეოდა საქართველოს სოფლის მეურნეობაში. როგორც ხშირ შემთხვევაში ხდებოდა, ზურაბმაც თავი ცნო დამნაშავედ. შინსახკომის სამეულის გადაწვეტილებით მიესაჯა უმაღლესი ზომა, დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია. ზურაბ ელიავას ბედი გაიზიარა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის კიდევ ერთმა კურსდამთავრებულმა, შემდგომში სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა, 1901 წელს დაბადებულმა ლევან ნაკაშიძემ. ისიც 1937 წელს დააპატიმრეს და შინსახკომის გადაწვეტილებით ისიც დახვრიტეს. 1937 წელს რეპრესიებს შეეწირა ბიძინა ირაკლის ძე რამიშვილიც. ბრალად წაუყენეს კონტრრევოლუციური საქმიანობა. პატიმრობაში ყოფნისას გარდაიცვალა და შესაბამისად საქმეც შეწყდა.

ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა შორის განსაკუთრებულად ტრაგიკული ხვედრი ხვდა წილად „ქართველ შინდლერად“ წოდებულ მიხეილ კედიას. მიხეილი 1902 წელს დაბადებულა ზუგდიდში. მამა — მელქისედეკ (მექი) კედია დამოუკიდებელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს „საგანგებო რაზმის“ მეთაური გახლდათ. თბილისის I გიმნაზიის დასრულების შემდეგ მიხეილი საქართველოს მთავრობამ სხვა ახალგაზრდებთან ერთად სასწავლებლად საზღვარგარეთ გაგზავნა. სწვალობდა ბერლინისა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში, იურიდიულ ფაკულტეტზე. გასაბჭოების შემდეგ ემიგრაციაში წავიდა პარიზში. მიხეილი გერმანელთა ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. 1940 წლის შემოდგომაზე, როდესაც ოკუპირებულ პარიზში გერმანიის საგანგებო წარმომადგენელმა გააუქმა პარიზში მოქმედი ქართული წარმომადგენლობა და დააპატიმრეს „ლტოლვილთა ოფისის“ მდივანი სოსიპატრე ასათიანი. აუცილებელი გახდა, მოენახათ ისეთი პიროვნება, რომელიც ქართული ემიგრაციის წარმომადგენლის დაცვას შეძლებდა. ასეთი აღმოჩნდა მიხეილ კედია. მან დეპორტაციისაგან იხსნა ქართველი მაჰმადიანები, გერმანელებს დაუმტკიცა, რომ ისინი ისლამის მიმდევარი ქართველები იყვნენ. მალევე გერმანელებმა ქართველი ებრაელების დაპატიმრებებიც დაიწყეს, მათ შორის იყო დამოუკიდებელი საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ყოფილი მოადგილე იოსებ ელიგულაშვილი (ერთ-ერთი ორგანიზატორი ეროვნული საგანძურის ევაკუაციისა საფრანგეთში). მიხეილ კედიას მოხერხებით გერმანელებმა პატიმრობიდან გაათავისუფლეს იოსებ ელიგულაშვილი. კედიამ შექმნა მითი, თითქოს ქართველი ებრაელები ეთნიკურად ქართველები იყვნენ, ხოლო რწმენით მოსეს რჯულის მიმდევარნი. მიხეილ კედიას დახმარებით უამრავი ქართველი და ევროპელი ებრაელი გადაურჩა სიკვდილს. ქართული ემიგრაციის ნაწილის მსგავსად მიხეილ კედია ფიქრობდა, რომ გერმანელების მხარდაჭერით შეიძლებოდა სა-

ქართველოს განთავისუფლება. ის ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი ნაკარნახევი იყო საქართველოს ერთგულებითა და სიყვარულით.

1944 წლის აპრილში მიხეილმა მეგობრების დახმარებით გერმანია დატოვა და თავი შვეიცარიას შეაფარა. ცდილობდა თავიდან აეცილებინა სასამართლო პროცესი. მას ბრალად ედებოდა გერმანელებთან თანამშრომლობა. 1946 წელს ფიცის ქვეშ მისცა წერილობითი ჩვენება, რომ გერმანიის მიერ საფრანგეთის ოკუპაციის განმავლობაში მან უამრავი ქართველი და სხვა ეროვნების ებრაელის გადარჩენა შეძლო. მიხეილ კედიას ჩვენებას თან ახლდა დოკუმენტები, რომლებიც მის სიმართლეს ადასტურებდა. სამწუხაროდ, ჯანმრთელობა შერყეულმა და გაჭირვებაში მყოფმა ამ დიდმა ქართველმა ჟენევაში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ასე გამოაკლდნენ ქვეყანას ევროპულ განათლება მიღებული, ენთუზიაზმითა და ქვეყნის სიყვარულით გულანთებული ღირსეული ქართველები...

დავდიოდი ჰაიდელბერგის ნაწვიმარ და ნისლიან ქუჩებში და რაღაცნაირი სევდა მეუფლებოდა. შემოდგომის გაყვითლებული ფოთლები, წვიმის წვეთები, მოქუშული ცა, ვიწრო ქუჩაზე აქა-იქ ქოლგების ამარა სწრაფი ნაბიჯებით გამვლელები, თითქოს დრო გაირინდა... მესმოდა მხოლოდ წვიმის წვეთებისა და სველ ასფალტზე საკუთარი ნაბიჯების ხმა...და სადღაც შორს, მიმქრალი ხმები შავლეგოს შეწყვეტილი სიმღერისა.

რეალური სამშობლოდან ილუზორულ „მემლექეთში“– წინაპრების კვალდაკვალ

„ქართველები ყველგან ვართ და არსად კი არ ვჩანვართ, ჩვენს მეტმა ვერც ერთმა ეროვნებამ ვერ შეინარჩუნა თავისი ელფერი ოსმალეთში. ვინც კი გამუსლიმანდა, ყველა სრულიად გადაგვარდა, გაქრნენ, გაითქვიფნენ ოსმალებში, ჩვენ კი, ასე თუ ისე, სახელი „გურჯი“ მაინც შეგვრჩა და ეს კი იმის მასწავლებელია, რომ ქართველების კულტურა უფრო ძლიერია ეროვნულ ფსიქიკაში...“

ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწე – ჰასან ფაშა

„ქართველები ყველგან, მთელ ოსმალეთში კარგად არიან მოწყობილნი. ეს იმით აიხსნება, რომ რასიული გამჭრიახობა და კულტურა მეტი აქვთ მათ“.

მეცნიერი და მკვლევარი ევგენი დალეჯიო დ' ალესიო

ილია ხიმშიაშვილი (აბდურაჰმან ჩეთინქაია) 1948 წელს საქარიაში, კერძოდ, აქიაზის რაიონის სოფელ ბათაქქოიში დაიბადა (თურქეთში დაბადებული მეორე თაობის „გურჯი“ იყო), ზიჰნი ხიმშიაშვილისა და ასიე სურმანიძის ოჯახში.

ილიას წინაპრები ზემო აჭარის სოფელ ნიგაზეულიდან[2] თავდაპირველად შუბანში, შემდეგ კი 1900-იან წლებში თურქეთში გადასახლებულან და საქარია/აქიაზის რაიონის სოფელ აჰმედიეში დამკვიდრებულან. ილიას მამა ზიჰნი ჩეთინქაია (ხიმშიაშვილი) 1924 წელს დაბადებულა აქიაზის რაიონის სოფელ

2 ნიგაზეული ხიმშიაშვილთა საგვარეულო მამული იყო

ფელექდუზში (აჰმედიე), მოგვიანებით კი სოფელ აჰმედიედან ჩერქეზულ დასახლებაში, ბათაქქოიში გადასახლებულა მეუღლესთან ერთად. პაპა მამის მხრიდან მოლა შაქირის მამის ალი ხიმშიაშვილის საგვარეულოდან გახლდათ. აღნიშნული შტო სელიმ ფაშა (ხიმშიაშვილის) შთამომავალი ყოფილა.

რუსეთ-ოსმალეთის ომის (1877-78) დასრულების შემდეგ, როცა „რუსეთის იმპერიის საქართველოს“ მფლობელობაში გადმოვიდა აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი და სხვ. მაჰმადიანი ქართველი მოსახლეობის ასაყრელად და თურქეთში გადასახლების მიზნით დიდი პროპაგანდა დაიწყო. ილიას წინაპრისათვის უთქვამთ, რომ მალე რუსების ბატონობა დაიწყებოდა აჭარაში და მაჰმადიანების მიმართ გაძლიერდებოდა ზეწოლა. იმ პერიოდში შექმნილ ისტერიას ბევრი აჰყვა, მათ შორის ხიმშიაშვილების ოჯახიც. მათ არ სურდათ წასვლა და სამშობლოს მიტოვება, მზად იყვნენ სისხლის ბოლო წვეთამდე ებრძოლათ რუსების წინააღმდეგ. თუმცა საბოლოოდ მაინც წასვლა გადაუწყვეტიათ იმ პირობით, რომ მათ ოჯახს ართვინში დაასახლებდნენ. თუმცა ოსმალების დაპირება სიცრუე აღმოჩნდა. როცა გემმა ტრაპიზონი გაიარა, ილიას პაპა და დანარჩენი ქართველები მაშინ მიხვდნენ, რომ მწარედ მოტყუვდნენ. გემზე ქართველებს ჯანყი გაუმართავთ. ხელთ მხოლოდ ცელი, თოხი, წალდი და ნაჯახი ჰქონიათ. ოსმალებს უმრავლესობა ზღვაში ჩაუყრიათ, გადარჩენილი, გაუბედურებული, დაღლილი ქართველები შეგუებულან „ალაჰის ნებას“ და იძულებით სტამბოლში წასულან. სულის საოხად ერთმანეთი ჰყავდათ, უთხოვიათ ოსმალებისთვის, რომ სადმე ერთად მაინც დაესახლებინათ. თუმცა ოსმალები გურჯებს ერთად არ ასახლებდნენ, რადგან თვლიდნენ, რომ ერთ მუჭად შეკრული ქართველები გაძლიერდებოდნენ და ოსმალებს საფრთხეს შეუქმნიდნენ. ცალ-ცალკე სხვადასხვა პროვინციაში ქართველების დასახლება კი დააჩქარებდა ასიმილაციის პროცესს. სწორედ ამიტომ, ქარველები-

სთვის უარი უთქვამთ და სხვადასხვა მხარეში განუწესებიათ. ზოგი დაჭაობებულ ადგილებში დაუსახლებიათ, არადა, ქართველისათვის მთიანი და წყლიანი ადგილები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, დაჭაობებულ ადგილებში მალარია გაჩენილა და უამრავი ადამიანი დაღუპულა. ვინც ცოცხალი გადარჩენილა, მათ შორის ილიას პაპა, ჭკუა უხმარია და თავად დაუწყია შესაფერისი ადგილის ძიება. ბუნებრივია, მუჰაჯირებისათვის მთავარი მოთხოვნა იყო მთიანი ან წყლიანი ტერიტორიის შერჩევა, რომელიც გარკვეულწილად ასოცირებული იქნებოდა საქართველოსთან, იმ სოფელთან, საიდანაც აიყარნენ. ეს იყო თურქეთელი ქართველების პირველი მცდელობა უცხო მიწაზე გამოეყოთ მიკროსამყარო მაკროსამყაროსგან, შეექმნათ და გაენესაზღვრათ საკუთარი შიდა სივრცე. ამით ქმნიდნენ „მემლექეთის“ (სამშობლოს) ილუზიას. სწორედ ამ ილუზორული სამშობლოს ძიების პრინციპით იქმნებოდა თურქეთში მთელი რიგი დასახლებები. გადარჩენილმა გურჯებმა საკუთარი სივრცის მოწყობა დაიწყეს, ააშენეს სახლები, სადაც შეიტანეს „გურჯისტანიდან გადმოტანილი“ ნივთები. შეავსეს ეს სივრცე და შექმნეს სრული კოჰეზია წარსულთან.

ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასახლება მხოლოდ ფიზიკურს არ გულისხმობს, ეს, უპირველეს ყოვლისა, კულტურის, ტრადიციების, ადათობრივი სივრცის გადაადგილებაა, ერთი ეთნიკური გარემოდან, უცხო, სხვა ეთნიკურ გარემოში. გადასახლების პროცესში ადამიანებს თან მიაქვთ თავიანთი კულტურისა და ტრადიციების მნიშვნელოვანი ნაწილი. შესაბამისად, როდესაც მუჰაჯირი ქართველები უცხო ტერიტორიაზე დასახლდნენ, ეთნიკური თვალსაზრისით შემოფარგლეს და მხოლოდ ქართველებით დასახლებულ სივრცედ განსაზღვრეს – „ჩვენ“ და „სხვები“. (მუჰაჯირი ქართველები კომლობით სახლდებოდნენ ერთ ტერიტორიაზე და ქმნიდნენ ერთიან სოციალურ ორგანიზმს, თურქეთელი ქართველების მთელ რიგ დასახლე-

ბებს დღესაც შემორჩენილი აქვთ ქართული სახელწოდებები იმ ადგილებისა, საიდანაც მუჰაჯირები გადმოსახლდნენ). დაიწყეს რა საკუთარი სივრცის/საცხოვრისის შექმნა, უპირველესად, შემოფარგლეს „შინა“ – „გარეთასაგან“. საკუთარი შიდა სივრცით გააერთიანეს ორი სამყარო „სიმბოლური და რეალური“. „სახლი, როგორც რეალური, პრაქტიკული კომპლექსი და მეორე, როგორც სიმბოლურ-წარმოსახვითი“. თუმცა სახლი ხომ ცარიელ, ცივ სივრცედ დარჩებოდა, რომ არ მომხდარიყო მისი საცხოვრისად გადაქცევა. ამისათვის კი საჭირო იყო ამ კონკრეტული სივრცის საკუთარი ეთნიკური იდენტობის გამომხატველი სიმბოლოებით/ელემენტებით გაფერადება, რაც გარკვეულ ენერგეტიკას, კომფორტს შეიტანდა და უზრუნველყოფდა სულიერ კოჰეზიას წარსულთან.

უცხო მიწაზე ყოველთვის მძაფრად ხდება საკუთარი ვინაობის შემეცნება, ძიება და ჩაღრმავება წარსულში, წინაპრებთან დიალოგის აუცილებლობის განცდა. ამის საუკეთესო საშუალებას კი სწორედ საკუთარ ვინაობასთან დაკავშირებული ცალკეული ნივთების არსებობა წარმოადგენს. მუჰაჯირ ქართველებს ამ მიკროსამყაროში შეჰქონდათ საქართველოდან წამოღებული სამეურნეო თუ საოჯახო ყოფისათვის დამახასიათებელი ნივთები: აკვანი, გობი, ქალამნები, კეცი, სხვადასხვა ხილისა და ბოსტნეულის ქართული ჯიშები (თითქმის ყველა ეთნიკურ ქართულ სოფელში შეინიშნება ქართული ყურძნის ჯიში „ადესა“). იდენტობის აღქმა მოიცავს არა მხოლოდ იმის გააზრებას, თუ ვინ ვარ მე, რას ვფიქრობ ანდა აღვიქვამ, არამედ რა მიმაჩნია გენეტიკურად „ჩემად“. ასევე რასთან მაკავშირებს სულიერი კავშირი და ასოციაციები. ეს ყოველივე პიროვნების ისტორიულ/გენეტიკურ მახსოვრობასთან არის დაკავშირებული. რატომ ანიჭებდნენ თურქეთელი ქართველები ასეთ დიდ მნიშვნელობას „გურჯისტანიდან გადმოტანილ“ ნივთებს, რომელსაც დღესაც, XXI საუკუნეშიც კი რუდუნებით ინახავენ? ამაზე მხოლოდ ერთი პასუხი არსებობს, იმისათვის, რომ გა-

მოხატონ საკუთარი თავი, ხაზი გაუსვან საზოგადოებაში საკუთარ ფსიქოსოციალურ მდგომარეობას. როგორც ვილიამ ჯეიმსი აღნიშნავს, ჩვენ რეალურად განგვსაზღვრავს არა მხოლოდ ის, თუ რას ვფიქრობთ ანდა რას ვამბობთ, არამედ ისიც, თუ რა მატერიალურ ნივთებს ვფლობთ. თითოეული მათგანი არ არსებობს ცალკე, განყენებულად ადამიანების გარეშე. მნიშვნელოვანია ის, თუ რა შეტყობინებას შეიცავენ ისინი ოჯახის წევრებისათვის, განსაკუთრებით მომავალი თაობისათვის. ნივთებს, რომელსაც ჩვენ ვფლობთ, გარეშე პირს აწვდიან შემდეგ ინფორმაციას – თუ ვინ ვართ, რანი ვიყავით წარსულში და როგორ ვხედავთ საკუთარ თავს მომავალში.

დასახლდა რა ხიმშიაშვილების გვარი უცხო მიწაზე, დანარჩენ ქართველებთან ერთად, ცდილობდა გადარჩენას და ამავდროულად იდენტობის შენარჩუნებას, რაც არცთუ ისე ადვილი იყო იმ ეპოქაში. მათ კეთილმოაწყვეს სოფელი, ააშენეს ნალია, ბეღელი, წისქვილი. ჰყავდათ პირუტყვი, ჩეჩავდნენ მატყლს, აკეთებდნენ ძაფს და უკერავდნენ ტანსაცმელს შვილებს. იმ პერიოდში ყველაფერი სოფელში მოიპოვებოდა, რადგან თავად აწარმოებდნენ, შესაბამისად, ქალაქში გასვლა არ უწევდათ. სწორედ ქალაქთან ნაკლებმა კავშირმა უფრო დაცული გახადა სოფლის შიდა სივრცე. საუბრობდნენ მხოლოდ ქართულად. დღესასწაულებზე, ძირითადად ქორწილებში, ქართულ ცეკვებს ცეკვავდნენ, მღეროდნენ ქართულ სიმღერებს. ზამთარში „ბებრები“ და ახალგაზრდები ერთ სახლში მოგროვდებოდნენ და სულ „მემლექეთზე“ (სამშობლო) საუბრობდნენ. პატარა ილიას მეხსიერებაში განსაკუთრებით დარჩა ლოტბარი, გვარად ქათამაძე, რომელიც თავისი ტკბილი ხმით „მემლექეთისადმი“ ნოსტალგიას უქარვებდა თანამემამულეებს. „დედაბრების“ მეხსიერებაში შემორჩენილი იყო ეკლესიაში მალულად სიარულის ისტორიებიც. ბებიის კალთაში მოკალათებული პატარა ილია, ხშირად ისმენდა ამბებს გარდასულ დღეთა. თეთ-

რი ჯვრებით დამშვენებული შავი ლეჩაქი უფარავდა ილიას ბებიას, დიასამიძის ქალს გათეთრებულ თმებს. შვილიშვილები დიდი გულისყურით უსმენდნენ მის მონათხრობს შორეულ გურჯისტანზე, გვართან დაკავშირებული ისტორიის მოსმენა კი პატარა ილიას განსაკუთრებით უყვარდა, *„ხიმშიაშვილები ყოფილან წარმოშობით თუშეთიდან. ქართველი მეფის დროს, აზნაურები ყოფილან ესენი, და ერთ პერიოდში ორი ძმა ქართვლის მეფის კარში, რომ აზნაურები იყვნენ, ტყუპები ყოფილან მეფის ჯარში. ერთს კაცი მოუკლავს როგორც მოხდა და ორივე გაცილდა იქიდან ჯარიდან. მაშინ გზა არ იყო არაფერი და ხეობაში და რამდენიმე დღით წავიდნენ დღევანდელ კახეთის კარმიდამოებში, აცდნენ ერთმანეთს. ამათმა რომ აცდნენ ერთმანეთი დაკარგეს, ე.ი. მე რაც მომიყვნენ იმას გიყვებით. ერთმა იქ დარჩა. მერე გამოჩდენ. დღევანდელი ახლო კახეთის ხიმშიაშვილები იმისი შთამომავალნი ყოფილან. იმ ერთის იმ მეორემ გზა გააგრძელა შემთხვევით აჭარისკენ, მიაყოლა ასე და საჭმლის პური არაფერი აღარ ქონდა თურმე და ხეს მიადგა–ხე მშიაო. და მერე აჭარაში რო მოხდა ეკითხებიან ვინა ხარო რა ხარო. კაცო რა თქმა უნდა იქ კაცი რომ მოკლეს ეს ამბავი მოხდა ის დამალა იმან არ ილაპარაკა ხალხში და თქვა რომ მეო ისეთი რამეები გადამხდა, ისეთი შიმშილი გადამხდა, ხეს მივადექიო და „ხე მშიაო“ ვუყვირეო. მოუყვა ხალხს. ამას აბელ სურგულაძეც წერს. ოღონდ სხვანაირად და იქიდან ეს გადაკეთდა ხიმშიაშვილზე ხიმშიდან მოვიდა ეს სიტყვა. ამისი წყაროც ეს არის. რა თქმა უნდა იმან მერე ის აზნაურობა გააგრძელა იმ მეორე ტყუპმა აჭარაში და მერე თავადობაზე გადავიდა და ისტორია იმის შემდეგ მოჰყვა ასე. ეს არის ხიმშიაშვილების გვარის ისტორია.* „გურჯი ქალი“ თან ისტორიებს ჰყვებოდა, თან მჭადს აცხობდა კეცზე, ჯვარს უკეთებდა, სანთელს ანთებდა და ღმერთს ბარაქას სთხოვდა. უზენაესის მიმართვისას კი იყენებდა არა სიტყვა „ალაჰს“, არამედ ღმერთს. *(შეიძლება ითქვას, რომ მაჰმადიან ქართველებში რიტუალის გამოყენება ხდებო-*

და არა რელიგიური თვალსაზრისით, არამედ როგორც ტრადიცია). პატარა ილიას მეხსიერებაში განსაკუთრებით დარჩა თევდორე მღვდლის ისტორია, რომელიც ძალიან საინტერესო ინტერპრეტაციით შემორჩა იმ თაობის თურქეთელ ქართველთა მეხსიერებას *„ჩემი ბაბუა მიყვებოდა ახლა მომახსენდა ესა, მტერი შემოსულა საქართველოშიო, ყოფილა ერთი თევდორე ბერი. იმღერაო, ტყვედ დაჭერილი ყოფილა-ხალხოო მტერი მოდის გაიქეცით, გაიქეცით. იმათ ეგონათ, რომ ეს ლოცულობდაო და სოფლები გადაარჩინაო, რომელი მტერი იყო არ ვიცი, თურქები იქნებოდნენ ან ირანელები. თევდორე მღვდელმა გადაარჩინაო სოფლები. მუსლიმანი კაცი ამბობდა ამას. ჩემ ბებიამ ხომ მითხრა ჩემი ბიძია მახსოვსო ჩუმად ეკლესიაში დადიოდაო.“*

„ბებრები“ ისე მიდიოდნენ ამ წუთისოფლიდან, რომ თურქული წერა-კითხვა არ იცოდნენ. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, დიასამიძის ქალს, რაც კი თურქული სცოდნია – სულ დავიწყებია და მხოლოდ ქართულად ესაუბრებოდა ოჯახის წევრებს.

ქალაქურმა სიომ მაშინ შეაღწია სოფლებში, როცა თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადდა და მუსტაფა ქემალ ათათურქის საგანმანათლებლო რეფორმების წყალობით, სკოლები თითქმის ყველა დაბაში გაიხსნა. ბავშვებმა 7-8 წლამდე თურქული საერთოდ არ იცოდნენ, მაგრამ სკოლაში სიარულმა ბევრი რამ შეცვალა. ამას ემატებოდა ახლად შექმნილი „ახალი თურქეთის“ პოლიტიკაც, რომელიც ავალდებულებდა ყველას თურქული ენის ცოდნას. შესაბამისად, სკოლებში ყველა ეთნიკური იდენტობის წარმომადგენელს ეკრძალებოდა საკუთარ ენაზე საუბარი. ხშირად მათ ტუჩებში სახაზავიც კი ხვდებოდათ. ბავშვები ერთმანეთს აბეზღებდნენ, თუ რომელიმე მათგანს მშობლიურ ენაზე წამოსცდებოდა სიტყვა. *„ერთი ქურთი პედაგოგი გვყავდა, ჩერქეზები ერთმანეთში ჩერქეზულად რომ ილაპარაკებდნენ, იმათ ცემდა, მერე ჩემთან დაიწყო. სკოლა-*

ში ჩვენ რომ გაგვიჭირდებოდა, ქართულად ვლაპარაკობდით, სხვა არ ვიცოდით. ჩვენც გვცემდა ის ქურთი, რომ თურქულად უნდა ისწავლოთ, ქართული აკრძალულია. ასე ვისწავლე. ახლა დღესაც კი ჩემ დამ თურქული ენა ისე ძალიან ლიტერატურულად თურქული კარგად, წმინდად არ იცის. ეს სკოლა რომ დავამთავრე, რა თქმა უნდა, მაშინ დღესაც კიდევ მიკვირს, როგორ ვისწავლე იმხელა თურქული. ძალიან კარგად დავამთავრე სკოლა, გამგზავნეს საშუალო სკოლაში. საშუალო სკოლაში, რა თქმა უნდა, ოფიციალურად პირველი უცხო ენა გერმანული დავიწყე. გერმანული გარეშე არ იყო სხვა უცხო ენა. დღეს არის ფრანგული, ინგლისური და სხვა ენები, მაგრამ მაშინ იმ ქალაქში გერმანული იყო. პირველი ნიშნები რომ მივიღეთ, შუა წელიწად სამი ცუდი ნიშანი მქონდა: თურქული, გერმანული, მათემატიკა. საშუალო სკოლაში გამიჭირდა, მაგრამ გავიმარჯვე. მერე გადავედი გიმნაზიაში, იქაც კიდევ გერმანული გავაგრძელე, მერე პედაგოგიურ ინსტიტუტში გადავედი და შემდეგ კი დავიწყე მუშაობა პედაგოგად.“.

რეალური „სამშობლოს“ გაცნობის მცდელობა

„ჩვენ ყველა უცხოელები ვართ ამ დედამიწაზე, მოვედით, მივდივართ. ზოგი შავი მოვიდა, ზოგი თეთრი, ზოგიც ყვითელი. მე ქართველად მოვედი. ღმერთმა ეს მაღირსა. ამიტომაც ვამაყობ ჩემი წარმოშობით. სადაც არ წავედი, მე ჩემი თავი მცირედ არ მიგვრძნია. ადამიანი ვარ, მაგრამ ქართველი, სწორედ ქართველობამ მომცა მე ცხოვრებისა და ბრძოლის ძალა, ამით მოვედი დღემდე“..

ილია ხიმშიაშვილი

გააზრებული შეხება წინაპრების სამშობლოსთან ილიას XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანების დასაწყისში ჰქონდა, როცა ერთმა სტუდენტმა მას ქართული „ვეფხისტყაოსანი“ უსახსოვრა. თუმცა, ქართულად წერა-კითხვის არცოდნის გამო მისი წაკითხვა ვერ შეძლო. სწორედ ამ მომენტში გადაუწყვეტია ილიას მშობლიური ენის შესწავლა. იმ დროს თურქეთელ ქართველებში განსაკუთრებული პოპულარობითა და პატივისცემით სარგებლობდა აჰმედ ოზქან მელაშვილი[3],

3 ცნობილი თურქეთელი ქართველი, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა თურქეთში ეთნიკური ქართველების ცნობიერებაზე. აგროვებდა თურქეთელ ქართველებში შემორჩენილ გადმოცემებს, საგვარეულო ისტორიებსა და სხვა სახის მასალებს, თურქულად თარგმნიდა ქართული ლიტერატურის ნიმუშებს. შვედეთში მცხოვრებ თურქეთელი ქართველის შალვა თევზაძის (შანვერ აქინის) დახმარებით სტოკჰოლმში გამოსცა ჟურნალი „ჩვენებური“, ცნობილმა თურქოლოგმა, პროფესორმა ლია ჩლაიძემ მას სიცოცხლეშივე „თურქეთელი ქართველების ილია ჭავჭავაძე“ უწოდა. აჰმედ ოზქან მელაშვილი 1980 წლის 5 ივლისს მოკლეს ბურსაში. შვილი იბერია სასიკვდილოდ დაჭრეს. აჰმედი დაკრძალულია ინეგოლის რაიონის , სოფელ ჰაირიეში. მის საფლავს ორენოვანი წარწერა ამშვენებს „მე უკვდავებისთვის კი არა, ჩემი ხალხისთვის ვიცხოვრე“...

რომელიც ცდილობდა ახალგაზრდა თურქეთელ ქართველებში აღეძრა ეთნიკური იდენტობის განცდა/შემეცნება და მოეხდინა ქართული კულტურის პოპულარიზაცია. ასწავლიდა ქართულ ანბანს, წერა-კითხვას, ესაუბრებოდა საქართველოს ლიტერატურასა და ისტორიაზე. ილიასაც გაგონილი ჰქონია მისი სახელი და გაცნობის სურვილი გასჩენია. იმ პერიოდში ქართული ენის კარგი მცოდნე ყოფილა ჰუსეინ ქათამაძე, რომელსაც ხალხი ბათუმში დარჩენილი ნათესავებისათვის, ქართულად წერილებს აწერინებდა. ამ საქმიანობაში ზოგი კვერცხით, ზოგი სიმინდით, ზოგიც კი ფულით ასაჩუქრებდა. ჰუსეინის დახმარებით დაუკავშირდა ილია აჰმედ მელაშვილს. მიწერ-მოწერა თურქულ ენაზე ჰქონდათ, თუმცა ყოველი წერილი, რომელსაც აჰმედი გზავნიდა, იწყებოდა შემდეგი მიმართვით: „საყვარელო თანამემამულენო“. როგორც ილია იხსენებს, აჰმედ მელაშვილი განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდა განათლებულ ახალგაზრდებს და ცდილობდა მათ გაერთიანებას ქართული საქმის გარშემო, რაც საკმაოდ სარისკო იყო იმ პერიოდში. ილიასა და მელაშვილის შეხვედრა პირველად შედგა იზნიკში, ძვ. ნიკეა (ეთნიკური ქართველებით დასახლებული მთელირიგი სოფლებია). პირველი ამოცანა, რაც დაუსახა აჰმედმა ახალგაზრდებს, იყო ანბანის შესწავლა, რათა ქართულად წერა-კითხვა შეძლებოდათ. შეხვედრებზე ასმენინებდა ქართულ ხალხურ სიმღერებს, ესაუბრებოდა საქართველოს ისტორიაზე და გამოჩენილ ქართველ მეფეებზე, ისტორიულ მოვლენებსა და პერსონალიებზე, რომელთაც შეცვალეს ისტორიის ჩარხი. მიზანი, რაღა თქმა უნდა ეროვნული სულის გაღვიძება იყო. მოუწოდებდა მონდომებული, ქართული კულტურითა და წარსულით დაინტერესებული ახალგაზრდები მოეძებნათ, რათა გაფართოებულიყო მათი რიგები.

70-იანი წლების თურქეთი, პოლიტიკური თვალსაზრისით, საკმაოდ დატვირთული და არასტაბილური იყო. დევნიდნენ, აპა-

ტიმრებდნენ ე.წ. მემარცხენეებსა და მათთან დაახლოებულ პირებს. შეხვედრები მალულად ეწყობოდა, აჰმედ მელაშვილი ყველას ქართულ სახელს არქმევდა, რაც ამავდროულად პიროვნების უსაფრთხოების დაცვის მიზნითაც კეთდებოდა, შესაბამისად, ურთიერთობა, მიწერ-მოწერა სწორედ ქართული სახელებით ხდებოდა. სახელმწოფოს თვალში არ მოსდიოდა „გურჯების“ (არა მხოლოდ მათი) თვითგამორკვევის საკითხი და ყველანაირად ცდილობდა ეთნიკური ჯგუფები გარკვეული კონტროლის ქვეშ ჰყოლოდა. შესაბამისად, მათ რიგებში იყვნენ შეგზავნილი ხალხიც, რომლებიც, როგორც ილია იგონებს, მოგვიანებით აღმოაჩინა. *„მაშინ ამბობდნენ პარდაპირ, თქვენო რატომ ასე სხუა ენაზე გადახვედით? მაშინ ჩვენ გამოცდილება არ გვქონდა, ვამბობდით რატომ არა კაცო ჩვენ სხუა ერი ვართ. არა თქვენ აქაური ხართ, აქაური მოქალაქე ხართო. ზოგიერთი აჩვენებდა აი ჩვენ ჩვენი ასოები გვაქვს. მერე ზოგიერთი ამბობდა რა თქმა უნდა, ჩვენი იქაური საქართველო კომუნისტია, ჩვენც რომ კომუნისტები ვიყოთ რა იქნება. აი ასეთი ამბავიც იყო. მე ბევრი რომ მიცნობდა, ძალიან დიდი მოძრაობა მქონდა... ქალაქ ბოლუში ვმუშაობდი. ბოლუში ქართველები ბევრნი იყვნენ. ვინც მიდიოდა ერთ ქართველს გაიცნობდა, პირდაპირ ჩემთან მოდიოდა. მე იქიდან ხალხს ვუშვებდი მელაშვილთან, ეს გინდა არგინდა გამოჩნდა იქ. დაიწყეს მთავრობამ ჩემი დავიწროობა, მაგრამ პირდაპირ ქართველობ და იმიტომ არ მავიწროვებს, მემარცხენე ხარო, კომუნისტი ხარო მავიწროვებს. ჩემს საქმეს ძალიან კარგად ვაკეთებ. ამავე დროს ქალაქ ბოლუს მთავარ გაზეთში ყოველდღე სტატიები იბეჭდება ჩემი ეკონომიკაზე და რა თქმა უნდა პოლიტიკურ მდგომარეობაზეც. ამან უფრო მეტად გაართულა საქმე. ქალაქის გუბერნატორმა პირდაპირ პოლიციელები დანიშნა ჩემს სადევნად. ამათთან ერთი ჩვენ ქალაქიდან ყოფილა და ვიცნობდი, აბხაზი ყოფილა, მე მდევნის. დანაშაული რამე დამიჭიროს, ჩამსვას ციხეში. მიზეზს ეძებდა, მიზეზი აქვთ, მაგრამ მე ახლა კანონიე-*

რად დანაშაული ჩხუბი ჩავიდინო, ვინმე მოვკლა, მემარჯვენე იყო მემერცხენე იყო, მომკლავენ. ასეთ რამეში გავერიო, რომ წაგიყვანონ, იქით წაგიყვანებენ, ველარ გადარჩები, ასე ბევრი მოიკლა იქ.“

ამ სახიფათო ვითარების გამო მელაშვილმა 1972 წლის გაზაფხულზე დაიბარა ილია და ურჩია დროებით სასწრაფოდ გასცლოდა ქვეყანას, რათა თავიდან აეცილებინა საფრთხე, რომელიც რეალური იყო. აჰმედი კარგად აცნობიერებდა, რომ ილიას მსგავსი ახალგაზრდის კარგ შემთხვევაში დაპატიმრება, ცუდ შემთხვევაში მოკვლა, საფრთხეს შეუქმნიდა ქართულ საქმეს და სამომავლო გეგმებზეც გავლენას მოახდენდა. ილიას დაევალა წასულიყო ან საფრანგეთში, ან გერმანიაში, დაკავშირებოდა იქაურ ემიგრაციას, გარკვეული ხიდის როლი შეესრულებინა და კავშირები გაემყარებინა ევროპის ემიგრანტებსა და მელაშვილს შორის. იმის გამო, რომ ილია გერმანულს კარგად ფლობდა, არჩევანი გერმანიაზე შეაჩერა. თუმცა ჯარში მსახურობის დასრულებამდე რამდენიმე თვე იყო დარჩენილი, ამას თან დაერთო გაუთვალისწინებელი ფაქტიც, რამაც ცოტა ხნით გადაავადა ილიას გამგზავრება და საფრთხე შეუქმნა მის უსაფრთხოებას.

დედის შეურაცხყოფა, ზოგადად, ქართველი კაცისთვის უპატიებელ საქციელად/დანაშაულად ითვლებოდა ყოველთვის, სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ილიამ ბოლუს განათლების დეპარტამენტის ჩინოსანი ისე სცემა, რომ მასზედ ძებნა გამოცხადდა. მას ისედაც მწყრალად უყურებდა სახელმწიფო და მიზეზიც მიეცა მის დასაპატიმრებლად. ახალგაზრდა ილია იძულებული იყო გაქცეულიყო ქალაქ ანთაქიაში (ძვ. ანტიოქია), სადაც დაუკავშირდა თავის ნაცნობ ოფიცერს, წარმოშობით ქართველს, რომელმაც მოუგვარა თანამემამულეს პრობლემა. ყალბი პასპორტით დატოვა თურქეთი და წავიდა საფრანგეთში,

დაუკავშირდა ლევილის ქართველობას, მისამართები და კონტაქტები მელაშვილმა გადასცა. მაგრამ იმის გამო, რომ მანამდე მეუღლე გერმანიაში ჰყავდა გაგზავნილი, თავადაც გარკვეული დროის შემდეგ გერმანიაში ჩავიდა. თურქეთში უკვე ველარ ახერხედბა ჩასვლას, მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა, როცა სათავეში ბიულენთ ეჯევითი მოვიდა. მის მთავრობაში შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა წარმოშობით ქართველი ჰასან გიუნეში (ბოლქვაძე). მწერალ ფრიდონ ხალვაშის მოგონებებში – „ომრი“, ვკითხულობთ მეტად საინტერესო ფაქტს, როცა ჰასან გიუნეში საქართველოში ჩამოსულა, პაპამისის საფლავი მოუნახულებია. მიწა აუღია, ცალ-ცალკე პარკში ჩაუყრია, – ბაბამ დამიბარაო საფლავზე უნდა წავიღოო, მეორე კი ჩემთვისო. „ჩემთვისნა შევნახონაო“. სწორედ ამ პიროვნების დახმარებით მომხდარა ილიას რეაბილიტაცია, რომელიც ყველა საბუთის ლეგალურად აღებაში დაეხმარა, ხოლო მისი ე.წ. „დოსიე“ გაქრა.

გერმანიაში იწყება ახალი ცხოვრება და იმ გეგმების განხორციელება, რაც მელაშვილთან ერთად დასახა. ილია გერმანელების წინაშე ყოველთვის „ქართველად“ წარადგენდა თავს, *„დევნილობა არ მითხოვნია, იმიტომ, რომ მაშინდელი დევნილიც ძალიან ბევრნი მიდიოდნენ. გერმანელებთანაც და ძალიან კარგად არ გამოჩნდებოდა ეს. მე მითხრეს ამათმა რომ თქვენ აქ ჩვეულებრივი თურქები არ ხართო, გეტყობათო, რა ხართ, რატომ გამოიქეციო, რატომ წამოხვედი, მე ვუთხარი ქართველი ვარ, თურქეთში მცხოვრებ ქართველებს კულტურული თავისუფლება გვინდოდა-მეთქი.“* პირველ ეტაპზე საჭირო იყო, მოეძებნა ქართული ემიგრაციის წარმომადგენლები, დაეკავშირებინა ისინი მელაშვილთან, ეს უკანასკნელი კი მიზნად ისახავდა ქართული ემიგრაციის გაერთიანებით, საერთო ქართული საქმის განხორციელებას.

პირველი კონტაქტი გერმანიაში მცხოვრებ ქართველებთან

ვახტანგ სუდაძესა და ლადო ჩიქოვანს უკავშირდება. ორივე ქართველი მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდა და სამუდამოდ დარჩა გერმანიაში.

„ჩემი წარსული დღესაც მაფიქრებს და მაწვალებს, ვარჩევ და ვერ გამირჩევია, რა გ ზით უფრო მეტ სარგებელს მოვუტანდი მე ჩემს ქვეყანას.“

გერმანიაში მცხოვრები ემიგრანტი ვახტანგ სუდაძე

ვახტანგ სუდაძე 1908 წელს დაბადებულა ახალციხის რაიონის სოფელ ღრელში. მის მშობლებს, დავითსა და ანას, ხუთი შვილი ჰყოლია, მაგრამ, სამწუხაროდ, ხუთივე პატარა ასაკში გარდაცვლილა, შემდეგ ეყოლათ ვახტანგი. მკითხავს ურჩევია მათთვის, რომ 7 წლამდე სხვისი ნაცვამი ტანსაცმელი ჩაეცმიათ, რათა „ბოროტი სული“ აეცილებინათ მისგან. მას შემდეგ კიდევ ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი შეეძინათ. ვახტანგის მამას ყველანაირი ხელობა ეხერხებოდა და თავისი ხელობით უამრავ ადამიანს უსასყიდლოდ ეხმარებოდა. სუდაძეების ოჯახში ასევე ცხოვრობდნენ ბებია ედოსია და ბიძა ვლადიმერი. ისინი მშობლებს პატარების აღზრდაში ეხმაროობოდნენ. ვახტანგის მამას მთელი სოფელი პატივს სცემდა, შესაბამისად, თუ ვინმეს გოგო ან ვაჟი ჰყავდა დასაოჯახებელი, შუამავლად მას გზავნიდნენ. ოთხმოცდაათ წელს გადაცილებულმა ბებიამ, მიუხედავად იმისა, რომ წერა-კითხვა არ იცოდა, ბრწყინვალედ ფლობდა სახარებასა და ღვთისმსახურების წესებს. როდესაც მისი ძმისშვილი ალექსი ჩიტაძე, ახალციხის სოფლების მღვდელი, ეკლესიაში აღავლენდა ღვთისმსახურებას, შინ მობრუნებულს ბებია საყვედურობდა, წირვა-ლოცვის დროს ესა და ეს ადგილი გამოტოვეო. სწორედ ამ მღვდლის დახმარებით შეისწავლა პატარა ვახტანგმა წერა-კითხვა და მისი შემწეობით მიაბარეს ახალციხის სკოლას. საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ სუდაძე თავისსავე სოფელში მასწავლებლად განაწესეს. 1933 წელს თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფილოლოგიის ფა-

კულტეტზე შესულა[4]. სწავლის პერიოდში მონდომებული ახალგაზრდა შეუმჩნევია ცნობილ მეცნიერს სერგო მაკალათიას და მესხეთის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში მიუწვევია. სწორედ ამ პერიოდიდან დაინტერესდა ვახტანგი მაჰმადიანი ქართველების კვლევით. ამას მოჰყვა პროფესორ მიხეილ ჩიქოვანის ფოლკლორულ ექსპედიციაში მონაწილეობა სამცხე-ჯავახეთში. სწორედ აქ ყალიბდება მისი კვლევითი უნარები, რომელსაც მომავალში პროფესიულ დონეზე გამოიყენებს. ინსტიტუტის დასრულების შემდეგ ახალციხის საშუალო სკოლაში გააგზავნეს მასწავლებლად, პარალელურად დაუწყია მუშაობა მხარეთმცოდნეობის მუზეუმშიც უმცროსს მეცნიერ-თანამშრომლად.

სამწუხაროდ, მისი გეგმები და ოცნებები, ისევე როგორც უამრავი ადამიანისა, თავდაყირა დააყენა მეორე მსოფლიო ომმა. მეცნიერული კვლევის მაგივრად საბრძოლო ველზე გაუშვეს, კალმის ნაცვლად ხელში იარაღი შეაჩეჩეს. მოუწია დაეტოვებინა მეუღლე და სამი მცირეწლოვანი შვილი. ომის დროს კი ტყვედ ჩავარდა, უკიდურესად მკაცრ ტყვეობაში აღმოჩნდა, მაგრამ გაადარჩა. ომის დასრულების შემდეგ სამშობლოში ვეღარ დაბრუნდა, რადგან საბჭოთა ტყვეებს სამშობლოს მოღალატეებად რაცხავდნენ და აციმბირებდნენ. ამიტომ იძულებული იყო გერმანიაში დარჩენილიყო. აქვე შექმნა მეორე ოჯახი. ვახტანგი საქართველოში ომში დაკარულად გამოაცხადეს და დაიტირეს კიდეც. გვიან შეიტყვეს, რომ ვახტანგი ცოცხალი იყო და გერმანელი მეუღლისგან ქალ-ვაჟი შეეძინა.

ვახტანგ სუდაძის ენთუზიაზმმა და დაუოკებელმა შრომამ გერმანიაში ნაყოფი გამოიღო. ჰაიდელბერგში პატივსაცემ პიროვნებად იქცა. ეწეოდა მისიონერულ საქმიანობას. ჰაიდელბერგის ერთ-ერთი ტექნიკუმის შენობაში ოთახი გამოაყ-

4 იხ. გ. შარაძის სტატია „ქართველი ჰაიდელბერგიდან", გაზეთი „თბილისი", 1993 წელი. №-25

ოფინა და იქ მცხოვრებ თურქეთელ ქართველებს ქართულს ასწავლიდა. ამით გარკვეულწილად იკმაყოფილებდა სამშობლოსადმი ნოსტალგიას. აქტიურად იყო ჩაბმული გერმანიაში ქართული კულტურის დღეებისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში, თანამშრომლობდა „უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებასთან“ და მის ხელმძღვანელ ოთარ გიგინეიშვილთან. ამას შემდეგი წერილიც მოწმობს, რომელიც 1988 წლის 8 მარტით თარიღდება.

„დიდად პატივცემულო ბატონო ოთარ!

გულწრფელად მოგიკითხავთ თქვენ, თქვენს მეუღლეს. იმედი მაქვს კარგად ბრძანდებით. ეხლა ვკადნიერდები და ერთ მეტად საჭირბოროტო საკითხზე გაწუხებთ.

ბატონო ოთარ: ვიცით, რომ დრო ძალიან ცოტაა, მაგრამ მაინც მინდა თანადგომა გთხოვოთ ერთ მნიშვნელოვან საქმეში. როგორც მოგეხსენებათ, ამა წლის 25 აპრილიდან 6 მაისამდე ჰაიდელბერგის მუნიციპალიტეტში, უნივერსიტეტი და სახალხო უმაღლესი სკოლა აწყობენ საქართველოს კულტურის დღეებს. ქალაქმა უკვე გამოჰყო დიდი თანხები. ამ დღეებმა საკმაოდ დიდი გამოხმაურება ჰპოვა: ინფორმაცია ამ დღეების შესახებ გადაიცა უკვე გერმანიის მთავარი სატელევიზიო არხით (ARD) ამის გამო იყო ანონსირება რადიო კურფალცით, გაზეთებში: ფრანკფურტერ რუნდშაუ, დი ველტ, რაინ ნეკარ ცაიტუნგ, მანჰაიმერ მორგენ, კოლექტივ ბუხ-ჰანდლუნგ და სხვ. ჩვენ შეგვატყობინა ამ კულტურული პროგრამის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ჰაიდელბერგის ფოლკსჰოხშულეს რექტორმა, ბატონმა პროფ. შეფელმა, რომ ამ დღეებში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან ჩამოდის მხოლოდ ორკაციანი დელეგაცია. ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ ამ კულტურულმა

პროგრამამ ძალზედ დიდი გამოხმაურება ჰპოვა გერმანიაში და არა მარტო აქ: მაგალითად, სპეციალურად ამ დღეებისათვის ჩამოდის ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარი, ცნობილი თურქი მწერალი ფაკირ ბაიკურთი. მის გარდა კულტურულ დღეებში მონაწილეობას მიიღებს რამდენიმე ცნობილი გერმანელი პროფესორი. ჩვენ გადმოგცემთ ჩვენს საერთო აზრს: ბატონოთარ, დრო მართლაც ძალიან ცოტაა, მაგრამ სიტუაცია იმდენად კრიტიკულია, რომ სასწრაფო და გადამჭრელ ღონისძიებებს მოითხოვს. გვჯერა, რომ თქვენ ძალასა და მონდომებას არ დაიშურებთ ქართული კულტურის დღეების ღირსეულად ჩასატარებლად.

ფედერაციულ გერმანიაში მცხოვრები თქვენი თანამემამულეთა სახელით

ვახტანგ სუდაძე,
ილია ხიმშიაშვილი ,
ქ. ჰაიდელბერგი. 8. 03. 1988

ახალი ეტაპი დაიწყო ვახტანგის ცხოვრებაში, მას შემდეგ რაც დაუკავშირდა თურქეთის ქართველობას, გაიცნო აჰმედ მელაშვილი, გერმანიაში ჩასული ილია ხიმშიაშვილი და სტოქჰოლმში მცხოვრები შალვა თევზაძე (შანვერ აქინი) . იქმნებოდა ერთი ძლიერი ბირთვი უცხოეთის ცისქვეშ. რომ არა მეორე მსოფლიო ომი, შესაძლოა ვახტანგ სუდაძე ცნობილი მკვლევარიც გამხდარიყო, თუმცა ომის სისასტიკემ და ტყვეობაში გადატანილმა მტანჯველმა თვეებმა, მაინც ვერ ჩაკლა მასში მეცნიერული კვლევა-ძიების სურვილი. თურქეთელ ქართველებთან დაახლოების შემდეგ კი, უკვე შესაძლებელი გახდა ომამდელი ოცნების ასრულება. სწორედ აჰმედ მელაშვილის დახმარებით, 1960-იან წლებში ვახტანგი მიემგზავრება თურქეთში, კერძოდ, ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეში (აჰმედ მელაშვილის მეუღლის სოფელი). ასე დაიწყო უახლესი ფოტო-ვიდეო

აპარატურით აღჭურვილი, ერთი ქართველი ემიგრანტის, ენთუზიასტი თვითნასწავლი მკვლევარის „ეთნოგრაფიული მოგზაურობა“. ისიც თურქეთელი ქართველების მსგავსად, ბედის უკუღმართობის გამო, იძულებული იყო უცხო მიწაზე გაეგრძელებინა ცხოვრება. მათ შორის არსებული სულიერი კავშირი ასაზრდოებდა მის ენთუზიაზმს. 1994 წლის გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ (№183), შოთა ლომსაძის სტატიაში „ბედის ვარსკვლავის დევნაში“, ვკითხულობთ: *„აჰმედ მელაშვილთან ჩემი პირველი თათბირი შეეხებოდა თურქეთში მცხოვრები ოთხი მილიონი ქართველის ბედს, მათ ეროვნულ საკითხს, მათ გათვიცნობიერებას, მათში პატრიოტული გრძნობების აღძვრის საკითხს.“* ერთად შეიმუშავეს გეგმა, რომლის მიხედვითაც თურქეთელ ქართველებს უნდა გაეგოთ სიმართლე ისტორიული სამშობლოს შესახებ. სიმართლის მიწოდება, ისტორიული დოკუმენტების, ბროშურებისა და წიგნების სახით, უნდა უზრუნველყოთ აჰმედ მელაშვილს, ილია ხიმშიაშვილს, შალვა თევზაძეს, ვახტანგ მალაყმაძესა[5] და ვახტანგ სუდაძეს. როგორც ეს უკანასკნელი იგონებდა და ილია ხიმშიაშვილიც ადასტურებდა პირად საუბრებში, საკითხი დაისვა, რომ ეთნიკური ქართველებით დასახლებულ სოფელში უნდა აშენებულიყო კულტურის სახლი, სადაც შეიკრიბებოდნენ ქართველები, ისაუბრებდნენ მშობლიურ ენაზე. ეს სახლი ქართული კულტურის ცენტრის როლს შეასრულებდა, სადაც ორიენტირი იქნებოდა მომავალი თაობა, რომელსაც უნდა გაეგრძელებინა ქართული იდენტო-

5 ვახტანგ მალაყმაძე, თურქული გვარი ჰაირი ჰაირიოღლუ, დაიბადა 1936 წელს ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეში. მუშაობდა თურქეთის ძალოვან სტრუქტურებში, ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას და ცდილობდა თანამემამულეებთან ერთად თურქეთელ ქართველებში ეროვნული სულისკვეთება გაეღვიძებინა. 2001 წელს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის განკარგულებით, ვახტან მალაყმაძეს გადაეცა ღირსების ორდენი. გარდაიცვალა 2003 წელს, დაკრძალულია ინეგოლში.

ბის შენარჩუნება. ასეთ ადგილად შეირჩა ინეგოლის რაიონის სოფელი ჰაირიე. აჰმედის დახმარებით, ვახტანგი ესტუმრა აღნიშნულ სოფელს. ბუნებრივია, ვახტანგისათვის 60-იან წლებში გერმანიიდან თურქეთში ჩასვლა გაცილებით მარტივი იყო, ვიდრე საქართველოდან რომელიმე მკვლევარის ჩასვლა თურქეთში. რადგან საბჭოთა საქართველოსა და თურქეთს შორის რკინის ფარდა იყო ჩამოფარებული. სწორედ ამიტომ, ვახტანგ სუდაძის მოგონებები, მისი „ეთნოგრაფიული მოგზაურობა“ საკმაოდ მნიშვნელოვანია თურქეთელი ქართველების კვლევის საკითხში.

სოფელში ჩასვლისას სოფლის „მუჰთარს“ (გამგებელს) ვახტანგთან შესახვედრად მოუწვევია სოფლის მაცხოვრებლები. ქართველი სტუმარი, მით უფრო გერმანიაში მცხოვრები ქართველი, ადგილობრივებში დიდ ინტერესს აღძრავდა. თავში აჰმედი და ვახტანგი დამსხდარან. მათ გასწვრივ კი სოფლის თავკაცები. სიტყვა ვახტანგისთვის მიუციათ. ამ უკანასკნელს უცდია პატრიოტული მუხტის გაღვივება, ომახიანად უსაუბრია დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში თავდადებულ ქართველ გმირებზე, რომ სწორედ ახალგაზრდების ვალია, მათ მეხსიერებაში მარადჟამს ჩაბეჭდილი ყოფილიყო ქართველი გმირების მაგალითები. შემდეგ კი სიტყვა გადაუტანია კულტურის სახლის გახსნის საჭიროებაზე. ამ დროს წამომდგარა სოფლის ერთ-ერთი თავკაცი გვარად ალი ჯინჭველაძე და ვახტანგისათვის[6] მიუმართავს, მოუწონებია მისი შემართება, მაგრამ დაუწუნებია იდეა კულტურის სახლთან დაკავშირებით, რადგან მიიჩნევდა, რომ „ნამუსიანი ოჯახი“ თავის „ციცას“ კულტურის სახლში არ გაუშვებდა. თუმცა ვახტანგს განუმარტავს, რომ აღნიშნული დაწესებულება ქართული იდენტობის შენარჩუნებისთვის იყო აუცილებელი და დაურწმუნებია კიდეც. მშენებლობის ხარჯებს საკუთარ თავზე იღებდა ვახტანგ სუდაძე, ხოლო მშენებლობას

6 თურქეთელმა ქართველებმა ვახტანგს ზედმეტი სახელი რიდვან აჰალიოღლი შეარქვეს.

გაუძღვებოდა თავად აჰმედ მელაშვილი, რომელიც პროფესიით არქიტექტორი გახლდათ. სწორედ ასე განხორციელდა იდეა, რომელმაც იმ რთულ პერიოდში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეთნიკური თვითობის შენარჩუნების საქმეში. როგორც ცნობილია, ვახტანგ სუდაძემ თავისი ჩანაწერები, შეგროვებული მასალები, ფოტოალბომი, ვიდეოფირები, თავის აპარატურიანად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, ახალი ისტორიის განყოფილებას უანდერძა.

იწყება მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი პერიოდი ვახტანგის ცხოვრებაში – რკინის ფარდის არსებობის მიუხედავად, 1970-იანი წლების ბოლოს, საქართველოსთან განშორებიდან თითქმის 36 წლის შემდეგ, „უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების“ ხელმძღვანელის ოთარ გიგინეიშვილის დახმარებით ვახტანგი ილია ხიმშიაშვილთან ერთად ჩამოდის საქართველოში. თან ახლავს შვილი პეტრე, გერმანელი სიძე ვოლფგანგი და რამოდენიმე თურქეთელი ქართველი. ასე იგონებს ილია ამ ამბავს *„ოთარ გიგინეიშვილს ვთხოვე მე, აქედან წამიყვანონ-მეთქი, ტურისტი ვერ წახვიდოდი, ჯერ ერთი, ტურისტი ჯერ უნდა მოხვდე რუსეთში, რუსეთიდან საქართველოში ვინ გაგიშვებდა.. მერე მე თურქეთის მოქალაქე ვარ, გერმანიიდან მაშინ თურქეთის მოქალაქეს, გამიჭირდებოდა ძალიან. პირდაპირ ოთარ გიგინეიშვილს ვთხოვე. მე ვახტანგისთან ერთად მოწვევა მომივიდა გოქსიდან. მაშინ საზოგადოება იყო გოქსი. ეს გოქსი იყო ათონელის ქუჩაზე უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საზოგადოება.“*

მოსკოვისკენ მიმავალ გზაზე ვახტანგი აღელვებული ჰყვებოდა ომის პერიპეტიებს, იხსენებდა დაღუპულ მეგობრებს. მოსკოვიდან თბილისში ფრენის დროს კი აღუნიშნავს, რომ საქართველოში დაბრუნება მისთვის ყველაზე ბედნიერი მომენტი იყო. განიცდიდა იმ ფაქტს, თუ როგორ შეხვდებოდა თავის პირ-

ველ ოჯახს, რას ეტყოდა საქართველოში დატოვებულ შვილებს. როდესაც სოფელში ჩასულა, ყველა ნათესავს, ახლობელსა და მეზობელს სოფლის ცენტრში მოეყარა თავი. როდესაც მანქანიდან გადმოსულა, ერთი ქალი მიახლოებულა და უკითხავს თავის მამაზე, ცოცხალი იყო თუ არა, ეს უკანასკნელი ვახტანგთან ერთად ომში წასულა და დაკარგულად გამოცხადებულა. ეს ქალბატონი ვახტანგის დეიდაშვილი აღმოჩნდა. რომ გაუგია ვახტანგი ცოცხალი ყოფილა, იმედი მისცემია, რომ იქნებ მამამისიც გადარჩა და ტყვედ ჩავარდა. თუმცა, ყველა ტრაგიკულ ისტორიას როდი აქვს კეთილი დასასრული, ვახტანგს უთქვამს, რომ დეიდამისის ქმარს ბერლინის მისადგომებთან ბრძოლის დროს მოხვედრია ტყვია და დაღუპულა. როდესაც სახლში შესულა, სამუშაო მაგიდაზე დახვედრია იმ გვერდზე გადაშლილი წიგნი, როგორც დაუტოვებია ომში წასვლის წინ. ამ ფაქტს ძალიან აუღელვებია ვახტანგი. 1981 წელს საქართველოში კიდევ ერთხელ ჩამოსულა, შემდეგ წლებში კი მისი შვილები ესტუმრნენ მას გერმანიაში. სამწუხაროდ, ჯანმრთელობას აღარ მიუცია შესაძლებლობა კვლავ მოენახულებინა მშობლიური მიწა-წყალი. ვახტანგი ილიას ქალიშვილს, ნინოს, ყოველი შეხვედრისას ქართულ ლექსებს ზეპირად ეუბნებოდა, უყვებოდა საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან ფაქტებს.

ვახტან სუდაძე 1998 წლის 27 თებერვალს 90 წლის ასაკში გარდაიცვალა, დაკრძალულია ჰაიდელბერგთან ახლოს, ზანდჰაუსენში, მეუღლესთან ერთად. მას არ ჰქონდა არც გერმანიის მოქალაქეობა – სტატუსი – „შტაატენლოს“ (თავის დროზე უარი უთქვამს) და სამწუხაროდ, არც საქართველოსი (იმის გამო, რომ დაღუპული ეგონათ, გაუუქმდა). ასე ტრაგიკულად წარიმართა მისი ბედი და აღესრულა უცხო მიწაზე, როგორც სხვა უამრავი ქართველი. მის ტრაგედიას ისიც ამძაფრებს, რომ გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია მის გერმანელ მეუღლეს საქართველოში მყოფი ოჯახისა და ნათესავებისათვის არ შეუტყობინებია.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების წერილი ვახტანგ სუდაძეს:

გამარჯობათ ბატონო ვახტანგ!

გავიდა ორი თვე, რაც ჩვენ დავბრუნდით საქართველოში, მაგრამ სამწუხაროდ წერილის მოწერა დღემდე ვერ მოვახერხე. იმედია, რომ შალვა ჩაგაყენებდათ ყველაფრის საქმის კურსში. ჩვენის მხრივ გაკეთდა ყველაფერი ისე, როგორც გინდოდათ.

ბატონო ვახტანგ ზაფხული გვიახლოვდება და ჩვენ ვიწყებთ ზრუნვას ჩვენი თანამემამულეებისათვის. წელს გათვალისწინებული გეგმის მიხედვით შეგვიძლია გერმანიიდან მოვიწვიოთ 5-6 ბავშვი ერთ ან ორ თანმხლებ პირთან ერთად თუ კი არიან მსურველები, გთხოვ უახლოეს დროში მოგვწეროთ მათ შესახებ ვინ არიან და როდის სურთ ჩამოსვლა.

ბატონო ვახტანგ, წელს როგორც იცით ქ. იზმირში (თურქეთი) ეწყობა საბჭოთა კავშირის მიღწევათა გამოფენა, სადაც მონაწილეობას მიიღებს საქართველოც. გამოფენა იწყება 20 აგვისტოს და გრძელდება 20 დღე. გამოფენაზე სამუშაოდ ალბათ ჩამოვალთ მე და ბატონი ოთარი. ძალიან კარგი იქნება, თუ თქვენ და ილია მოახერხებდით იქ ჩამოსვლას და სხვებსაც გააფრთხილებდით. თუ კი ამის შესაძლებლობა გექნებათ, გთხოვთ აუცილებლად შეგვატყობინოთ.

მომიკითხეთ თქვენი ოჯახის წევრები. ველი თქვენს პასუხს.

თქვენი გურამ გალოგრე

ილია ხიმშიაშვილის არქივში ლადო ჩიქოვანის შესახებ მხოლოდ რამდენიმე ფოტოსა და წერილს წავაწყდით. ისიც ვახტანგ სუდაძის მსგავსად ტყვედ ჩავარდნილა მეორე მსოფლიო ომის დროს და გერმანიაშივე დარჩენილა, აქვე შეუქმნია ოჯახი და

აქტიურად იყო ჩაბმული ილიასა და ვახტანგთან ერთად ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. დაიბადა საქართველოში, სოფელ გორდში 1918 წლის 1 აგვისტოს, გარდაიცვალა 2015 წლის 18 მაისს გერმანიაში, ქალაქ გლუქსბურგში. ილია ხიმშიაშვილის არქივში ინახება მეტად საინტერესო წერილი, რომელიც ლადო ჩიქოვანმა 1989 წელს მისწერა საბჭოთა კავშირის ლიდერს, მიხეილ გორბაჩოვსა და მის მეუღლეს, რაისა გორბაჩოვას.

სკკპ-ს ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს
ბატონ მიხეილ გორბაჩოვს

კრემლი
მოსკოვი ფლენსბურგი, 1 ივნისი 1989

ძვირფასო ბატონო გორბაჩოვო!

„ო, ღმერთო, ო, სამშობლოვ, მე თქვენ გიღალატეთ. და ჩავიდინე სასტიკი მკვლელობა!“ (მედეა, ევრიპიდე)

მე, როგორც ქართველი, შეძრწუნებული ვარ იმის გამო, რომ საქართველოს მოსახლეობის მიმართ გაზი იქნა გამოყენებული. ეს არის ბარბაროსობა... სანამ არ დადგინდება დამნაშავეთა ვინაობა და არ წარდგებიან ისინი სასამართლოს წინაშე, თქვენ, ბატონო პრეზიდენტო და კრემლს, გეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა. შეძრწუნებულნი იქნებოდნენ ტოლსტოი, პუშკინი და გრიბოედოვი, თუკი თავის საყვარელ კავკასიაში (საქართველოში) მომხდარის შესახებ გაიგებდნენ.

ბატონო პრეზიდენტო!

ძალაუფლება უძლურებად იქცევა, თუკი სწორ მიმართულებას არ მივცემთ. აუცილებელია ცოდნა და გონიერება....

ბატონო პრეზიდენტო, გთხოვთ, არ ჩაიდინოთ შეცდომა და საბჭოთა კავშირში არ დაუშვათ საბაზრო ეკონომიკა. ამგვარი ეკონომიკის მთავარი საზრუნავი მაქსიმალური მოგებისკენ ლტოლვა და ეკონომიკური ბარბაროსობაა. რენტაბელურობა კი კაცობრიობის ხსნაა. ყველა ინდუსტრიული ქვეყანა დამნაშავეა მსოფლიოს წინაშე.

*ბატონო პრეზიდენტო, აირჩიეთ სხვა გზა, ვიდრე აირჩიეს მარქსმა, ლენინმა, სტალინმა და სხვებმა. თუკი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ესტუმრებით, გთხოვთ, სტუმრად მეწვიოთ. ერთ ჭიქა ყირიმის შამპანურის თანხლებით ყველაფერს მოგახსენებთ და ჩემს თხოვნასაც გადმოგცემთ. პრეზიდენტი ნიქსონიც იმყოფებოდა რამდენიმე წლის წინ სტუმრად ჩემს ერთ ლატვიელ ნაცნობთან ფლენსბურგში. მე და ჩემმა გერმანელმა მეუღლემ დიდი მოწადინებითა და შეჭირვებით ავაშენეთ ლამაზი სახლი თავისი მშვენიერი ეზოთი. ფლენსბურგს დაახლოებით **90000** მოსახლე ჰყავს. ძალიან ლამაზი ქალაქია და დანიის სამეფოს ესაზღვრება.*

ჩემდა სამწუხაროდ, ძალიან რთულ მომავალს ვუწინასწარმეტყველებ საბჭოთა კავშირს. სიღარიბე სირცხილი არაა, ის მხოლოდ ცოდვაა. ყველა ბავშვი, ბიჭი თუ გოგო, უცოდველი იბადება. მემკვიდრეობა არაფერ შუაშია, თუ ადამიანი ტირანად ან ტიტანად გარდაიქმნება, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, იქნება ის აზიელი, ამერიკელი, ევროპელი თუ აფრიკელი. უნდა მოვიდეს დრო, როდესაც ადამიანების უმეტესობა მიხვდება, რომ ადამიანი არაამქვეყნიური ქმნილებაა. ...

დიდი პატივისცემით, იმედგაცრუებული ქართველი, რომელიც საბჭოთა კავშირს ყოველივე საუკეთესოს უსურვებს.

ლადო ჩიქოვანი

ლადო ჩიქოვანი მძაფრად განიცდიდა რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის შედეგებს საქართველოში, განსაკუთრებით კი, 1989 წლის 9 აპრილის სისხლიან მოვლენებს. ამაზე მეტყველებს მისი წერილი ილიასადმი.

საყვარელო ძვირფასო ილია

მე მინდა პატარა სიხარული გამოგიგზავნო. წაიკითხე ძალიან წყნარად და დაფიქრებით, რომ უცხოელები დიდი კაცები როგორც ჩერჩილი ასეთი დიდი და დიდად ფიქრობდა სტალინზე. მეორე წიგნი კი კილის უნივერსიტეტის პროფესორი რასი ლაპარაკობს ლენინზე. ლენინი იყო პირველი რეოლოციონერი რომელმაც პირველად უთხრა რომ ყველან მოკლეს. გერმანელის მწერალი და მეცნიერი გოეტე ამბობს რომ ახალი მარტინ ლუტარ ისევე ძველი ეკლესიის კაცი არის რომელიც არაფერს ახალს ადამიანებისაგან ამბობს, აკეთებს. ეკლესიამ უნდა იცოცხლეს და იცოცხლებს ყოველთვის....

გენაცვალე მომიკითხე ყველანი, მოკითხვა ჩემი ცოლისგან და ანრეს და თამარისგან. თამარა და ანრე ჩამოგიტანთ ბერლინში სურათს გენერალ ხიმშიაშვილისგან. დღეს მივეცი ფოტოგრაფს იმან მითხრა რომ 2 რი კვირა უნდა რომ გააკეთოს. მე ვფიქრობ კარგი იქნება. 2 საათის წინად რადიოში უთხრეს რომ გენფას ქალაქში წითელი ჯვარის დელეგაციები 160 ქვეყნისგან დღესასწაული გააკეთეს. გენფში გამოიღეს პროტესიული რომ მოსკაუ გაზის გრანატები საქართველოში ბავშვები,

*ქალები, კაცები მოკლეს. 20 ადამიანები, 96 ადამიანები არიან ძალიან, ძალიან , ძალიან ავად. ისინიც მოკვდებიან. ეს არის მოსკოვისთვის „ბარბარაი“ . უთხარი ქართველებს ბერლინში რომ ქართველებმა 1 თი წელი არც ერთი სიტყვა რუსულად ილაპარაკონ და არცერთ რუსები არ მიიღოთ ოჯახში. ყველა პროფესორები, მეცნიერები, პოლიტიკელები არცერთი სიტყვა არ გაეცეთ რუსებს. „**Totale Boikot**". გამარჯობა გენაცვალე. მე ვარ ასე დიდად გახარებული რომ შენ გაგიცნე. ჩემი თამარა არის ძალიან გახარებული, საქართველოზე და ქართველებზე. კარგად იყავი გენაცვალე.*

ნახვამდის შენი ბიძია ლადო
8.5.1989

„სადაც მე ვარ, იქ ჩემი საქართველოა“

ილია ხიმშიაშვილი

უცხო მიწაზე სამშობლოს განცდა დანაკლისების შევსების ხარჯზე ხდება. როგორც უკვე ზევით აღვნიშნეთ, სივრცე თურქეთელი ქართველებისათვის უმთავრესი იყო და არის. სივრცის განსაზღვრა და ქართულ „სტილში“ მოწყობა, ეთნიკური იდენტობის განცდის, გამოვლინებისა და გაძლიერების ფორმაა. ამის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ეპპელჰაიმში ილია ხიმშიაშვილის მიერ განხორციელებული პროექტი.

იდეა გერმანიაში, კერძოდ, ეპპელჰაიმში საქართველოს საპატივცემულოდ მოედანი გახსნილიყო, პირველად 1980-იანი წლების ბოლოს გაჩნდა. იდეის განხორციელება კი ილია ხიმშიაშვილმა ითავა, რომელიც კარგად იცნობდა გერმანიის ოფიციალურ პირებს და მათთან თბილი ურთიერთობები ჰქონ-

და. ეპპელჰაიმის მერიაში შევიდა ოფიციალური თხოვნა, რომ ქალაქში გამოყოფილიყო ტერიტორია. 1991 წელს რამდენიმე ვარიანტი იქნა შერჩეული და ილიასთვის შეთავაზებული. ყველაზე მისაღები აღმოჩნდა გზაჯვარედინზე არსებული ცენტრალური ნაწილი *„ფული 120,000 მარკა გედეიხადა ქალაქმა და კიდევ ორი ხე მოსაჭრელი იყო იქა. მწვანეებმა ძალიან დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ამას, ხეც არ მოვჭერით.“* გარემოს დამცველებთან პრობლემის მოგვარების შემდეგ დღის წესრიგში დამდგარა სახელწოდებასთან დაკავშირებული საკითხი, შემოთავაზებული ვერსიები იყო: „მშვიდობის მოედანი (სკვერი)“, „უცხოელების მოედანი“, თუმცა არც ერთი მათგანი არ იყო მისაღები ილიასათვის, *„მე ვუთხარი კაცო ეს ყველაფერი საქართველოდან ჩამოსულია, მე ქართველი ვარ, თქვენთან წელიწადების მანძილზე ასე ვმოღვაწეობ მეთქი და თქვენ ცოტა ხათრი უნდა გქონდეთ.“* მუნიციპალიტეტმა მოუწოდა ეპპელჰაიმის მოსახლეობას წარმოედგინათ სახელწოდებასთან დაკავშირებით მათი ვარიანტები. *„კიბატონოო მაშინ ქალაქიდან ჩვენს გაზეთში გამოვაქვეყნებთო წინადადებაო. თავის აზრი დაგვიწერონო“.* ბუნებრივია, ილიასა და მისი მეგობრების მიზანი იყო სახელი საქართველოსთან ყოფილიყო ასოცირებული, შესაბამისად, ილიამ სთხოვა იქ მცხოვრებ თურქეთელ ქართველებს, მეგობარ გერმანელებსა და სხვა ეთნოსის წარმომადგენლებს, ვარიანტად გაეგზავნათ „საქართველოს მოედანი“ – *„მეც რა თქმა უნდა ყველას ვთხოვე ტელეფონებით დაერქვა საქართველოს მოედანი. ქართველები, თურქები, ბერძნები, ვინც არიან ყველას მივაწერინე და დაერქვა საქართველოს მოედანი დემოკრატიულად“.*

1991 წლის 14 სექტემბერს ეპპელჰაიმში იხსნება ახლად აღდგენილი მოედანი. ცერემონიალს ესწრებოდნენ ილია ხიმშიაშვილი, გერჰარდ განდირა, ქალაქის მერი უგო გიზე, მართა ვებერი და საქართველოს მხრიდან ოფიციალური პირები – დავით აგ-

ლაძე, ნუგზარ ქარსიძე, ნიკო კეკელიძე.[7] სწორედ ამ უკანასკნელის დახმარებით ეპპელჰაიმს საქართველოში დამზადებული, სკვერის მატერიალური აღჭურვილობა გადაეცა.

1991 წლის 9 დეკემბერს მუნიციპალიტეტის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მოედანს მიენიჭოს „საქართველოს მოედნის“ (Georgienplatz) სახელი. ბუნებრივია, ამ ყოველივეს სირთულეებიც ახლდა თან. იყო სახელის გადარქმევის გარკვეული მცდელობები, რასაც ილია ყოველ ჯერზე აპროტესტებდა. ჰქონდა დიდი სურვილი მოედანზე მონუმენტი ანდა საინფორმაციო დაფა გაკეთებულიყო, რათა აღარავის გასჩენოდა სურვილი სახელის შეცვლისა ანდა გადარქმევის. *„ახლა ჩვენ რამდერჯერმე შევარდნაძესაც შევხვდით. ერთი წერილი დავაწერინო. ეს არის*

7 ნიკოლოზ კეკელიძე 1960 წელს დაიბადა ქალაქ თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სამხატვრო აკადემიაში ჩააბარა, სადაც გამოყენებით ხელოვნების ფაკულტეტზე ინტერიერის დიზაინს სწავლობდა. მისი პირველი პერსონალური გამოფენა 1982 წელს გაიმართა. 1983 წელს სსრკ ახალგაზრდა მხატვართა კავშირის წევრი გახდა. მანვე გააფორმა ქართული კულტურის ცენტრი ვენაში (ავსტრია); ეპპელჰაიმში (გერმანია) „ქართული სკვერი“. ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ახლად ჩამოყალიბებული ქართული არმიის რიგებს შეუერთდა. მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მიმდინარე ყველა ბრძოლაში. იყო ბატალიონის მეთაური. მოგვიანებით თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. 1994 წელს ნიკოლოზ კეკელიძე ტრაგიკულად დაიღუპა თბილისში. 1995 და 1996 წლებში გაიმართა მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი ორი პერსონალური გამოფენა თბილისსა და სანკტ-პეტერბურგში. 1995 წელს, გარდაცვალების შემდეგ, გამოჩენილი სიმამაცისა და ქართული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი მიენიჭა. ნიკოლოზ კეკელიძის ნამუშევრები დაცულია ავსტრიის, გერმანიის, რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების კერძო კოლექციებში.

საქართველოს მოედანი ამის სახელის გადარქმევა უნდოდათ, ჩვენ ვუთხარით ასეთ რამე როგორ შეიძლება საქართველოს მოედანი სახელი გადაირქმეს სხვა სახელზე, ეს სირცხვილია. ვთხოვეთ და გავაჩერეთ.....ამიტომაც გვინდა იქ ერთ საქართველოდან ჩამოსული ისე რამ იყოს, რომ ქართული რამე ჩაცმული იყოს იმ ძეგლში და ძეგლიც დავდგათ მოედანზე, საქართველოს მოედანზე, საქართველოდან ძეგლი წარწერით, რომ ეს მერე ვერავინ ვეღარ გაბედოს სახელის გადაკეთება. აი ეს გვინდა. ერთხელ გასინჯეს იმიტომ, რომ ძალიან პრესტიჟული ადგილია და ჯვარედინია და ამიტომაც მაშინაც ვამბობ ამას მე ისეთი რამე გავაკეთე, რომ წინადადება ვუთხარი აქაურ ხალხს რამდენი ვინც გამოჩენილი ხალხი იმათ ვუთხარი, ერთი ძეგლი რომ გავაკეთოთ დავდგათ. კი ბატონოო, როგორ არ დავდგათო. მაშინ ძეგლსაც ვერ წაშლიან და დარჩება. საქართველოში არც იციან რომ ასეთი რამე.“

ილიას სურვილი მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ შესრულდა, კერძოდ, 2023 წლის 25 მარტს, გერმანიაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ეპპელჰაიმის „საქართველოს მოედანზე“ დაიდგა საინფორმაციო დაფა.

„დედაენა არის უკანასკნელი, რაც გვაკავშირებს“

ოთარ გიგინეიშვილი

გერმანია იყო ის თავისუფალი სივრცე, რომელიც თურქეთელ ქართველებს აძლევდა საშუალებას ფართოდ გაეშალათ მოქმედებისა და კონტაქტების არეალი. თურქეთში საბჭოთა საქართველოდან წერილების გაგზავნა დიდ პრობლემას წარმოადგენდა. ამიტომ აჰმედ მელაშვილი საჭირო ინფორმაციას წერილების სახით უგზავნიდა ილიას გერმანიაში, ხოლო ეს უკა-

ნასკნელი კი – ოთარ გიგინეიშვილს. *„მელაშვილი წერილს მე მიგ ზავნიდა, მე აქედან მიმქონდა ესენი. თურქეთიდან პირდა-პირ წერილი არ მიდიოდა... მაგალითად ერთი კაცი დაიჭირეს ასე რა დაწერე, ეს რას ნიშნავს. თურქეთში ჩვენი ჯგუფიდან ბევრი დაიჭირეს, ციხეში ჩასვეს და თან კიდევ აწამეს. ამიტო-მაც ეს მე მიგ ზავნიდა აქა და აქედან მე ვუგ ზავნიდი იქით, ეს ხელით ხდებოდა., ფოსტით ხდებოდა...მაგალითად ერთი წერი-ლი 4-5 ჯერ კიდევ ვგ ზავნიდი. ერთი თუ რამე მოხდა მეორე იმ მისამართ ზე მივიდეს მეთქი“.* ქართველი ისტორიკოსი, აღმოსა-ვლეთმცოდნე ოთარ გიგინეიშვილის პიროვნება ძალიან მნიშვ-ნელოვანი იყო იმ პერიოდის თურქეთელი ქართველებისათვის და ზოგადად, ქართული ემიგრაციისათვის. ის გახლდათ ცნო-ბილი მკვლევარი, გარდაცვალებამდე კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აღმოსავლეთმცოდ-ნეობის ფაკულტეტზე. მუშაობდა სსრკ საგარეო საქმეთა სა-მინისტროში ატაშედ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამი-ნისტროს ექსპერტ-კონსულტანტად, მინისტრის თანაშემწედ; იყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი მდივანი; მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში; გახლდათ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლე-სი ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი; ამავე ინსტიტუ-ტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში. იკვლევდა თურქეთის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ისტორიას; თურქეთის, ირანისა და რუსეთის პოლიტიკას სა-ქართველოს მიმართ; თურქეთში მიმდინარე ეთნორელიგიურ პროცესებს; გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა „უცხოეთ-ში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის სა-ქართველოს საზოგადოებას“. სწორედ ეს ორგანიზაცია გახლ-დათ ის რგოლი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა შვედეთში, გერმანიასა და თურქეთში მცხოვრებ თურქეთელი ქართველების ეროვნული გამოღვიძების საქმეში. ამ ორგანიზა-

ციის მიწვევით პირველად 70-იან წლებში, საბჭოთა საქართველოში, ქვეყნის კულტურის გასაცნობად ჩამოდის ილია ხიმშიაშვილი. ილიას ჩამოჰქონდა წერილები, წიგნები, რომლებიც ამერიკაში იბეჭდებოდა ქართველების მიერ. *„გიორგი გორგიშვილმა გამატანა წიგნები არალეგალური წიგნები. ესენი ამერიკაში, სან-ფრანცისკოში დაიბეჭდა, წიგნები ჩოლოყაშვილის ჯგუფის თავისუფლობაზე, საქართველოს თავისუფლობაზე იყო. მე ვუთხარი რომ გიორგი ბიძია რამდენიმე ცალი მომეცი მეთქი, ერთ ცალს ვაძლევდი პირდაპირ გიგინეიშვილს, ორორი, სამ-სამი მქონდა. ივერიაში ვცხოვროდი. იმ ქალბატონმა მაყვალამ ახლა სულ ჩემი თემა სულ ეს იყო რუსები რას გავიწროვებენ, რუსები რამეს აკეთებენ. ამას ვსინჯავ მე დიპლომატიურად, ამ მაყვალამ მითხრა რომ მეო, შვილიო ჯარში რომ გავგზავნეო ერთმა რუსმა ოფიცერმაო დედა შეაგინაო და ამანაცო რა თქმა უნდა თავი მოუღუნა იმ რუსს და ციხეში ჩასვესო, წავედი მეო და ვუთხარიო იმის უფროსთან, რატომ ჩასვით ჩემი შვილი ციხეში. აიო, ჩვენი ოფიცერი ცემაო საბჭოთა ოფიცერი ცემაო. ისე მიპასუხაო. ამასაც უთქვია, ჩვენ კავკასიელები ქართველები ვართ. დედა როგორ შეაგინაო, როგორ გაბედაო თქვენმა ოფიცერმა. იმ ოფიცერმა კიდევ უნდა ისწავლოს. ის უტვინო ყოფილაო, კაი რომ არ მოუკლია ჩემს ბიჭს ისაო. აქედან დეიწყო ჩვენი საუბარი. დედაზე შეგინებაზე ჩვენც ვკლავთ კაცს. მართლა ჩემი ბიძის ძაღლი შესულა სიმინდის ყანაში და ძაღლმა ორი ტოღი სიმინდი შეჭამა, ჭყინტი. იმ მეზობელმაც უთხრა რო შენი ძაღლის დედაო. ეი. მე მაგინე შენაო, ცოცხალია ჩემი ბიძია, ქართველი. მაშინო მზის ჩაძვრომამდინო დაისის დრომდინო შენ უნდა მოგკლაო, ჩემმა ბიძიამ იმას უთხრა. იმანაც უთხრა შენს ტყვიას მე ხელით დევიჭერო, საღამოა ვახშამის დრო ბაბუასთან, მეც იქ ვიყავი, თოფი გავარდა, თოფი არა რა გავარდა არ ვიცით ხმა მოვიდა, ბიძია არ არის სუფრაზე. გავვარდით ყველა. მოუკლია მართლა, ძაღლს შეაგინაო“*

ილიას გარშემო წრეც და კავშირებიც ფართოვდებოდა. ამ პერიოდში ილია კოლხურ კოშკში შეხვდა ცნობილ ქართველ მწერალსა და მოღვაწეს კონსტანტინე გამსახურდიას და გადასცა არალეგალური წიგნები. *„კოლხურ კოშკში მივედი , ღამე მარტო მივედი. იმ ქალმა ყველაფერი ამიხსნა მე. კარს არ აღებდა. გერმანიიდან ხიმშიაშვილი ხარო?. კი ბატონო მეთქი. მიმიღო ვილაპარაკეთ, მივეცი ჩოლოყაშვილის წიგნი. ვიცოდიო, მაგრამ არ მქონდა ესენიო. შენო აუცილებლად ზვიადი უნდა გაიცნოო, იმან მითხრა. იმ მაყვალამ დამაკავშირა, იმ ქალმა ივერიაში ცხოვრობდა და მუშაობდა. გვარი არ მახსოვს. ქალი რომ დღეს დავინახო კიდევ ვიცნობ. შავგვრემანი მაღალი ქალი იყო. მერე ძალიან ბევრი ხალხი გავიცანი, ოთარ გიგინეიშვილმა იცოდა, რომ მე რაღაცა ზე მოვდივარ იქა, ერთჯერ ზე უარი არ მითხრა, როცა დავურეკე იმ წუთას მოწვევა გამომიგ ზავნა და კიდევ თვითონაც მითხრა მე, რომ ამდენი მთელ მსოფლიოსთან კავშირები რომ გვაქვსო შენსავითო არავის ყურადღებას არ ვაქცევთო. ვიცი მეთქი. ვუთხარი. ოთარი მაგარი კაცი იყო ძალიან.“.* კონსტანტინე გამსახურდიას მეშვეობით, ილია დაუახლოვდა ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა ჯგუფს – ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავასა და ზურაბ ჭავჭავაძეს. ეს უკანასკნელი შემდგომში ილიას ნათლია გახდა. მათი სახელები ჯერ კიდევ თურქეთში ცხოვრების დროს იცოდა აჰმედ ოზკან მელაშვილის მეცადინეობით. ილია და ზვიადი წერილების მეშვეობით ინარჩუნებდნენ კონტაქტს, მაგრამ იმის გამო, რომ ამ უკანასკნელს ციხეში ხშირად უწევდა ყოფნა, ძირითადად ზურაბ ჭავჭავაძესთან ჰქონდა ურთიერთობა. შეხვედრების დროს საუბარი ეხებოდა საქართველოს მომავალს, განიხილავდნენ იმ რისკებს, რის წინაშეც დადგებოდა ქვეყანა დამოუკიდებლობის მიღების შემთხვევაში. მსჯელობდნენ სამომავლო პროექტებზე, ერთ-ერთი გახლდათ იარაღის წარმოება, რაც დამოუკიდებელი საქართველოს უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანი იქნებოდა. ნიადაგის მომზადების მიზნით, ეს საქმე

ილიას დაავალეს. ეს უკანასკნელი გერმანიიდან თურქეთში ჩავიდა, შეხვდა თურქეთის ოფიციოზს, თუმცა მას განუცხადეს, რომ, მიუხედავად იმისა, თურქეთი მხარს უჭერდა საქართველოს დამოუკიდებლობას, რუსეთი დიდ ბაზარს წარმოადგენდა მისთვის და საქართველოს გამო რუსეთის წინააღმდეგ წასვლა სარისკო იქნებოდა. ილია დაუკავშირდა გავლენიან ქართველს, რომელსაც თურქეთის ხელისუფლებაში თანამდეობა ეჭირა, კერძოდ, ადილა ათეშ-ცეცხლაძეს და დახმარებასთან დაკავშირებით თანხმობაც მიიღო. *„მწერალთა კავშირში რომ მივდიოდი აღმართზე, რესტორანი იყო, კომუნისტების დროს. რაქვიოდა აღარ მახსოვს. ჩავკეტავდით მე, ზვიადი, ზურა და მერაბი იმ რესტორანს და იმაზე ვფიქრობდით სულ, ამ რუსებს რა ვუშველოთო, მე ვუთხარი ეს რუსები უნდა გამოვიყენოთ, მე მეთქი ძალიან ანტირუსი ვარ, შენც იცი, მეთქი. კი, ვიციო, როგორ არ ვიციო, მართლა ანტირუსი ვარ, რუსული ერთი სიტყვაც არ ვიცი. ამდენი წელიწადში რუსულს ვისწავლიდი, მე ესე უჭკუო არ ვარ. მაგრამ ანტიპატია რომ მაქვს, იმიტომ არ ვისწავლე. ..... შენი იარაღი შენ უნდა გამოუშვა, თავის დროს მე მაშინ შევთავაზე ესა, თანახმა იყო. ბატონი ზვიადი ძალიან ჭკვიანურიო, მეო ოქროს მოგცემო, გავაკეთოთო, საიდან გავაკეთოთ, რუსი არ მოგცემს ამის ტეხნიკას. წავედი თურქეთში. თურქეთმა თქვა, ჩვენო საქართველოს მხარს ვუჭერთო, მაგრამ რუსეთი დიდი ბაზარია ჩვენთვისო, რუსეთის წინააღმდეგაც საქართველოს ვერ დავეხმარებითო. თურქეთის მესამე არმიის სარდალი იყო ერთი ადილა ათეში ცეცხლაძე – იმასთან წაველი. დევეხმაროთო კაცო, რაფერ დევეხმაროთ ახლა. მოდიო თოფი შევიტანოთო, თოფის ტეხნიკას მივაცემინებო, მერე ესენი გადააკეთებენ იარაღ ზეო. დღეს კიდევ ამას ვფიქრობ მე. იმიტომ რომ საქართველომ თავისი იარაღი უნდა გამოუშვას. მტერი შენ კარგ იარაღ არ მოგცემს. მერე იარაღი ფულია....შენ უნდა გამოუშვა შენი. მერე ზარბაზანსაც გამოუშვებ, ავტომატსაც გამოუშვებ, ყველაფერს გამოუშვებ. ეს უნდა გაკეთდეს საქართველოში“.*

ილია, შალვა თევზაძის მსგავსად, ბოლომდე ინარჩუნებდა კავშირებს საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებასთან და მხარს უჭერდა საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს, ზვიად გამსახურდიას. საქართველოსა და შესაბამისად, ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ გაჩაღებული სისხლიანი პუტჩის დროს, ილია ცდილობდა თურქეთსა და გერმანიაში მცხოვრებ თანამემამულეებისათვის მიეწოდებინა სწორი ინფორმაცია და მოეხდინა მათი მობილიზება ეროვნული ხელისუფლების დასაცავად. აღნიშნული მიმართვა 1991 წელს არის დაწერილი.

არ დავჭამოთ ერთმანეთი!

(საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების სურვილი)

ჩვენ იმ ადამიანების შთამომავალნი ვართ, ვინც 100-300 წლის წინ ამა თუ იმ მიზეზთა გამო სამშობლო საქართველოს დაშორდნენ, თუმცა ღირსება არ დაუკარგავთ და საქართველოსთვის უძგერდა გული. ყოველ ნაბიჯზე, ყოველ ამოსუნთქვასა და სიზმარშიც კი საქართველო ჩვენი მთავარი საფიქრალია, რადგან ჩვენი იმედი, წინაპრები და წარსული საქართველოს უკავშირდება, არ გვსურს ტკივილი მივაყენოთ მათ. წინაპრებმა ჩვენ ასეთებად გაგვზარდეს. მშობლიური ენა, აკრძალვების მიუხედავად, ბრძოლით შევინარჩუნეთ. ამ ბრძოლაში დიდ ძალას გვაძლევდა ჩვენი დედასამშობლოს არსებობა. სულ თქვენკენ იყო ჩვენი მზერა მოპყრობილი. თქვენგან მიღებული ინფორმაცია ჩვენ იმედს გვისახავდა გულებში. საქართველოში ჩვენგან ვინმე რომ მიდიოდა, უკან დაბრუნებულს საათობით სულგანაბული ვუსმენდით, რომ გაგვეგო რა ხდებოდა სამშობლოში. წლების განმავლობაში ცდილობდნენ ჩვენს დაშორებას, მაგრამ ჩვენი გულები სულ ერთად ძგერდა. მონა-

ტრებასა და მწუხარებაში გავატარეთ წლები. ყველამ კარგად იცოდეს, რომ ჩვენ ერთმანეთს ვერასდროს მოგვწყვეტენ.

ჩემო ძმებო და დებო!

მე თურქეთში დაბადებული და გაზრდილი ქართველი ვარ. 27 წელია, რაც გერმანიაში ვცხოვრობ. 1990 წელს ვიყავი საქართველოში, 1991 წელსაც თქვენს გვერდით ვიყავი, როგორც ყოველთვის. სურვილები, რომელიც ამ წერილშია გამოთქმული, არა მხოლოდ მე, არამედ საქართველოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ქართველებსაც ეკუთვნის. უამრავ ადამიანს ვესაუბრე და მათი აზრი მოვისმინე. ....

უამრავჯერ ვარ საქართველოში ნამყოფი და უკან დაბრუნებისას გულს თქვენთან ვტოვებდი. 1985 წელს ნანახი საქართველო, 1991 წელს ველარ ვიხილე. დაბინძურებული ქუჩები, ვინ სად რას აკეთებს, კაცმა არ იცის, თბილისიდან ქუთაისამდე ავტობუსით მგზავრობისას განადგურებული ინფრასტრუქტურა ვიხილე. რა თქმა უნდა დადებითიც ვნახე, ახალი დემოკრატიული სახელმწიფო, ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბების მცდელობები. ყველგან საქართველოს სახელმწიფო დროშა ფრიალებს, წარწერები ქართულია. მაგრამ ის, რაც ყველაზე მეტად მტკივა და მაფიქრებს, არის ის, რომ ერთმანეთს ვჭამთ..... ნუთუ გვსურს გავახაროთ ვინც ჩვენს გადაყლაპვას ლამობს? ნუთუ მათ ვაძლევთ ამის შესაძლებლობას? ჩემო ძმები, რა უბედურებაა ეს უპასუხისმგებლობა? აქამდე ხომ გვინდოდა დამოუკიდებლობა და ღირსეულად ცხოვრება? ამისთვის ხომ ვიბრძოლეთ, ავირჩიეთ ზვიად გამსახურდია. მას უპირისპირდებიან დიდი ძალები. მისი ბრძოლა ჩვენი ბრძოლაცაა. მას მხარში თუ არ ამოვუდგებით, ამით ხომ მტრის წისქვილზე დავასხამთ წყალს? დამოუკიდებლობას, ეკონომი-

კას, კულტურას, გარემოს სისუფთავეს, სამართალს, განათლებას, სოფლის მეურნეობასა და ყველა სხვა საკითხს დიდი გულისყური და ეროვნული მიდგომა სჭირდება. დემოკრატია და დამოუკიდებლობა არ ნიშნავს დაარღვიო საგზაო წესები, დემოკრატია ანარქია არაა. დამოუკიდებლობა მოითხოვს მსახურებას. ნუთუ დემოკრატია პოლიციისა და კანონის წინააღმდეგ გამოსვლაა? დემოკრატია არის, როცა შენი თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი. საქართველოში 1991 წლის 16 მარტიდან 6 აპრილამდე გახლდით და სათვალავიც კი ამერია იმდენი ჩხუბის სცენა ვიხილე. ესაა ეროვნული თანხმობა? ჩვენმა მტერმა ძალიან კარგად იცის ჩვენი სისუსტეები. მე ბატონ ზვიადს პირადად არ ვიცნობ,[8] *მაგრამ მჯერა, რომ სასიკეთო საქმეებს გააკეთებს ქვეყნისთვის. გვსურს, რომ საზოგადოებამ მას მხარი დაუჭიროს. საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველებს გვჯერა ამ ხელისუფლების. ამჟამინდელმა ხელისუფლებამ ჩვენს ოცნებას – საქართველოს დამოუკიდებლობას ფრთები შეასხა. გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ამ ხელისუფლებას უნდა დავეხმაროთ. ზვიადს მხარში უნდა ამოვუდგეთ და მივცეთ შანსი. ჩვენი ქმედება თუ ხელისუფლებისთვის სასარგებლო არ იქნება, ამით ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ შავბნელ ძალებს გავუწევთ დახმარებას. კომუნისტები არ გვინდოდა და ამის გამო ბევრი უპასუხისმგებლო ნაბიჯი გადავდგით. ახლა ეს ხელისუფლება რატომ არ გვინდა, კი მაგრამ? განა რამდენი ხანი გავიდა, რომ ვაკრიტიკებთ? უნდა მოვიცადოთ და მივცეთ შესაძლებლობა აკეთონ საქმე. ვამბობთ, რომ სამომხმარებლო ბაზარზე არაფერია, არ იქნება რა თქმა უნდა. რომელ ჩვენგანს შეუძლია თქვას, რომ დღევანდლამდე მას ზედ დაკისრებული ვალდებულება შეას-*

8 მიუხედავად იმისა, რომ ზვიადს იცნობდა, მიმართვაში იძულებული გამხდარა ასე დაეწერა, რათა თანამემამულეებს სუბიექტურობაში არ ჩამოერთვათ.

რულა? უამრავი რამის დაწერა მინდა, მაგრამ, იმედია უახლოეს მომავალში გამოსწორდება ყველაფერი.

გვინდა გადმოგცეთ ჩვენი სურვილები:

1. *გთხოვთ, არ ჩავიდინოთ ისეთი სახის ქმედება, რომელიც დამოუკიდებლობისათვის საზიანოა;*
2. *ხელისუფლებასა და ზვიად გამსახურდიას ყველა სახის დახმარება აღმოვუჩინოთ;*
3. *ყველამ დაასრულოს სამომხმარებლო ბაზრის თემით აპელირება და ნუ ვუწამლავთ ხალხს ცხოვრებას;*
4. *განუკითხაობა და ტერორი არ დავუშვათ;*
5. *გამოვიჩინოთ ყურადღება გარემოსადმი და დავიცვათ ბუნება;*
6. *სკოლებსა და უნივერსიტეტებში განათლებას მნიშვნელობა მივანიჭოთ, რადგან განათლებული ადამიანები გვჭირდება;*
7. *იმის გათვალისწინებით, რომ ქვემოაღნიშნული წარმოადგენს ეროვნულ სიმდიდრეს, ეკონომიურად უნდა იქნას გახარჯული ყველა ტიპის საერთო მოხმარების პროდუქტი, მათ შორის წყალი, ელექტროენერგია და მსგავსი. ვინც ამას სათანადო მნიშვნელობას არ მიანიჭებს, უნდა მიეცეს გაფრთხილება;*
8. *მშვიდობის დასამყარებლად ქართველებს შორის ერთობა ვუზრუნველვყოთ;*
9. *ჯგუფებად დაყოფასა და შიდადაპირისპირებას წერტილი დავუსვათ;*
10. *მშვიდობისა და სამართლის დამყარებაში ჩვენი წვლილი შევიტანოთ;*

11. იმისათვის, რომ ყველა სახის სახელმწიფო სამსახურის მუშაობა უფრო იოლად წარიმართოს, ყველა ქართველმა მასზედ დაკისრებული ვალდებულება უნდა შეასრულოს, რათა სახელმწიფოს მიმართ ნდობა გაიზარდოს;

12. რუსიფიკაციის პოლიტიკის თავიდან მოსაშორებლად უფრო მკაცრი ზომები მივიღოთ;

13. ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ყველა არაქართველი მშვიდობიან თანაცხოვრებაში დავარწმუნოთ;

14. ყველამ თავისი ვალდებულება ზედმიწევნით აღასრულოს.....

ვიცით, რომ ჩვენი სურვილები და თხოვნები ადვილი შესასრულებელი არ იქნება, არ არის ადვილი ორასწლიანი უღელი ასე უცბად მოიშორო, მაგრამ იცოდეთ, რომ ამას შევძლებთ. გთხოვთ, ჩვენი თხოვნა ყურად იღოთ. ღვთის გულისათვის ერთმანეთს ნუ ვჭამთ, მხარი მხარს მივცეთ და ცუდი დღეები უკან მოვიტოვოთ. უფალი ამ გზაზე მავალთ ხელს მოუმართავს. საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველებს უკვე აღარ დაგვრჩა მოთმინების უნარი, კიდე 200–300 წელი ვეღარ მოვითმენთ. თქვენი ერთობა ჩვენს სიძლიერეს შეუწყობს ხელს, ხოლო თქვენი წარუმატებლობა მომენტალურად აისახება ჩვენზე. ნუ დაგავიწყდებათ, დამოუკიდებლობა და ეროვნული ერთობა თავის არსში გამორიცხავს ახირებებს. გისურვებთ წარმატებებს. უფალმა მოგვცეს ძალა.

საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეთა სახელით:

ილია ხიმშიაშვილი

ოთარ გიგინეიშვილისა და ილიას შეხვედრის ადგილი არა მხოლოდ საბჭოთა საქართველო, არამედ ქართველი ემიგრანტების ევროპული სავანე – საფრანგეთიც გახლდათ. სწორედ აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს „ევროპისა (ფრანგული) და აღმოსავლეთის (თურქეთი) ემიგრაცია“, მათ კავშირს კი სწორედ ოთარ გიგინეიშვილი კურირებდა. *„გიგინეიშვილმა პარიზში ვარო, შეგიძლია ჩამოხვიდეო, კი ბატონოო მეთქი, როგორ არა. მე წავედი ექიმიდან ცნობა ავიღე ერთი კვირის, წაველი, შევხვდი, იმ ქართულ საზოგადოებაში, ცენტრში, ოქროს კუთხე[9] ქვიოდა იმ რესტორანს. ჩაკეტეს ისა, ფაფახით, ჩოხით შამოვიდა ვიქტორ ხომერიკი. ახლაო, გიგინეიშვილმა აიო, თურქეთიდანაცო აგერ ქართველი ილია ხიმშიაშვილი, იმანაც თავისი აზრი თქვასო. მე ხომ ტურისტი ვარ, ავდექი, მე ვუთხარი თურქეთის ქართველების აზრი თუ გინდათ მეთქი, თავისუფალი საქართველოს გვერდზე ვართ ჩვენა მეთქი. მონა საქართველო არ გვინდა მეთქი. აი ამაზე დავიწყე ლაპარაკი. ვიქტორ ხომერიკის გვერდზე ვიყავი, გადამკოცნა. ირანიდან ჩამოიყვანეთ ისინიც ამას იტყვიანო, იმან თქვა. მოკლედ იქ მე კარგად გავუბერე ნახევარ საათზე მეტი. გიგინეიშვილმა თავი ჩაღუნა. სასტუმროში რომ მიველით, კიბის ქვეშ გამწია და გადამკოცნა. იყენებდა კომუნისტებს მაგრად. წარმოიდგინე მე დავრეკავდი გიგინეიშვილთან–ბატონო ოთარ მომენატრეთ ძალიან. იმ წუთას წკაპ, მოვიდოდა მოწვევა, ოფიციალური მოწვევა. მერე საბჭოთა კავშირის საზღვარზე რომ შევიდოდი, მთელ ხარჯებს ისინი იხდიდნენ. გოქსი. აქედან ბავშვები მიმყავდა, შევყარე ქართველები.“.*

ილიას შვილი ნინო (სევიმ) ხიმშიაშვილი და სხვა უამრა-

9 საუბარია პარიზის ქართული ემიგრაციის თავშეყრის ადგილზე „Toison D`or~ (ოქროს საწმისი), აღნიშნულ რესტორანს ხშირად სტუმრობდა შვედეთში მოღვაწე ცნობილი თურქეთელი ქართველი შალვა თევზაძეც.

ვი თურქეთელი ქართველი, ბავშვობაში ხშირად სტუმრობდა საქართველოს. აღნიშნული პროექტი ხორციელდებოდა ილია ხიმშიაშვილის მიერ ჰაიდელბერგში დაფუძნებული ქართულ-გერმანული საზოგადოების ეგიდით. მხარდამჭერი და დამფინანსებელი გახლდათ „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება“. ბავშვებს ბანაკებში ანაწილებდნენ, ასწავლიდნენ ქართულად წერა-კითხვას, უტარებდნენ ექსკურსიებს საქართველოს მაშტაბით, ცდილობდნენ მათში გაეღვივებინათ „მემლექეთისადმი“ სიყვარული. ძალიან საინტერესო ამბავს იგონებს ილია: *„ერთ დღეს წყნეთში ვართ. ყოველ დღეს იმათთან მივდიოდით. ის ბავშვები, ბანაკებში იყვნენ. ნინოსთან ერთად. ნინომ პასპორტი დააგდო არ წევიდა აქედანო. ბიჭო, მე იმ პერიოდში თურქეთში ვერ მივდიოდი, დედას ვერ ვნახულობ, ახლა ამან პასპორტი რაფერ უნდა დაკარგოს, დაკარგვა არა, ჩაუგდია თვითონ, გადააგდო ლიასთან*[10] *ერთად. იმაზე გავბრაზდი იმიტომ, რომ ჩემი დაღუპვა იყო ესა. პასპორტიანად წევიდე თურქების საკონსულოში, უნდა გავგზავნო მოსკოვში, მე იქ დევნილი კაცი ვარ. დამღუპა, სუფთა დაღუპვაა ესა. წეველი არც მეუბნებიან რო პასპორტს ეს მოხდაო. თურმე ლიას წაუყვანია გორში, გორში დააგდო ამან პასპორტი, მაგრამ ერთი მუცლის ტკივილი აქვთ, მაგრამ რა აქვთ არ ვიცი. იმას ნინოს ფეხებზე კიდია. მაშინ 12 წლის იყო. მოკლედ ერთ რუსს უპოვნია ეს პასპორტი. თურმე ქაღალდზე იყო ჩვენი ვიზა დამატებითი. პასპორტში არ არტყავდნენ ბეჭედს–ნამგალ და ჩაქუჩს. ხოდა იქ წაუკითხია, ოთართან მოსულა ეს პასპორტი. ოთარის სეიფში იყო. მე დაკარგულია არ ვიცი, მაგრამ რამე პრობლემა აქვთ, გართულებებია ეს ვიცი, მივხვდი უკვე. ლია ძალიან ჩუმადაა, იმ გოგოს*

10 პროფესორი, თურქოლოგი ლია ჩლაიძე, რომელიც ილია ხიმშიაშვილისა და აჰმედ მელაშვილის ოჯახის უახლოესი მეგობარი იყო.

უხარია ძალიან. პასპორტი დაკარგა, აღარ უნდა წევიდეს საქართველოდან. მოკლედ იმ დღეს ინსტიტუტში მოვიდენ, მოგვესალმნენ. ოთარმა უთხრა ქალბატონო ლიაო რამე გჭირდებათო. არაფერი არაო ბატონოო. იმასაც ეშინიან, ლიას. რამე გაკლიათ თქვენაო. დაფიქრდით აბაო. რამე დაკარგული გაქვთო. არაფერი არა ბატონოო. გაეცინა. მერე სეიფი გახსნა. ეს რა არისო. მე აზრზე არ ვარ. ოთარი ძალიან დიდი კაცი იყო. მე მაგალითად დღეს რაც ვისწავლე საქართველოზე, საქართველოში წასვლა-მოსვლა, ყველაფერი ოთარის საქმეა. ოთარმა გააკეთა ესა.“

90-იან წლებში საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დამხობასა და პუჩისტური რეჟიმის დამყარებას თან დაერთო უამრავი სოციალური, ფინანსური და ტერიტორიული პრობლემა. მათ დაძლევაში თურქეთელ ქართველებს თავიანთი წვლილი შეჰქონდათ. მაშინ, როცა საქართველოს ეკონომიკა განადგურებული იყო, მოსახლეობა შიმშილის ზღვარზე იდგა, ხოლო ქვეყანა იძარცვებოდა შიდა და გარე მტრების მიერ, ილია ხიმშიაშვილმა თავის თანამოაზრეებთან ერთად გადაწყვიტა დახმარება გაეწია საქართველოსთვის და თურქეთს გამოაყოფინა დაახლოებით 50. 000 ტონა ხორბალი. თუმცა დასანანია, რომ თურქეთის მიერ დახმარების მიზნით გამოყოფილი პირველი ხარისხის ხორბალი, თავად საქართველოს წარმომადგენელთა მავნებლური პოლიტიკის შედეგად, გაყიდული იქნა და ყოვლად უსარგებლო, ჯანმრთელობისათვის საზიანო ხორბალი შემოიტანეს. მოსახლეობაში კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ, თითქოს, თურქეთმა საქართველოს ვადაგასული ხორბალი გამოუგზავნა. *„მაშინ ომი დაწყებული იყო,...მართლა დიდი გაჭირვება ყოფილა. მე გავგ ზავნე მაშინ. არ ვამბობ ამას. ტრაბახიც არ მიყვარს. ის თურქეთმა რო 50, 000 ტონა ფქვილი გამოგ ზავნა, უფულოდ გამოგ ზავნა. ის მე გავაკეთე. ელჩთან ვიყავი. თურქეთის ელჩთან. პირდაპირ ჩემთან დარეკა. თანსუ*

ჩილერი იყო მაშინ. მითხრეს რომ 30, 000 ტონა დავპირდეთო, მე ვუთხარი ამდენ მილიონობით ქართველ მოქალაქეობიდან გელაპარაკე მეთქი, სირცხვილია თურქეთს მეთქი, 50, 000 გავაკეთოთ მეთქი. 20,000 ტონა მეტი. ახლაო პრემიერი ქალბატონი მელოდებაო, ვკითხოო და დავპირდეთო, ჯერ არ თქვაო არაფერიო. წევიდა და სიცილით გამოვიდაო-კი ბატონოო. 50, 000 გავხადეთო. ეს პირველი ხარისხიანი ხორბალი დეიტვირთა „თეკილ დაღდან". თურქებმა უთხრეს ჩვენი გემით ჩამოგიტანთო, -არაო, ბერძნების გემი დეიქირავეს ქართველებმა. ამათმა თქვეს ჩვენ ეს ხორბალი უნდა გავყიდოთო, კარაქი უნდა ჩევიტანოთ ნაწილიცო. ზვიადის მერე შევარდნაძის დროა. ზვიადის დროს ეს არ გაკეთდებოდა. ზვიადი რომ ყოფილიყო მე აქედან პირდაპირ დავურეკავდი, ვეტყოდი, ბატონო პრეზიდენტო ასე ასე მოხდა და საქმის კურსში იყავით. წეიღეს, ბერძნების გემი დეიქირავეს, გაყიდეს პირველხარისხიანი ხორბალი 50, 000 ტონა, იყიდეს მე-3 ხარისხი მე-4 ხარისხი, ჩეიდეს ფული ჯიბეში. ანზორი იყო ბურჯანაძე, არ ევასებოდა ჩემი თავი. ბატონო ამ ელჩმაო სად მიგვიღო იციო–ვიცი მეთქი, ჩემი ძმაკაცია მეთქი. პრეზიდენტები რომ მიიღოო, იმ ადგილას მიგიღო. გაყიდეს ხორბალი, მე-3 ხარისხი იყიდენ, ჩაიდეს ფული ჯიბეში, საქართველოში ჩევედი მერე იმის შემდეგ ერთი ორი წლის მერე და საქართველოში გავრცელებულია სიტყვა, რომ თურქებმა ნაგავი გამოგვიგ ზავნესო. მოკლედ თურქეთის ელჩი შემხვდა შემთხვევით, მიცნობდა ის კაცი-ასე, ასე რამე რომ მოხდაო, ჩვენ ვურეკავ მთავრობასო. მე საიდანაც დეიტვირთა იქიდან ვიცი, საიდან უნდა ვიცოდე „თეკილ დაღი" ოფისი ქვია ამას. იქიდანო, სახელმწიფოს მარაგიდანო აქედან რა ჩამეიტანეს ამ ქართველებმაო. რა ვქნაო ახლაო, მივედი ანზორასთან. თურქეთის წითელმა ჯვარმაო...რაის წითელი ჯვარი მეთქი ელჩს რომ ვუთხარი მეორეჯერ რომ შევგ ზავნე ის ელჩი მეთქი დარბაზში რომ მიგვიღო, როგორ არ მახსოვსო-წითელმა ჯვარმაო. წითელი არ არის მეთქი, წითელი ჯვარი ამდენ არ

გამოგვიგ ზავნის. ვერ გამოგვიგ ზავნის. ახლა მე ეს რომ ვილაპარაკო, იტყვიან ილია ტყუილობსო. არ მიჯერებენ. მოიპარეს, მოპარული ფულებია“.

1993 წლის 16 დეკემბერს ილიამ წერილი გამოუგზავნა საქართველოს ცეკავშირის თავმჯდომარის მოადგილეს ავთანდილ კეთილაძეს, რომელშიც გამოთქვამს სურვილს, როგორც გერმანიაში მცხოვრები ქართველი, ჰუმანიტარული დახმარება (პროდუქტები, ტანსაცმელი, მედიკამენტები, სრული რაოდენობა 1 500 კილოგრამი) აღმოუჩინოს ლტოლვილებს, დაობლებულ ბავშვებსა და გაჭირვებულ მოსახლეობას.

90-იან წლებში საქართველოს დახმარების მიზნით ილია ხიმშიაშვილს მსგავსი ინიციატივები მრავლად ჰქონდა, სამწუხაროდ, მის განხორციელებას ყოველთვის წინ ელობებოდა ქვეყნის შიგნით, მისი განვითარების წინააღმდეგ მიმართული ძალები. ასეთი ინიციატივა გახლდათ გერმანელი მეცნიერის დახმარებით, ბორჯომში წყლის გაწმენდასთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარება და ასევე საქართველოს დროშიანი მანქანის ნომრის გამოშვება, *„ტელევიზორში ვუსმენდი, რომ ბორჯომში ამება გამოჩენილა წყლებში, რიხტერიც ჩემთან არის, რომელიც ჟანგბადს უშვებს. ვუთხარი კაცო ეს ამება წყლებში როგორ შეიძლება, სირცხვილია მეთქი. გავაკეთოთ სპონტან. მოკლედ ეს გავაკეთეთ. ჩვენ ჟანგბადის წარმოება, ორი ქვაბი, მასალა უნდა იმას ტექნიკაც შევიტანეთ. რა გამოჩნდა ამის წინააღმდეგ იცი? ხლორის მაფია. ხლორს თურმე ყიდულობენ სომხეთიდან. კაცის ორი მანქანა დაწვეს. ეს დაბეჭდილია იმაში „ჩვენ“ ქვიოდა. ერთი კრებული იყო ორი გვერდი ჩემზე დაწერილია, ხლორი არ გააუქმოსო. ხლორი კიბოს აჩენს. ეს კი ბუნებრივი ჟანგბადია“.*

„ეს თქვენი ნომრები რომ არის ახალი ისიც მე გავაკეთე. მანქანის ნომრები ქართული ეს მე გავაკეთე. აქ მე არ მომეწერა

ხელი 25 000 დოლარზე, არ კეთდებოდა ეს საქმე. ამ საქმეში იყვნენ გაჩეჩილაძე და დათო ჩიქოვანი. მერე გადამაგდეს. ახლა თვეში 273 ევრო პლიუს 90 ევრო ვიხდი იმათთვის ვიხდი. ორი წელიწადი კიდევ მაქვს ვალი არაფრისთვის. მე ვაჭარი არ ვარ, მაგრამ ილია ჭავჭავაძე რომ მაგალითი მყავს. ყველაფერში საქართველოს რამეში დავეხმარო მეთქი, ვაჭრობაც დევიწყე. ნომრებში მე ვუთხარი, რო ჩაწერილი მაქვს იმისი საბუთიც მაქვს. ათ დოლარზე მეტად არ უნდა გეიყიდოს ნომერი. ნანახი მაქ 200 დოლარად ნაყიდი ნომერი იქ მაშინ. ფული გააკეთეს ამაში და კიდევ ის დროშა თავიდან ნომერის გვერდზე დროშა იყო ისიც პირველი ხაზი იყო ჩემი, რომ დროშა გაკეთდეს.“.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ **„უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება“** აქტიურად თანამშრომლობდა ილია ხიმშიაშვილთან, რაზეც მეტყველებს ქვემოთ მოყვანილი წერილები. რომლებშიც კარგად ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ილია გერმანიაში. წერილები ძირითადად 80-90-იან წლებს მიეკუთვნება. ავტორები კი გახლავთ: ო. გიგინეიშვილი, გ. გალოგრე, ვ. მაჭავარიანი, ნ. გოგუციძე, ნ. ქარსიძე, გ. აბაშმაძე, თ. აბრამიშვილი, ა. გოცირიძე.

ბატონო ილია!

თქვენი წერილი მივიღეთ, სადაც გვთხოვდით, რომ დავხმარებოდით გერმანელ პროფესორს დიშს. რომელსაც თქვენ იცნობთ. მისი წერილი ჩვენთან მოვიდა ფოსტით. თვითონ არ შემოსულა. დავუწყეთ ძებნა, მაგრამ ვერსად ვერ აღმოვაჩინეთ. თქვეს, რომ აქ იყო ერთი თუ ორი ჯგუფი გერმანელებისა, მაგრამ მათი შემადგენლობა არავინ იცოდა. ისე, რომ არც ვარ დარწმუნებული, რომ იყო თბილისში. ასეთ შემთხვევაში უნდა გააფრთხილოთ თქვენი ნაცნობები, რომ პირადად შემოიარონ ჩვენთან ან დაგვირეკონ და გვითხრან, თუ რომელ სასტუმრო-

ში არიან, რომ მივაკითხოთ და დავეხმაროთ ყველაფერში, რაც მათ სურთ. ძალიან გვწყინს, რომ წელს არ ჩამოდიხართ. ლიამ თითქმის იტირა, როდესაც გაიგო, რომ ნინო არ ჩამოდის. მაგრამ იმედი მაქვს, რომ, როგორც თქვენ იწერებით, დეკემბერში ნინოსთან ერთად გვეწვევით. ძალიან გაგვეხარდება ჩვენ ყველას. თქვენ კარგად იცით თუ როგორ გვიყვარხართ და როგორ გცემთ პატივს. რაც შეეხება ვიზების გამოგზავნის საქმეს, ვიზებისათვის საჭიროა ვიცოდეთ ჩამომსვლელის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი და იმავე დროს უნდა იყოს თქვენი ჰაიდელბერგის საზოგადოების რეკომენდაცია. რამდენადაც ამ საზოგადოების სათავეში დგახართ თქვენ და ვახტანგი, უკვე თვითონ აწონ-დაწონეთ. მხოლოდ ჩამომსვლელები არ უნდა იყვნენ ისეთები, რომლებსაც თურქეთის პოლიცია ეძებს და იმალებიან. ვინაიდან ეს ართულებს დიპლომატიურ ურთიერთობას ჩვენსა და თურქეთს შორის.

საზოგადოების უფროსი რეფერენტი: ნოდარ გუგუციძე

დიდად პატივცემულო ბატონო ილია!

მოგესალმებით საქართველოდან და გისურვებთ ბედნიერებას და ყოველივე კარგს.

თქვენი ნათესავების საბუთები გავაგზავნეთ უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხავად, რათა სექტემბრიდან შეუდგნენ მეცადინეობას. პირველი წელიწადი დასჭირდებათ ქართული ენის შესასწავლად, რომ შემდეგ თავისუფლად მოისმინონ ლექციები. დარწმუნებულნი ვართ, რომ სწავლას ბეჯითად მოჰკიდებენ ხელს და კარგი სპეციალისტები გამოვლენ.

ახლოვდება ზაფხული, ჩვენ მიმდინარე წელს განზრახული გვაქვს მოვიწვიოთ ბავშვები საქართველოში არდადეგების გასატარებლად. გვინდა, რომ ჩამოვიდეს თქვენი ქალიშვილი,

რომელიც ახლა უკვე კარგად ლაპარაკობს ქართულს. გვინდა, რომ ჩამოვიდნენ ელგუჯა და ხათუნა. რამდენადაც ვიცი, ისინი ამჟამად გერმანიაში ცხოვრობენ და ჩვენი თხოვნა იქნება თქვენდამი, რომ სასწრაფოდ დაუკავშირდეთ მათ მშობლებს და შეგვატყობინოთ შეძლებენ თუ არა ბავშვები ჩამოსვლას. ამის გარდა ჩვენი დაბეჯითებითი თხოვნაა, რომ შეაგროვოთ ათამდე ქართველი ბავშვი საქართველოში არდადეგების გასატარებლად. ბავშვების გამოგზავნა მშობლებს ძვირი რომ არ დაუჯდეთ, მათ ჩვენი წარმომადგენელი დაუხვდება. აქედან ჩვენ ავუღებთ მათ ბილეთებს. ყოველ 5 ბავშვს შეიძლება ჩამოჰყვეს ერთი გამცილებელი. ბავშვების ჩამოყვანას ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, ვინაიდან ბავშვები ადვილად სწავლობენ ენას და ბავშვობაში გატარებული ადგილების ხსოვნა, მათ მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვებათ, რაც მთავარია, ეყვარებათ საქართველო. ამიტომ ამ საქმისათვის ნუ დაიშურებთ დროს და ნუ დაიზარებთ . ძალიან გთხოვთ, სასწრაფოდ მოგვწეროთ შესაძლებელი იქნება თუ არა მიმდინარე წელს ბავშვების ჩამოყვანა.

მომიკითხეთ ყველა თქვენი ახლობელი. აგრეთვე თქვენი ამხანაგები, რომლებიც თქვენთან ერთად იყვნენ ლუქსემბურგში.

კიდევ ერთხელ მიიღეთ ჩემგან კეთილი სურვილები.

პატივისცემით,
ო. გიგინეიშვილი

ილია!

გიგზავნით ჩვენი საზოგადოების მიერ გამოცემულ კალენდარს „ქართული ეროვნული სპორტი“. გამოგზავნილი კალენდრების რაოდენობა არის 250 ცალი. ილია, ეს კალენდრები დაარიგეთ თანამემამულეებს შორის.

გისურვებთ, ჩემო ილია, კარგად ყოფნას.

პატივისცემით, ნუგზარ ქარსიძე

ილია!

უპირველეს ყოვლისა ილია გისურვებ ჯანმრთელობას და ბედნირად ყოფნას შენ და მთელი შენი ოჯახის შემადგენლობით. აქეთ ახალი არაფერია. ყველანი კარგად ვართ საზოგადოებაში, გითვლიან დიდ მოკითხვას. შენ როგორ ხარ? როგორია შენი ჯანმრთელობა? სკოლაში როგორ მიდის საქმეები? იმედია ყველაფერი კარგად იქნება. ილია, მოგვწერე რა გეგმები გაქვს წელს? თუ აპირებ საქართველოში ჩამოსვლას? რომელ თვეში გინდა? წელს თუ მოხერხდება, რამოდენიმე ბავშვი წამოიყვანე საქართველოში. წამოსვლას თუ დააპირებ, უნდა წამოხვიდეთ მატარებლით. ილია, ჩვენი საზოგადოების თხოვნა როგორ არის პროფესორ კურტ შპრენგელის სურათის გამოგზავნაზე. გისურვებ, ილია ყოველივე კარგს და სიკეთეს.

მოკითხვა ბატონ ვახტანგს

პატივისცემით, ნუგზარ ქარსიძე

პატივცემულო ილია!

როგორც წინა წერილში გწერდათ გურამი, სასურველია თქვენი ჩამოსვლა ივლისის თვეში, თქვენთვის და ნინოსთვის ვიზები უკვე გამოვაგზავნეთ. ერთ კვირაში შეგიძლიათ მიაკითხოთ საელჩოს და დროულად გამოემგზავროთ. რაც შეეხება წამალს, იგი უკვე საჭირო აღარ არის, ვინაიდან ბავშვი გარდაიცვალა.

გულითადი სალამი გადაეცით თქვენ მეუღლეს.

გელით საქართველოში.

გულიკო აბაშმაძე

პატივცემულო ბატონო ილია!

უპირველეს ყოვლისა მოგესალმებით და გისურვებთ ყოველივე კარგს. ხშირად გიგონებთ, თქვენი ნინო აქ ყველას ძალიან უყვარს. გვენატრება მისი ნახვა, დარწმუნებული ვარ, რომ ზაფხულში არდედეგებზე კვლავ გვეწვევა. იმედი გვაქვს აგრეთვე ჩვენთან არდედეგებზე თქვენი დახმარებით ჩამოვლენ სხვა ქართველი ბავშვებიც.

როგორც გავიგეთ აჰმედ მელაშვილის ოჯახი ამჟამად სტამბოლში ცხოვრობს. იბერია ჭრილობებიდან გამოკეთებულა, მაგრამ ალბათ მაინც ესაჭიროება მკურნალობა და დასვენება, რაც თურქეთში ძალიან ძვირია. ამიტომ კარგი იქნება თუ ის თავის დასთან ან დედასთან ერთად ჩამოვა საქართველოში სამკურნალოდ და დასასვენებლად. თუ სურთ, ჩამოვიდნენ სამივენი ერთად. ჩვენ გავაკეთებთ მათთვის ყველაფერს, რაც კი შესაძლებელია, რომ გამოიკეთოს ჯანმრთელობა. ამიტომ გთხოვ, თუ საშუალება გაქვს, სასწრაფოდ დაუკავშირდეთ მელაშვილებს სტამბოლში და გადასცეთ ჩვენი წინადადება. ჩამოსვლა შეუძლიათ, როდესაც მოისურვებენ მთელი 1981 წლის განმავლობაში, მაგრამ ამჟამად უნდა გვქონდეს მათგან პასუხი, ჩამოვლენ თუ არა და რომელ თვეში. კარგი იქნება აგრეთვე თუ შეგვატყობინებენ რა სახის მკურნალობა ესაჭიროება იბერიას, რომ წინასწარ შევურჩიოთ შესაფერისი სამკურნალო ადგილი. აქ მას თავზე დავაყენებთ ჩვენ საუკეთესო ექიმებს და ზრუნვასა და ყურადღებას არ დავაკლებთ. რამდენადაც ვიცით მელაშვილების მისამართია:

Gözcü baba camii karşısı N-14
Hamle Apartman daire 12 göztepe
İstanbul

გულიკო აბაშმაძე

ძმაო ილია!

უპირველეს ყოვლისა გისურვებ ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას, როგორც შენ, ასევე შენს ოჯახობას. ილია ცოტა შეგვაგვიანდა შენთვის წერილის მოწერა, ამისათვის ალბათ ძალიან არ გაგვინაწყენდები. ჩემო ილია, შენი ნათესავის იაქუთ-გურამ ხიმშიაშვილის ჩამოყვანის ამბავი შემდეგშია. მისი ჩამოყვანა, ესე იგი ვიზის გამოგზავნა ჩვენ შეგვიძლია აპრილი-მაისი-ივნისის თვეების განმავლობაში. ამისათის საჭიროა ილია ზუსტად ვიცოდეთ შესძლებს თუ არა ამ დროისთის ის ჩამოსვლას? მისი ზუსტი მისამართი, გვარი, სახელი , წლოვანება, დაბადების ადგილი. ეს ყველაფერი შენ უნდა მოიწერო, როგორც კი ამ წერილს მიიღებ. მოგვწერე ილია აგრეთვე რომელ ქალაქში გაუგზავნოთ ვიზა, ავსტრიაში?

ძმაო ილია, ეხლა გადავიდეთ მეორე საკითხზე. ეს არის ამ წელს საქართველოში ბავშვების ჩამოყვანა. უკვე რამდენიმე წელია ლაპარაკია ბავშვების საქართველოში ჩამოყვანაზე, მაგრამ ჯერჯერობით ეს ამბავი ვერ მოხერხდა. როგორ იქნება ეს საქმე ჩემო ილია ამ წელს? შენს წერილებში ჩანს, რომ უკვე შეგიგროვებია ბავშვები და აპირებ ამ წელს მაინც რომ ჩამოიყვანო. როგორც მოგეხსენება, ილია, აქ წინასწარ უნდა მოვაგვაროთ მათი მოწყობა ბანაკში, ქართული ენის სწავლება და სხვა ორგანიზაციული საკითხები. ამისათვის საჭიროა ჩემო ილია მოგვწერო ყველა ბავშვის ასაკი, გვარი, სახელი და ზუსტი მისამართი, რათა ვიზები წინასწარ მოვამზადოთ, მერე შეიძლება გვიან იყოს.

ილია, როგორ არის ნინოს საქმე?დრო დადგა მე მგონი მანუჩარის აქ ჩამოყვანისა? ძმაო ილია, შენ თვითონ როდის შეძლებ აქ ჩამოსვლას? ალბათ შენ ჩამოყვები ბავშვებს?

გადავიდეთ მესამე საკითხზე, შარშან ჩვენთან ჩამოსული

იყო ჰუსეინ ილმაზი. ეს ახალგაზრდა აქ ყველას მოეწონა და კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ვსარგებლობ შემთხვევით და გთხოვ ილია მას ჩემგან დიდი მოკითხვა გადასცე. მან აქ ყოფნისას გამოთქვა სურვილი ამ 1983 წელსაც ჩამოვიდეს საქართველოში და ჩამოიყვანოს რამდენიმე თავისი მეგობარი. კარგი იქნება, თუ შეგვატყობინებთ რა აქვს მას გადაწყვეტილი? თუ უნდა ამ წელს ჩამოსვლა ამხანაგებთან ერთად ?თუ უნდა მაშინ ეხლავე მოგვწეროს წერილი, ვიზებს მისთვის მოვამზადებთ აგვისტოს თვისათვის. სხვა შენ როგორ ხარ ჩემო ილია? რა არის ახალი შენსკენ?როგორ არის ბატონი ვახტანგი, მან ცოტა შეგვაშინა თავისი ტელეგრამით, იმედია ეხლა ჯანმრთელად არის.

ველი პასუხს ჩემო ძმაო ილია, გისურვებ ყოველივე კარგს.

პატივისცემით შენი ძმა ნუგზარ ქარსიძე

პატივცემულო ილია!

უპირველეს ყოვლისა გისურვებთ ჩემო ილია ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას, როგორც შენ ასევე შენი ოჯახის ყველა წევრებს. მივიღეთ შენი გამოგზავნილი წერილი, საიდანაც შევიტყვეთ ახალი ამბები. საწყენია ის რომ ერთი სკოლიდან წამოსულხარ, მაგრამ ეგ არაფერი, მთავარია ის არის რომ შენ იყო შენ ოჯახთან ერთად. ალბათ ბატონი ვახტანგ სუდაძე უკვე კარგად იქნება. ილია შენი თხოვნა შესრულებულია, რამდენიმე დღის წინ გამოგიგზავნეთ ყველა შენი შერჩეული ფერადი სურათები, იმედია იმ წერილზე ადრე ამ სურათებს მიიღებ. ილია საზოგადოებას აქვს ერთი თხოვნა, თუ შეგიძლია გვიშოვო და გამოგვიგზავნო ერთი კაცის სურათი. ეს კაცი იყო კურტ იოხიმ შპრენგელი, ბოტანიკი, ისტორიკოსი, მედიკი. მოღვაწეობდა გერმანიაში. მისი მონაცემებია 1766-1833 წელი. მისი სურათი

გვჭირდება წიგნისთვის. თუ შესაძლებელი იქნება გვიშოვე და გამოგვიგ ზავნე.

გისურვებთ ყოველივე კარგს ჩემო ილია. შენს თხოვნებს გავითვალისწინებთ ზოგიერთი ადამიანების მიმართ.

პატივისცემით, ნ. ქარსიძე

ილია!

გისურვებ როგორც შენ, ასევე შენ ოჯახს ჯანმრთელობას და ბედნიერებას. რამდენიმე დღის წინ მივიღეთ შენი გამოგ ზავნილი წერილი, სადაც იწერები, რომ შენ გადაწყვეტილი გქონია გამოფენის გაკეთება ქ. ჰაიდელბერგში. ამ ამბავმა ძალიან გაგვახარა ჩემო ილია, ასეთი სასიხარულო ამბები ბევრი და ხშირი ყოფილიყოს ჩვენთვის-ქართველებისათვის.

ერთი კვირის წინ მე გამოგიგ ზავნე გერმანული , ინგლისური, ფრანგული წიგნები საქართველოს შესახებ. ეს წიგნები გამოფენისთვის გამოგადგება ჩემო ილია. გამოგიგ ზავნე აგრეთვე ქართული ილუსტრირებული წიგნები: ლ. გუდიაშვილი, ბაღდავაძე, „ ვეფხისტყაოსანი“, საბჭოთა საქართველო და სხვა. ერთ, ორ დღეში კი გამოვგ ზავნით ფერად , დიდ სურათებს საქართველოს შესახებ. გისურვებ ჩემო ილია წარმატებას გამოფენის დროს.

ილია ველით წერილს, სადაც შეგვატყობინებ იმ ხალხთა გვარებს, რომლებიც აპირებენ ამ ზაფხულს საქართველოში ჩამოსვლას. იმედია მალე ვინახულებთ ერთმანეთს. კიდევ ერთხელ გისურვებ ჩემო ილია კარგად ყოფნას.

პატივისცემით, ნუგ ზარ ქარსიძე

სალამი და გამარჯვება ილია ხიმშიაშვილს!

მივიღე შენი გამოგ ზავნილი წერილი, ძალიან გაგვეხარდა რომ ოპერაციამ კარგად ჩაიარა და ახლა უკეთესად გრძნობ თავს. შენთვის მოსაწვევი გამოგ ზავნილია და შეგიძლია მიაკითხო. რაც შეეხება იმას, შენ რომ იწერები იმ კაცის ჩამოსვლისა და სხვა დანარჩენთა საკითხს, როცა ჩამოხვალ მაშინ მოვილაპარაკოთ. წინასწარ გაგვაგებინე როდის იქნები მოსკოვში. მომიკითხე ცოლ-შვილი, ჩამიკოცნე პატარა ნინიკო. გადაეცი მოკითხვა ვახტანგის და მის ოჯახს, ექვთიმეს თავის მეუღლით. შეეცადე ყველაფერი შეასრულო რაც წინა წერილებში გთხოვეთ, აუცილებლად წამოიღე ხმის რეგულატორი. მოგიკითხეს ჩვენმა თანამშრომლებმა და შენმა ნაცნობმა ბიჭებმა.

ველი პასუხს,

გურამ გალოგრე

სალამი ილია!

მივიღე შენი მისალოცი ბარათი, რისთვისაც დიდ მადლობას მოგახსენებ. მადლობას გიხდიან აგრეთვე გულიკო და გურამი. გურამიმ წერილი გამოგიგ ზავნა ალბათ მიიღებდი პასუხი რაც შეიძლება ჩქარა გამოაგ ზავნე. ნინოკო და შენი მეუღლე როგორ არიან, ნინიკო სწავლობს თუ არა ქართულს. ალბათ უკვე დიდი გაი ზარდა. ჩვენ რომ სურათები გადავიღეთ ბათუმში როგორი გამოვიდა. ჩემს ამბავს თუ იკითხავ კარგად ვარ. სამი თვის წინ დავქორწინდი . ასე რომ ახლა უკვე საკუთარი ოჯახი მაქვს. წერილში მწერდი, რომ გამომეგ ზავნა შენთვის ლექსიკონი, მაგრამ არ იწერებოდი რომელი გინდა, ქართულ-გერმანული თუ გერმანულ-ქართული. ამჟამად გიგ ზავნი ქართულ-გერმანულ ლექსიკონს. აგრეთვე გიგ ზავნი წიგნს

სადაც გერმანულად აღწერილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეები. თუ რაიმე დაგჭირდეს მომწერე და არ დაგეხათროს. მეტი რა მოგწერო იყავი სულ კარგად და კარგად. მოკითხვა ბატონ ვახტანგს, შენს მეუღლეს, ნინიკოს და ყველა მეგობარს. მომავალ შეხვედრამდე.

პატივისცემით, ვ. მაჭავარიანი

სალამი ილიას!

მივიღეთ თქვენი ბარათი, რამაც ძალიან გაგვახარა. ალბათ უკვე დაიწყე ქართული წერა-კითხვის შესწავლა. ეს ძალიან სასიხარულოა ჩვენთვის. ნინო ალბათ მოგიყვებოდა თავის დასვენების ამბებს ბაკურიანსა და ქობულეთში. ნინო თავს მარტოდ არ გრძნობდა. აქ ყველას შეეჩვია. ახლაც ხშირად ვიგონებთ მას. ცოტა ქართულად წერაც ისწავლა. საერთოდ ძალიან ნიჭიერი და სიცოცხლით სავსე გოგონაა. სასტუმრო „ივერიაში“ სადაც იგი ცხოვრობდა, თითქმის ყველა მოსამსახურე პერსონალი იცნობდა. მოიწერეთ დაიწყო თუ არა სკოლაში სიარული.

ილია, გიგ ზავნით რამოდენიმე წიგნს, რომელიც თქვენთვის საინტერესო იქნება. მართალია მათი წაკითხვა ჯერ-ჯეროობით გაგიჭირდებათ, მაგრამ იმედია მოკლე ხანში ისე შეისწავლით ქართულ ენაზე კითხვას, რომ უმეტეს ნაწილს გაიგებთ. გიგ ზავნით გამოჩენილი თურქი მწერლის ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედების ამსახველ ლიტერატურულ დოკუმენტს. მისი ავტორია გურამ ბათიაშვილი. გიგ ზავნით არმაღანს აღმოსავლური მწერლობის ნიმუშებს, სადაც თურქული ლიტერატურაც ვრცლად არის გაშუქებული. აგრეთვე გიგ ზავნით ვაჟა ფშაველას პოეზიას, ვიმედოვნებ ეს ლიტერატურა თქვენთვის საინტერესო იქნება.

დიდი მოკითხვა თქვენს მეუღლეს და პატარა ნინოს, ბატონ ვახტანგ სუდაძეს, ბათურაის და მის მეუღლეს. ველი პასუხს.

პატივისცემით, ვასიკო მაჭავარიანი

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონები,[11]

მსურს შეგატყობინოთ, რომ ბატონი აბდურაჰმან ჩეთინქაია (მცხოვრები ეპპელჰაიმში, მისამართზე სებასტიან ბახის ქუჩა 7) წარმოადგენს ქართულ ასოციაციას გერმანიაში და უფლებამოსილია აწარმოოს საქმიანი მოლაპარაკებები უცხოურ კომპანიებთან და პირებთან.

საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე

ა. გოცირიძე

გამარჯობა ძმაო ილია!

ჩემო ილია, სამწუხაროდ საქმეები ჩვენს სასარგებლოდ არ მიმდინარეობს, მხედველობაში მაქვს მდგომარეობა იმ ქვეყანაში. ისე რომ ჯერ კიდევ არ ვიცით, როგორ გადაწყდება შენი დის და სიძის საქმე. ამ ამბის გაგებისათვის კარგი იქნება შენ ჩამოსულიყავი პირადად. უმჯობესი იქნებოდა თუ ჩამოხვალ ივლისის თვეში ერთი კვირით მაინც და ყველაფერზე მოვილაპარაკებდით.

თუ შენ წამოსვლას დააპირებ აუცილებლად შეიარე ნურისთან. აბა შენ იცი, როგორ ჭკვიანად იქნები.

---

11 მინდობილობა დაწერილია გერმანულ ენაზე

სასწრაფოდ მოგვწერე ან დაგვირეკე

ველი პასუხს

გურამი

ძმაო ილია!

ვიზა თქვენთვის და ნინოსთვის გამოგზავნილია და გელოდებით საქართველოში. წამოსვლის საქმეებს რომ მოაგვარებთ გთხოვთ შეგვატყობინოთ ჩამოსვლის თარიღი, რომ დაგხვდეთ.

ჩვენი გულითადი მოკითხვა გადაეცით ნაცნობ-მეგობრებს ბონში, მიუნხენში და ჰაიდელბერგში. იმედია ყველანი კარგად არიან. თქვენს მეუღლეს გადაეცით ჩვენი საუკეთესო სურვილები. გისურვებთ კეთილ მგზავრობას.

თქვენი გურამი

ბატონო ილია,

იმედია კარგად ბრძანდებით. მადლობას მოგახსენებთ ტელეგრამისათვის, რომელიც ბატონი ოთარ გიგინეიშვილის გარდაცვალების გამო გამოგზავნეთ. მისი სახით დიდი დანაკლისი განიცადა არა მარტო ჩვენმა საზოგადოებამ, არამედ მთელმა ქართველმა ხალხმა. პატივცემულო ილია, ბატონი ოთარის უკანასკნელ სურვილს ვასრულებ და გიგზავნით 500 ცალ კალენდარს, რომელიც აკაკი წერეთლის საიუბილეო თარიღს ეძღვნება. ბატონი ოთარი თქვენი მეშვეობით ცდილობდა ამ კალენდრების გავრცელებას თურქეთში მცხოვრებ ქართველთა შორის. მოგვწერეთ თქვენი აზრი აღნიშნული

რიცხვი კალენდრებისა საკმარისია? იქნებ მეტს ან ნაკლებს საჭიროებთ. პატივისცემით,

საზოგადოების უფროსი რეფერენტი
თამარ აბრამიშვილი

პატივცემულო ბატონო ოთარ,

ქალაქი ჰეიდელბერგი. 1983 წელი

პირველათ დიდი ბოდიში ვიხდი რო წერილი დავაგვიანე. თქვენ აქავრი ცხოვრება იცით, ვერ მოვასწარი. ჩვენ აქ კარგათ ჩამოველით და მუშაობა დავიწყეთ. ჯერ ჯერობით საინტერესო და საშიში არაფერი არალის, რო იქნება დაგიწერთ.

არ ვიცი შაიტყეთ თუ არა, აჰმედ ალთუნის ძმა (ალის და იალჩინის ბიძა) ჯემალ ქემალ ალთუნმა[12] *ბერლინში მე-5 სარ-*

12 თურქეთელი ქართველი ახალგაზრდა, რომელიც 1983 წლის 30 აგვისტოს, ბერლინში სასამართლოს შენობის ფანჯრიდან გადმოხტა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ქემალ ალთუნი 1960 წელს დაიბადა. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში პოლიტიკური აქტიურობით გამოირჩეოდა. ის სხვა თურქეთელ ქართველ ახალგაზრდებთან ერთად ოთარ გიგინეიშვილის დახმარებით სტუმრობდა საქართველოს. 1980 წელს თურქეთში მომხდარი სამხედრო გადატრიალების შემდეგ, მისი მეგობრები დააკავეს და აწამეს. იმის შიშით, რომ მასაც იგივე არ დამუქრებოდა, თურქეთიდან გერმანიაში გაიქცა. თუმცა ბერლინში ყოფნის დროს შეიტყო, რომ იძებნებოდა მემარჯვენე ნაციონალური მოძრაობის (MHP) მთავარი მდივნის გუნ საზაკის მკვლელობის გამო. უკან, თურქეთში დაბრუნება დაპატიმრებასა და წამებას ნიშნავდა. ამის გამო 1981 წელს გერმანიას თავშესაფრის მოთხოვნით მიმართა. 1982 წელს თურქეთმა მისი ექსტრადიცია მოითხოვა. ქემალ ალთუნის ძმა აჰმეთ ალთუნი, თურქეთის რესპუბლიკური პარტიის (CHP) დეპუტატი გახლდათ, იგი 80-იანი წლების დასაწყისში საფრანგეთში წავიდა ემიგრაციაში. ილია ხიმშიაშვილი მას სტრასბურგში ხშირად ხვდებოდა.

თულის ფანჯრიდან გადახდა და თავი მოიკლა. გერმანელებს უკან უნდა მიეცათ, იმისთვის ეს საქმე გააკეთა. იმის სიკვდილმა გერმანიაში და ევროპაში დიდი ამბავი წამოტეხა. ამ პერიოდში გაზეთებში ბევრი რამე დაიწერა. ამ წერილით არ გიგ ზავნი , მომსვლელ წამსვლელს აუცილებლათ გამოვატან რაც დაიწერა. ამათში ერთი რამე ძალიან ცუდი და საშიშია გამოვიდა. ალის ძმამ იალჩინმა ნაცნობ გაზეთ ჟურნალს წერილი დაუწერა. ეს წერილი მის ბიძას ადვოკათს დაუწერა , ამ ადვოკატმაც გაზეთ ფრანქფურტერ რუნდსჰაუს, სთერნ გადასცა.....

თქვენი ილია ხიმშიაშვილი

ჰაიდელბერგში ილიას მიერ დაარსებული ქართულ-გერმანული საზოგადოება დიდ როლს თამაშობდა როგორც გერმანიაში, ისე თურქეთში მცხოვრებ თურქეთელ ქართველთა ეროვნული ცნობიერების ამაღლება/ჩამოყალიბებაში. ამავე ორგანიზაციის ეგიდით ილია ჰაიდელბერგში, ჰელმჰოლცის გიმნაზიაში, ქართულს ასწავლიდა თურქეთელ ქართველებს და არა მხოლოდ მათ. თავად თურქეთიდან ბევრი ახალგაზრდა წერდა წერილს თხოვნით, ქართული ენის შესწავლასა და ქართული კულტურის გაცნობაში დახმარება გაეწია. 1990 წლით დათარიღებულ წერილში (დაწერილია თურქულ ენაზე), რომლის ავტორი ახალგაზრდა „გურჯია“, ვკითხულობთ: *„პატივცემულო ბატონო აბდურაჰმან! პირველ რიგში, მინდა ბოდიში მოგიხადოთ, რომ თქვენს უნებართვოდ ვითხოვე იუსუფ დემირელისგან მისამართი. მითხრა, რომ, თუ წერილს დავწერდი, პასუხს მივიღებდი. მარმარას უნივერსიტეტში თურქული ენისა და ლიტერატურის ბოლო კურს ზე ვსწავლობ. მშობლები ქართველები არიან. მე ქართულად საუბარი სწორედ რომ მათგან ვისწავლე. მაგრამ კარგად არ ვიცი. გასულ წელს საკუთარი ძალებით ქართულად წერა შევისწავლე, თუმცა არ მაქვს*

საშუალება უფრო განვავითარო ენის ცოდნა. არ მაქვს ხელთ არანაირი წიგნი. პატარა ლექსიკონი ჩამივარდა ხელთ და მისი წყალობით შევისწავლე ანბანი. მინდა წერა-კითხვის უნარები უფრო განვივითარო. ამაში თქვენი დახმარება მჭირდება. თუ არ შეწუხდებით, იქნება საჭირო მასალა გამომიგ ზავნოთ. მინდა ვისწავლო მშობლიური ენა და ჩვენი ისტორია, მომავალში როგორც კი შესაძლებლობა გამომიჩნდება, მსურს წინაპართა სამშობლოს ვესტუმრო. მას შემდეგ, რაც ბატონ იუსუფის მიერ მოცემულ კასეტებ ზე მოვუსმინე ქართულ სიმღერებს, ბარათებ ზე კი თბილისის ულამა ზესი ხედები ვიხილე, საქართველოში წასვლის სურვილი უფრო გამიმძაფრდა. ბატონმა იუსუფმა მითხრა, რომ თქვენ შეგიძლიათ დამეხმაროთ ქართულის უკეთ შესწავლაში. იმედს ვიტოვებ, რომ პასუხს მომწერთ. კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს ჩემი თავხედობისთვის....“

სახელმძღვანელოებსა და საქართველოსთან დაკავშირებულ სპეციალურ ლიტერატურას წიგნების სახით ოთარ გიგინეიშვილის დახმარებით იღებდა. ქართულ-გერმანული ორგანიზაციის ეგიდით, რომელსაც სათავეში თავად ედგა, არაერთი კულტურული ღონისძიება, საქართველოსადმი მიძღვნილი კონფერენცია ჩატარებულა გერმანიაში. მიზანს ქართული ხელოვნებისა და კულტურის პოპულარიზაცია წარმოადგენდა. სწორედ ილიას ინიციატივითა და აქტიურობით 1984 წელს ჰაიდელბერგის საგანმანათლებლო ცენტრის (vhs) წარმომადგენელი ზიგფრიდ შეფელი დაუკავშირდა ოთარ გიგინეიშვილს და გაუგზავნა წერილი – *„ბატონო ოთარ, ახლახან ჩავატარეთ ჰაიდელბერგში თურქული ხელოვნებისადმი მიძღვნილი გამოფენა, სწორედ აქ გავიცანი ილია ჩეთინქაია, მან მიამბო თქვენს შესახებ და გამოთქვა სურვილი, რომ მომდევნო წელს კარგი იქნებოდა თუ ჩავატარებდით ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ გამოფენას. აღნიშნულ გამოფენა ზე უპრიანი იქნებოდა თუ წარმოადგენთ ორ მოხსენებას, რომელიც დამსწრე საზოგადოებას საქართველოს შესახებ მიაწვდის ინფორმაციას. გთხოვთ,*

იფიქროთ, იქნება თუ არა მსგავსი გამოფენის ჩატარების შესაძლებლობა. ვფიქრობ რომ ეს შესაძლებელია, მადლობელი დაგრჩებით, თუკი წერილობით შემატყობინებთ პასუხს. იმ შემთხვევაში, თუ ჩატარდება, გთხოვთ, საქართველოს შესახებ გერმანულენოვანი ბროშურები, წიგნები და სხვა საჭირო მასალა გამომიგზავნოთ. თუ 1985 წელს ვერ მოესწრება, შეგვიძლიან მომდევნო წელს ჩავატაროთ.“

გერმანიაში ილიას არაერთ ღონისძიებაზე იწვევდნენ, რომელიც ეძღვნებოდა საბჭოთა თუ პოსტსაბჭოთა საქართველოს. მას იცნობდნენ, როგორც კომპეტენტურ პიროვნებას, რომელსაც ჰქონდა საინტერესო მოხსენებები საქართველოს შესახებ. მანჰაიმში 1996 წელს ორგანიზაცია „Gesellschaft Für Ostbeziehungen Rhein–Neckar e.v. ეგიდით, კავკასიის შესახებ გაიმართა ღონისძიება, სადაც ილიამ წაიკითხა მოხსენება „საქართველო საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ“. ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს ელჩი კონსტანტინე გაბაშვილი და საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა მინისტრი კონსტანტინე ზალდასტანიშვილი.

ილიას მიმოწერა ჰქონდა ქართველ მწერლებთან – ფრიდონ ხალვაშთან, მთარგმნელ იბრაიმ გორაძესთან,[13] რომელიც თარგმანებს გამოცემამდე უგზავნიდა წასაკითხად ილიას გერ-

13 1937 წლის რეპრესიების გამო, იბრაიმ გორაძის ოჯახმა თურქეთს შეაფარა თავი, სადაც დაუახლოვდა თურქეთელ ქართველებს. წერდა და ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას, თარგმნიდა თურქ მწერლებს ქართულად და ქართველ მწერლებს თურქულად. 1976 წელს სამშობლოში დაბრუნებულმა თურქულ ენაზე გამოსცა სიმონ ქვარიანის „გიორგი სააკაძე“, უიარაღოს - „მამლუქი“, აკაკი წერეთლის - „ბაში-აჩუკი“, იუსუფ ფაღავას „ჩაუმქრალი კერა“, მიხეილ ჯავახიშვილის „ეშმაკის ქვა“, თურქულიდან ქართულად თარგმნა ორჰან ქემალის „ქალბატონის მამული“, „მემედი — ჩემი შევარდენი“, ფაქირ ბაიქურთის „ჭორფლიანი ქალი“ და „გველების შურისძიება“. მიღებული აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი.

მანიაში, რათა ამ უკანასკნელს კრიტიკული თვალით წაეკითხა და შეეფასებინა.

1.3. 1990 წელი, ფრიდონ ხალვაშის წერილი ილია ხიმშიაშვილს

ძვირფასო ილია ბატონო!

დიდი სურვილით გიგ ზავნი სალამს და კეთილ სურვილებს მთელი შენი მშვენიერი ოჯახისათვის. ამ ფოტოებს გიგ ზავნი ბატონ ფაქირ ბაიქურთ ზე გადასაცემად. ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღეების სახსოვარია. მისი მისამართი შეცვლილია და ამიტომ მე ვერ ვუგ ზავნი. ახვედრე და ძმური სალამი ჩემი გადაეცი. უთხარი რომანი ბავშვობა ზე დავამთავრე. წელს იბეჭდება ქართულად. თურქული ბწკარედები გავაკეთე და გადმოგცემ თქვენ. იქნება, როგორც შეპირებულია. თვითონ ფაქირმა თარგმნოს მერე. მე თვითონ მინდა გერმანიაში ჩამოსვლა. იქნებ გამომიგ ზავნოთ ორივემ (უფრო პირადად თქვენ, ჩემო ილია) მოწვევა და ზაფხულის მიწურულს, ასე სექტემბერ--ოქტომბრისთვის შევძლებ ჩამოსვლას 10-15 დღით. მე და შენ მაქაურ ჩვენებურებში და სხვა ნაცნობებში გავივლით..... საქმეები საინტერესოა.

აბა, ბევრი საგა ზაფხულო სურათებით, თქვენი ფრიდონ ხალვაში

30. 09. 1981 პატივცემულ ბატონ ილია ხიმშიაშვილს,
იბრაიმ იავუზ გორაძისაგან

თქვენს მიერ გამოგ ზავნილი ძვირფასი წერილი მივიღე მელაშვილის წერილთან ერთად, რამაც უდიდესი სიხარული გამოიწვია ჩემში. მაპატიეთ, რომ წერილი დრო ზე ვერ მოგ წერე

და აქამდე დაგიგვიანე პასუხი. თქვენ ქართულად კარგად წერთ და მეც ქართულად მინდა გწეროთ წერილები.

ჩემო ილია ბატონო! მინდა წინანდელი ამბებიდან გადმოგცეთ ჯერ და მერე თქვენ წერილის პასუხიც გაგცეთ. აჰმედ მელაშვილის მიერ გამოგ ზავნილი ორი ცალი წიგნი, რომანი მივიღე და თანაც წერილი. ზოგიერთი რაღაც სათხოვარი ჰქონდა და იმ საქმის მოსაგვარებლად თბილისში, სა ზოგადოებაში[14] ვიყავი მისული და აბაშმაძესთან ვსაუბრობდით მელაშვილის თხოვნებზე. ის წუთები იყო, რომ ტელეგრამა შემოიტანა ერთმა ფოსტალიონმა. ტელეგრამა გულიკო აბაშმაძემ წაიკითხა და ერთი შეკრთა. -ეს რაა? თქვა და ფერი ეცვალა. ახლა ამ დროს მეც ეჭვებმა შემიპყრო. შევამჩნიე, რომ ცუდი ამბავი იყო მოსული. იმ ტელეგრამას თქვენ გ ზავნიდით მგონი. დიდი პატრიოტი და დიდი მოღვაწე ახმედ მელაშვილი ბურსაში მოკლესო იწერებოდით. ამ ტელეგრამამ შეგვატყობინა ის დიდი უბედურების ამბავი. მე ცუდად ვიქენი. კაბინეტიდან ბალკონზე , ჰაერზე გამიყვანეს, იქ სკამი დამიდგეს და რამოდენიმე საათს იქ დავრჩი. იმ კაცთან დიდი პატივისცემა და სიყვარული მქონდა. დიდ დახმარებასაც მიწევდა. ჩემი ორი წიგნი გამოვიდა სტამბოლში. ეს მისი დახმარებით მოხდა. .....ეს წიგნები უფრო მაქაური ქართველებისთვის არის გამოსადეგიცა და საინტერესოც. აჰმედის სიცოცხლეში კიდევ მქონდა ოთხი რომანი გაგ ზავნილი, მაგრამ პატრონი აღარ არის უკვე. მადლობა ღმერთს , რომ იბერია მელაშვილი გადარჩენილია და შემდეგში ისიც რაღაცით დაგვეხმარება. ჩემო ილია, აქაც ვმოღვაწეობ, ვწერ, ვთარგმნი. ფაქირ ბაიქურთის „çilli“[15] გამოიცა. ჩილლი პატარა წიგნი გავაკეთე , ეს იმისთვის, რომ ეს მწერალი გავაცნო საქართველოს. ამის შემდეგ არავითარი ცენზურა არა სჭირდება მისი წიგნე-

14 იგულისხმება „უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება“.

15 „ჭორფლიანი ქალი“.

ბის თარგმნას ახლა.„Yılanların öcü“[16] წიგნი უკლებლივ ვთარგმნე და 1982 წელში გამოიცემება. „ჩილლი“ ოთხი ცალი გავუგ ზავნე ბაიქურთს , მაგრამ უკან მომივიდა. თუ ისურვებთ გამოგიგ ზავნით თქვენც. „Hanımın Çiftliği“[17] ორჰან ქემალის წიგნი 30. 000 დაიბეჭდა და ერთ თვეში ისე გაიყიდა, რომ მეც ვერ მოვასწარი რამოდენიმე ცალი რომ შემეძინა. ოცი ცალი ვიყიდე და ერთი ცალიღა დამრჩა. დიდათ მოიწონა ის წიგნი მკითხველმა. ასეთი რომანი რაც უფრო მეტად სიყვარულ ზეა დაწერილი, გამოგიგ ზავნი. ვთარგმნე და გამოვცემ აქ. ბაიქურთთან კაი ხანია შემიწყდა მიწერ მოწერა. წიგნები ვერ მივაღებინე, ჩემი სალამი გადაეცი და თანაც გააგებინეთ, რომ წიგნები უკან მომივიდა და დღესაც სა ზოგადოებაში არის , არ წამომიღია.

ჩემო ილია, ორი წლით წინ გერმანიიდან შვილი და ბადიშები მესტუმრნენ. იმათ ერთად თბილისში ვიყავი და თქვენს ბავშვებს შევხვდით, თუ არ ვცდებით ბიჭი და გოგო იყო მგონია. საზოგადოების პარკში გავიცანით. თქვენი ბავშვები იყვნენ არა? მოკითხვა გადაეცი ხალვაშს. ბაიქურთის წერილი დიდი ხანია არ მომსვლია. რომ მივიღო უპასუხოდ არ დავტოვებ. თქვენი აქ ჩამოსვლა თუ ერთად მოხერხდეს, მე ეგრევე შემატყობინეთ, რომ ჩამოსვლისთანავე შეგხვდეთ. იმედია, ყველანი კარგად იქნებით. მომიკითხეთ თქვენი ოჯახის შემადგენლობა და ჩემი კარგი სურვილები და სალამები გადაეცით. გისურვებთ ყოველივე კარგსა და ჯანმრთელობას. ..ჩვენც ყველანი კარგად ვართ. სამშობლოს სიყვარულით დამტკბარები ვიმყოფებით. სიხარულით მაქვს გული სავსე. მე რომ სამშობლოს დავუბრუნდი, ეს დიდი მიღწევაა ჩემთვის. კარგად და ბედნიერად იყავით. წერილებს ველოდებით. ქართული წერილის კითხვა თუ გაგიჭირდეს, მომწერეთ და შემდეგში ლათინურად მოგწერთ. ბაიქურთსაც შეატყობინე და სალამი გადაეცი ჩემიდან.....

16 „გველის შურისძიება"

17 „ქალბატონის მამული"

ილიამ საქართველოში ყოფნის დროს პირადად გაიცნო რეჟისორი თენგიზ მოდებაძე, მას შემდეგ რაც ნახა მისი, დოკუმენტური ფილმი ლაზ ხელოვანზე ჰასან ჰელიმიშზე[18]. ამ უკანასკნელის რთულმა ცხოვრებამ, წარსულში გადატანილმა ტრაგედიებმა, ილიაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პატარა ინტერვიუც კი ჩაუწერია რეჟისორთან:

– ჩემო ძვირფასო მკითხველო, მინდა მოგითხროთ ერთი პატარა დოკუმენტური ფილმის შესახებ, რომელიც ვნახე თბილისში. გავიცანი და ვესაუბრე ამ ფილმის ავტორს, რეჟისორს თენგიზ მოდებაძეს. საუბარში როგორც მან მითხრა, ფეხით ჰქონდა შემოვლილი თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ქრისტიანული ძეგლები. ოშკი, იშხანი, ბანა, ოთხთა , ხახული და სხვა მრავალი. აღფრთოვანებული საუბრობდა ამ ძეგლების არქიტექტურაზე. გულისტკივილს გამოთქვამდა ზოგიერთი ძეგლის ტექნიკურ მდგომარეობაზე, რომლებიც ამჯერად შველას ითხოვენ. ბატონ თენგიზთან საუბარში დამებადა სურვილი ჟურნალისტის მოვალეობა შემესრულებინა. გამეგო ყველაფერი ამ ფილმის შესახებ. ძვირფასო მკითხველო, საუბარს გაუძღვება თქვენი მონა მორჩილი ილია ხიმშიაშვილი:–ფილმის ნახვის შემდეგ ცოტა ავფორიაქდი, ავღელდი კიდეც. ამ განცდის გადმოცემა ორი სიტყვით ალბათ შეუძლე-

18 დაიბადა სოფელ ორთახოფაში, თურქეთის ლაზეთში 1907 წელს. 1932 წელს საცხოვრებლად საქართველოში, ქალაქ ბათუმში გადავიდა. 1949-1954 წწ. როგორც არასანდო, „საეჭვო" პიროვნება, ოჯახთან ერთად გადაასახლეს ციმბირის ქალაქ ვასიუგანში (ტომსკის რაიონი); 1961-196 7წწ. პროფესორ სერგი ჯიქიას მიწვევით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე თურქულს ასწავლიდა; მისი ლექსები სხვადასხვა დროს ლაზური ენის მკვლევართა მიერ (არნოლდ ჩიქობავა, სერგი ჯიქია) სხვა ტექსტებთან ერთად გამოქვეყნდა. ჰასან ჰელიმიშის ნამუშევრებს ნიკო ფიროსმანის ნახატებს ადარებდნენ. მისი ნამუშევრები დაცულია სარფის საშუალო სკოლის საექსპოზიციო დარბაზში, ასევე სხვადასხვა კერძო კოლექციაში.

ბელია, ფილმის გმირი ხოფაში დაბადებული და გაზრდილი ქართველი ლაზი კაცია „ჰასან ჰელიმიში“.

ილია ხიმშიაშვილი: *რამ გიკარნახათ ფილმის შექმნის იდეა?*

რეჟისორი: *ქართულ ლიტერატურულ ჟურნალში წავიკითხე ბათუმელი ჟურნალისტის ნუგზარ ჯაფარიძის წერილი, როგორც თვითნასწავლ მხატვარზე, მოკლე ბიოგრაფიული ცნობებით. სწორედ ბიოგრაფიულმა მონაცემებმა დამაინტერესა. ეს იყო 80-იანი წლები, საბჭოური რეჟიმი მტკიცედ იდგა ფეხზე. საქართველო და ყველა რუსეთში შემავალი რესპუბლიკები, მკაცრად იყვნენ დამოკიდებულნი მოსკოვის ცენზურაზე. პატარა დოკუმენტურ ფილმსაც ვერ გადაიღებდი მათი ნებართვის გარეშე. იმ წლებში ქართული დოკუმენტური ფილმების სტუდიის დირექტორი გახლდათ ცნობილი ქართველი მწერალი „დათა თუთაშხიას“ ავტორი ჭაბუა ამირეჯიბი. სწორედ მან აიღო თავის თავზე ამ ფილმის გადაღების პასუხისმგებლობა.*

ილია ხიმშიაშვილი: *სად და როგორ მოძებნეთ მასალები ჰელიმიშის შესახებ?*

რეჟისორი: *სარფელების დიდი დამსახურებაა, გადაარჩინეს ჰელიმიშის ნახატები, ხელნაწერები, ლექსები, მოთხრობები. საქართველოს ტერიტორიაზე სარფი ერთადერთი სოფელია ნაწილი დიდი ლაზეთისა. საბჭოური იმპერია ყველა ხერხს ხმარობდა, თურქეთი მტრის ხატად წარმოედგინა, სოფელი დახურულ ზონად გამოაცხადა, სავიზო რეჟიმი იყო. სოფელში შესვლა გაძნელებული იყო. თქვენ წარმოიდგინეთ რა მძიმე იყო მისთვის მონატრების გრძნობა, იმ მხარეში სადაც ფეხი აიდგა , სადაც წყაროს წყალი დალია, ყველაფერ ამას მხოლოდ სიზმარში ხედავდა. იქ ჩასვლის უფლება არ ჰქონდა. ასეთ ნოსტალგიურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი სხვა ტკივილთან ერთად, მხოლოდ სიმღერით პასუხობდა. მე მოვისმინე მისი*

სიმღერების ჩანაწერი და ფილმიც ამ სიმღერებით გავახმოვანე. გასაოცარი ფაქტი მოხდა მის ცხოვრებაში. 40 წელი არ ენახა დედა, ჩამოვიდა შვილთან თბილისში. თვითმხილველები ამბობენ: საოცარი მობილიზებული შეხვდა ჰასანი დედას, არწმუნებდა რომ მას არაფერი არ უჭირს, რომ ის ბედნიერია, ეფერებოდა , ეალერსებოდა მოხუცებულ ჭაღარა დედას. შინაგანად ორივე გრძნობდა, რომ მომავალი შეხვედრის შესაძლებლობა ძალიან მცირედი იყო, რომ ეს შეხვედრა უკანასკნელი იყო მათთვის. მინდა გავიხსენო მისი ყოფილი სტუდენტის , ამჟამად აკადემიკოსი თურქოლოგი ელიზბარ ჯაველიძის სიტყვები, რომელიც ამ ფილმში გადაღებულია და ჩაწერილია დოკუმენტურად. „ჰასანი ყოველთვის მხიარული , მოძრავი, სიცოცხლით სავსე , მაგრამ თუ კარგად დააკვირდებით მის თვალებს , ეს იყო ღრმად სევდიანი თვალები“. საუბარი გამიგრძელდა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი დედის ჩამოსვლის ამბავი ვერ მოხვდა ფილმში. იმდროინდელი სისტემის კომუნისტური იდეოლოგია „ცენზურა“ მკაცრად იდგა სადარაჯოზე.

ილია ხიმშიაშვილი: *მაპატიეთ, მინდა შეგეკითხოთ, ჰასან ჰელიმიში პოეტია,მხატვარია, მეცნიერია....?*

რეჟისორი: *პირდაპირ პასუხზე თავს შევიკავებ, ეს მომავალმა თაობებმა განსაჯონ, მე კიდევ ერთ ფაქტს გავიხსენებ. უნივერსიტეტიდან დაითხოვეს, წამოვიდა უსიტყვოდ , მოძებნა საარსებო წყარო. მეწაღის ჯიხური, დღე მუშაობს ჯიხურში, საღამოს თავის პატარა ოთახში იკეტება, გვიანობამდე ხატავს. რა სახელი დავარქვა ადამიანის ასეთ საოცარ უნარს, რამაც შემოქმედებითი სიცოცხლე შეუნარჩუნა. მოუსპეს ერთი , მაგრამ ააღორძინა მეორე. პირდაპირ გეტყვით: მრავალფეროვანი შემოქმედი იყო.*

ილია ხიმშიაშვილი: *თქვენი ფილმი მომავლის იმედით მთავრდება. ის ყველაფერი რაც ჰასან ჰელიმიშმა დატოვა მომავალ*

თაობას ეკუთვნის, მისი ნახატები სხვა თუ არაფერი ეთნოგრაფიული განძია.

რეჟისორი: *ჩემი აზრით ყველაფერი ეს შეკრებილი უნდა იყოს ერთ ადგილას, ეს ადგილი სარფია, სადაც მისი საფლავია, სადაც ჯერ კიდევ ჰასანი ახსოვთ. მისი საფლავი ზღვას გადაჰყურებს. როგორც ჰასანი იტყოდა; „ზღვა ფერადი წიგნიაო, სადაც ბევრ ლეგენდას და ზღაპარს სძინავსო“. სწორედ სარფში უნდა აშენდეს პატარა საგამოფენო დარბაზი მისი ნახატებისთვის. მადლობა ღმერთს, დღეს საქართველო დამოუკიდებელია და ყველაფერი ის რაც მის სიცოცხლეში შეუძლებელი იყო, დღეს ეს შესაძლებელია. მინდა მივმართო ყველა ქართველს სადაც არ უნდა ცხოვრობდეს, მიიღოს მონაწილეობა ამ იდეის განხორციელებაში. კიდევ ერთი ნათელი სხივი მოვფინოთ მის გულწრფელ და ნათელ შემოქმედებას, შევქმნათ ჰასან ჰეილიშის ფონდი.*

განსაკუთრებულად თბილი ურთიერთობა აკავშირებდა ილიას ცნობილ თურქ მწერალთან ფაქირ ბაიქურთთან, რომელიც 1987 წელს ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მწერალთა კავშირის მიწვევით საქართველოს ეწვია. თანამშრომლობდა თურქეთელ ქართველთა გამოცემებთან. აქტიურად იყო ჩართული საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაშიც. მიხაილ ლაუტენბახი ილიას დახმარებით ჩამოვიდა საქართველოში და გადაიღო ფილმი 9 აპრილის ტრაგედიის შესახებ: *„ძვირფასო ილია მინდა გაცნობო, რომ მომავალ კვირას მივემგზავრები საქართველოში. ცოტა ხნის წინ დავასრულე 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებული ფილმი. ორი თვე დავყავი საქართველოში, გავეცანი იქაურობას, ბევრი ვიდეომასალა შევაგროვე და ჩავწერე ინტერვიუები. რა თქმა უნდა ჰაიდელბერგში ჩვენების შესაძლებლობაც იქნება. გთხოვ, დაუკავშირდე ჰაიდელბერგის განათლების ცენტრის ხელმძღვანელს ბატონ შეფფელს.“*

ილიას ხშირად იწვევდნენ სამშობლოში სხვადასხვა ღონისძიებაზე: 1987 წელს საქართველოს მწერალთა კავშირი, ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 150 წლისთავთან დაკავშირებით იწვევს თურქეთელ ქართველებს ილია ხიმშიაშვილსა და ვახტანგ მალაყმაძეს.[19]

---

19 მას მომზადებული ჰქონდა სიტყვა, რომელიც უნდა წაეკითხა საზეიმო საღამოზე, მაგრამ უკანასკნელ წუთში, როცა ტრიბუნაზე მიწვევას ელოდა, მისთვის ამის ნება არ მიუციათ. თუმცა ამ სიტყვის ტექსტს 1988 წელს ვახტანგის თხოვნით, აქვეყნებს პარიზის ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ქართულენოვანი, პერიოდული ჟურნალი „გუშაგი", (1988. N-15) სათაურით **„ბარათი ილია ჭავჭავაძეს თურქეთელ ქართველისაგან"**

იეთიმ გურჯი ამბობდა: „გამარჯობა ჩემო თბილის ქალაქო, დაკარგული შენი შვილი მოვედი, საქართველოს მიწა-წყალო, ალაგო, თორმეტი წლის გატანჯული მოვედი".....

